

K 198 222
3

საქართველო
საბავშვო





საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების
სახელმწიფო კონცეფცია

ვაჭალოების, ბავშვანებისა და ბაღიკონების
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

დაინის მარცხენი რამინდელარი
ტექნოლოგია

0005
38

სამეცნიერო ზნობათა კრებული
მ-ბ-ი-ი-ი-ი-ი
1985

663.2

კვირის კრებული



663:663.2

დვინის წარმოების რაციონალური ტექნოლოგია
სამცენიერო შრომათა კრებული. 1984. 240 გვ.
მ.მ.მ.ს.კ.ი. თბილისი

შრომათა კრებული ეძღვნება დვინის წარმოების რაციონალური ტექნოლოგიის საკითხებს. წარმოდგენილ ნაშრომებში ავტორები გვთავაზობენ მეცნიერული კვლევის და პრაქტიკული დამუშავების საფუძველზე შექმნილ ტექნოლოგიებს. მოცემულია სრულიად ახალი ტექნოლოგიური სქემები. დვინის მდგრადობისა და ტექნოლოგიური პროცესების გამომდინარეების საშუალებანი; ბიოლოგიურად აქტიურ ნაერთთა შემადგენლობა მზა პროდუქტებში და სხვა.

ილუსტრაცია 7. ცხრილი 49. ლიტერატურის რაოდენობა 96 დასახელების.

სარედაქციო კოლეგია

- ნ.ჩხარტიშვილი (მთავარი რედაქტორი), ვ.კვალაიაშვილი,
- ო.ღარახველიძე, ღ.შარაშენიძე, ნ.ცერცვაძე, შ.ახვლედიანი,
- ა.ლაშვი, გ.ასათიანი (მდივანი), გ.მაყაშვილი, გ.დოლიძე,
- ჯ.ონიანი, რ.დაჩიკიაშვილი, გ.ჯომარდიძე

მებადგომის, მეცენახეობისა და მედვინეობის
სამცენიერო-კვლევითი ინსტიტუტი

სკეპ-2000
მეცნიერებათა

1984

ქ. სსრ კ. მარჯის
ახ. ახ. რ. სკეპ.
ბიბლიოთეკა

K 198. 222
3

Ордена Трудового
Красного Знамени
Библиотека

663.25.54

თ. დარახველიძე

 საქართველოს მეცნიერების მიღწევები ღვინის
 ქიმიასა და ტექნოლოგიაში

საქართველოში ღვინის ბუნების მეცნიერულ შესწავლას ჯერ კიდევ გასაბჭოებაამდე ჩაეყარა საფუძველი. ვ. სტაროსელსკის მიერ 1890 წელს დაარსებულ საქარის საცდელ სადგურში 1895 წელს შეიქმნა ენოქიმიის ლაბორატორია. პირველ პერიოდში ამ ლაბორატორიაში მუშაობდა გამოჩენილი საზოგადოებრივი და ენოლოგი ნ. პროსტოსერდოვი, შემდეგ კ. მოღებაძე, ვ. ღვალაძე, ვ. დემეტრაძე და სხვები.

1915 წელს თბილისში მიწათმოქმედების დეპარტამენტთან ჩამოყალიბდა ენოქიმიის ლაბორატორია, რომლის დანიშნულებასაც შეადგენდა ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლა და სააქციო საზოგადოებების დახმარება.

გასაბჭოებისთანავე დადგა საკითხი ღვინის მრეწველობისათვის კადრების მომზადებისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაფართოების შესახებ. 1921 წელს საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან ჩამოყალიბდა ენოქიმიის ლაბორატორია, რომელსაც 1925 წლამდე ხელმძღვანელობდა პროფ. ა. მელიქიშვილი. 1920-1921 სასწავლო წელს უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტზე დაიწყო მეღვინეობის, როგორც ერთ-ერთი ძირითადი საგნის სწავლება. 1924 წლიდან ამ ფაკულტეტზე ენოქიმიის კურსს კითხულობდა პროფ. კ. მოღებაძე. 1925 წელს ჩამოყალიბდა მეღვინეობის კათედრა.

1930 წელს ჯერ თბილისში ჩამოყალიბდა და შემდეგ თელავში გადავიდა შვეინახეობა-მეღვინეობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. 1934 წელს იგი გადაკეთდა ამიერკავკასიის და 1937 წელს საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტად.

ამჟამად, გარდა აწინშული ინსტიტუტისა, მეღვინეობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა წარმოებს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში, შრომის წითელი დროშის ორდენოსან საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში და მეღვინეობის სსრკ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ცალკეულ განყოფილებებში და ლაბორატორიებში. უშუალოდ ამ დარგს ემსახურება 8 მეცნიერებათა დოქტორი, 35 მეცნიერებათა კანდიდატი და 80 უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტი.



დიდი მუშაობაა ჩატარებული ვაზის სამრეწველო ჯიშების შესარჩევ ბურებათა გამოვლინების, მეღვინეობის მრავალფეროვანი რაიონების სპეციფიურობის და ქართული ღვინოების ქიმიური ბუნების შესასწავლად (კ. მოღებაძე, ვ. ღვალაძე, ს. ღურმიშიძე, ვ. აღმეტრაძე, ვ. ბურჯანაძე, გ. ბერიძე, ნ. გელაშვილი, ვ. კინწურაშვილი, დ. ანცვლიშვილი, დ. გაიშვილი, ა. სირბილაძე, ნ. მამჭავარიანი, ი. ფეიქრიშვილი, მ. კურდღელაძე და სხვ.) გამოცემულია კაპიტალური ნაშრომი "ქართული ღვინოების ტექნოლოგია და ენოქიმიური დახასიათება" (გ. ბერიძე, 1956) ყოველი ამის საფუძველზე შესაძლებელი გახდა საქართველოს ეკოლოგიური პირობების რაციონალური გამოყენება სხვადასხვა ტიპის მაღალხარისხიანი ღვინოების საწარმოებლად.

მზელი რიგი წლების განმავლობაში ისწავლებოდა მტევნის და მარცვლის ნაწილების ურთიერთშეფარდება ვაზის განვითარების სხვადასხვა ეკოლოგიურ პირობებში. დადგინდა, რომ მტევნის, მარცვლისა და მარცვლის შემადგენელი ნაწილების წონითი შეფარდება სხვადასხვა წლებში ძლიერ მერყეობს. ასე მაგალითად: თუ 1951 წელს ჯიშ რქაწითლის მტევნის საშუალო წონა 231 გ იყო, 1955 წელს იგი 201 გ არ აღემატებოდა, მტევნის წონასთან შედარებით კლერტის რაოდენობა 1951 წელს იყო 2,3%, ხოლო 1957 წელს 1,6% და ა.შ. (გ. ბერიძე, 1960).

შესწავლილია ყურძნის პექტინოვანი ნივთიერებათა ქიმიური შენება. ნაჩვენებია, რომ დამწიფებამდე ყურძენში პექტინოვანი ნივთიერებახი ძირითადად უხსნადი პროტოპექტინის სახითაა, სიმწიფეში შესვლასთან ერთად პროტოპექტინი გადადის ხსნად ფორმაში და იზრდება პექტინის რაოდენობა წვენიში. ალკოჰოლური დუღილის პროცესში პექტინი განიცდის ღრმა გარდაქმნას. დადგენილია მისი გარდაქმნის პროდუქტების რაოდენობრივი შემცველობა ღვინოში (ო. ხაჩიძე, 1955).

შესწავლილია ზონალობის გავლენა საქართველოს ძირითად საღვინეო ჯიშებში (რქაწითელი, მწვანე, საფერავი) თავისუფალ ნახევრად შებოჭილ და შებოჭილ მთელ რიგ ორგანულ მჟავების შემცველობაზე (თ. კანანაძე, 1950).

გამოვლინებულია კარბონილური ნაერთების ცალკეული წარმომადგენლები, დადგენილია მათი რაოდენობის ზღვრები და დაზუსტებულია თითოეული მათგანის წარმოქმნისა და გარდაქმნების გზები ღვინოებსა და კონიაკებში (ც. ყანდარელი).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გამოკვლევებია ჩატარებული ვაზის, ყურძნის და ღვინის მთრიმლავი ნივთიერებების შესასწავლად. ს. ლურმიშიძის (1955) გამოკვლევებით პირველად იქნა აღმოჩენილი კატეხინები, გალოკატეხინები და მათი გალატები. გამოიკვია ამ კლასის ნაერთების ქიმიური ბუნება და თვისებები. ბიოლოგიურად დამტკიცდა ზრტიერთი მათვანის P -ვიტამინური აქტივობა, რაშიც ანღებურად გააშუქა ღვინის ცვებითი ღირებულებისა და ღვინოში მიმდინარე ქიმიური ცვლილებების არსი.

დადგინდა, რომ ფერმენტი პოლიფენოლოქსილაზა კანში, რბილობში და კლერტში საკმაოდ აქტიურია. ნაკლებ აქტიურია თესლში. ავტორი აღნიშნავს, რომ უანგზადის თანდასწრებით ოქსილაზური სისტემა უანგავს პიროკატეხინს, პიროგალოლს, ტიროხინს, პოლიფენილკატეხინს, ენოტანინს, მალვიდინს და სხვ. ღვინის ტექნოლოგიის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია პოლიფენოლკატეხინების, ენოტანინისა და მალვიდინის დაუანგვა. გარდა ამისა, გამოიკვია, რომ უანგვით პროცესს მნიშვნელოვნად ააქტიურებს ყურძნის ვადამუშავებისას ტაბილში ლითონთა ნაერთების არსებობა. ასე მაგალითად: ორვალენტური სპილენძი უანგვით პროცესს 4-ჯერ აჩქარებს, ხოლო ორვალენტური რკინა 8-ჯერ.

ნ. გელაშვილის და კ. ჯმუხაძის (1970) მიერ გამოკვლეულია კატეხინების რაოდენობრივი შემცველობა ჯიშ რქაწითლის მტევნის კლერტში, მარცვლის კლერტში, მარცვლის კანსა და თესლში. დადგინდა, რომ სრული სიმწიფის პერიოდში მტევანში კატეხინებიდან ვარზობს (+)-კატეხინი, მარცვლის კანში კატეხინების შემცველობა საგრანობად ნაკლებია კლერტთან და თესლთან შედარებით. მათი მონაცემებით მტევნის ნაწილები კატეხინების თვისობრივი შემადგენლობითაც განსხვავდებიან, თესლში სხვა ნაწილებისაგან განსხვავებით, არ აღმოჩნდა (-)-გალოკატეხინი.

ს. ლურმიშიძემ (1955) შეამჩნია, რომ ყურძნის დაგყლეტის დროს ტანინების დაუანგვისას ადგილი აქვს ფლოროგლუცინის რიცხვის (ტანინებში შემავალი ფლოროგლუცინის პროცენტული რაოდენობის) შემცირებას. ტაბილის მიღებისთანავე იწყება მთრიმლავი ნივთიერებების ფერმენტული დაუანგვის პროცესები, რომლის დროსაც მცირდება მთრიმლავი ნივთიერებების რაოდენობა და იცვლება მისი შემადგენლობა. ტაბილის დაუანგვას თან სდევს უანგვა-აღდგენითი პოტენციალის ვაზრდა: თუ ახლად გამოწეხილი ტაბილის პოტენციალი 345 მე უდრიდა ჰაერთან რამოდენიმე საათის შეხების შემდეგ ეს რიცხვი

388-მდე გაიზარდა. ნფშანდებული ნაერთების გამოყენებით გამოირკვა, რომ დუღილის დაწყებამდე უანგვიითი გარდაქმნები ტკბილში 3 საათის განმავლობაში გრძელდება. კატეხინების დაუანგული პროდუქტები ნაწილობრივ ინგიბირებენ კეტომჟავების და ოქსიმჟავების დეკარბოქსილირების პროცესს.

ნ.ნუცუბიძემ (1955) ღვინის მთრიმლავ ნივთიერებებში ნახა 5%, 2% კატეხინები, აქედან 15, 3% (-) გალოკატეხინი, 2, 5% (+) - გალოკატეხინი 5, 3% (+) - კატეხინი, 15, 04% (+) - კატეხინი და 20, 8% უცნობი ნაერთები.

ს.დურმიშიძის (1955) მონაცემებით ღვინის დავარგებისას კატეხინების რაოდენობა მცირდება და ძველ ღვინოებში თავისუფალი კატეხინები სრულიად არ გვხვდება.

გამოკვლეულია ფლოროგლუცინის და პიროგალოლის ბირთვების რაოდენობრივი ცვალებადობა ალკოჰოლური დუღილის დროს. განსაზღვრულია ფლოროგლუცინის და პიროგალოლის რიცხვები სხვადასხვა ხნით დაძველებულ, როგორც კახურ, ისე ევროპული ტიპის ღვინოებში; დადგენილია, რომ ღვინის დაძველებისას მასში ჭანისის საერთო რაოდენობის შემცირებასთან ერთად მცირდება ფლოროგლუცინის რიცხვი (ო.ხაჩიძე).

უელატინით მთრიმლავი ნივთიერებების გამოლექვა დაუანგვის ხარისხის შესაბამისად იზრდება. დაწებობისას (+) - კატეხინის დაუანგვის პროდუქტები ნაწილობრივ ილექება, ხოლო მთლიანად გამოლექვა, მხოლოდ ფლოროგლუცინის 10, 8 რიცხვის ენოტანინის პრეპარატის არსებობისას შეიმჩნევა. მთრიმლავი ნივთიერებების გემო მათი დაუანგვის ხარისხის შესაბამისად გარკვეულ ზღვრამდე უმჯობესდება და შემდეგ უარესდება (ს.დურმიშიძე).

ნ.ნუცუბიძემ (1955) შეისწავლა მადერიზაციის პროცესში მთრიმლავი ნივთიერებების გარდაქმნები, საიდანაც ირკვევა, რომ ამ დროს აღინიშნება (+) - გალოკატეხინის შემცირება, რომელიც 10 დღე-ღამის შემდეგ მთლიანად ქრება. თბური დამუშავების 15 დღე-ღამის შემდეგ, როდესაც მადერის ტონი გარკვეულად გამოისახება, შემცირებას იწყებს (+) - კატეხინი. მადერიზაციის 20 დღე-ღამის შემდეგ ღვინოში მხოლოდ (-) - გალოკატეხინი და (+) - კატეხინი რჩება.

ნ.ნუცუბიძე ასკვნის, რომ მთრიმლავი ნივთიერებანი, როგორც ახალგაზრდა, ისე ძველი მადერის ტიპის ღვინოში, დაძველებულ სუფრის ღვინოების მსგავსად შედგებიან შედარებით დაბალ მოლეკულური ნაერთებისაგან - კატეხინების გარდაქმნის პროდუქტებისაგან; გალოკა-

ტეხინისა და ნაწილობრივ მუხის ტანინისაგან.

დამუშავებულია ყურძნისა და ღვინის საღებავ ნივთიერებათა განსაზღვრის ქიმიური (ს. ლურმიშიძე (1948) და სპექტრომეტრული (ს. ლურმიშიძე, ო. ხაჩიძე) მეთოდები. მოდიფიცირებულია კვერციტინის და კვერციტრინის განსაზღვრის ფოტოკოლორიმეტრული მეთოდი; შედგენილია გამოთვლის ცხრილი და განსაზღვრულია ცაზის ნაწილებში კვერციტრინის რაოდენობა (თ. კანანაძე, 1954).

ანტოციანთა ექსპერიმენტული შესწავლის საფუძველზე ს. ლურმიშიძემ უარყო უცხოეთში გავრცელებული შეხედულება, რომ ანტოციანდინების დიგლუკოზიდები მხოლოდ ამერიკული ცაზის სახეობების დამახასიათებელია.

საფერავის ყურძნის კანიდან ა. სოფრომაძის (1974) მიერ გამოყოფილი და ინდენტიფიცირებულია თავისუფალი ციანიდინი, დელფინიდინის, პეტენიდინის, გალვიდინის და პეონიდინის 3-მონოგლუკოზიდი, ამავე ანტოციანებისა და ციანიდინ-3 მონოგლუკოზიდის აცილირებული კომპლექსები.

პირველად იქნა იდენტიფიცირებული ღვინიდან ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები - ალკალოიდები: გარმანი, გარმანიინი და გორდინი. დამუშავდა გარმანისა და გარმანიინის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდი და დადგინდა მათი რაოდენობები სხვადასხვა ტიპის ღვინოებში. დამუშავდა გარმანის მიღების ტექნოლოგიური სქემა კონიაკის ბარდიდან (ლ. მუჯირი).


დიდი მუშაობაა ჩატარებული ყურძნის და ღვინის აზოტოვანი ნივთიერებების შესწავლისათვის.

გამოკვლეულია თავისუფალ ამინომჟავათა შემცველობა და დინამიკა სხვადასხვა ჯიშის ყურძნის წვენსა და მყარ ნაწილებში (გაბერიძე და მ. სირბილაძე, ო. ხაჩიძე).

ო. ხაჩიძის მიერ პირველად იქნა გამოყოფილი ყურძნის წვენიდან ქრომატოგრაფულად სუფთა პეპტიდები და შესწავლილი იქნა მათი ამინომჟავური შემადგენლობა. ცალკეული პეპტიდების ჰიდროლიზატებში 10-12-მდე ამინომჟავა იქნა აღმოჩენილი.

დადგენილ იქნა, რომ სხვადასხვა ჯიშის ყურძენი განირჩევა პეპტიდების შემცველობით და ამინომჟავური შემადგენლობით (ი. მათიკაშვილი).

ნაჩვენებია, რომ სიმწიფის პერიოდში ყურძნის წვენში პეპტიდების რაოდენობის გაზრდა არასრული დაშლის შედეგს წარმოადგენს



(ო.ხაჩიძე).

შესწავლილია პეპტიდების თვისობრივი და რაოდენობრივი ცვლილებებით გამოწვეულ პროტეოლიზური ფერმენტების მოქმედებით (ო.ნანიტა-შვილი და თანამშრომლები). ნაჩვენებია, რომ ღვინის ტექნოლოგიაში პროტეოლიზური ფერმენტების პრეპარატების გამოყენებისას მცირდება მაღალმოლეკულურ პეპტიდთა რაოდენობა, ღვინო მდიდრდება დაბალმოლეკულური პეპტიდურით და უმჯობესდება მისი ხარისხი.

გამოკვლეულია ყურძნის მტევნის სხვადასხვა ნაწილის ცილების ამინომჟავური შემადგენლობა და ელექტროსპექტრები (ო.ხაჩიძე), ნაჩვენებია, რომ ყურძნის მტევანში გვხვდება ფერმენტული ცილების (ოქსიდაზები და ღვიძილოგენაზები) სხვადასხვა მოლეკულური ფორმები - ოზოფერმენტები.

ო.ნანიტაშვილის და სხვა ავტორთა მიერ რკაწითელის და ჩინურის ჯიშის ყურძნის წვენის ღვინის ცილების ელექტროფორუზული გამოკვლევის შედეგად ტკბილში აღმოჩენილია 8-10 მჟავა და 5 ტუტე ფრაქცია. ტკბილში ცილური ფრაქციები უფრო მეტი რაოდენობით აღმოჩნდა, ვიდრე იგივე მასალიდან მიღებულ ღვინოში, ამასთან ერთად ღვინოში შეინიშნება ცილის ახალი ფრაქციების წარმოქმნაც.

გამოვლენილია ის ამინომჟავები, რომელიც აუცილებელია საფუერების გამრავლებისა და ალკოჰოლური დედილის წარმოქმნის მსვლელობისათვის (ე.ყანდარელი).

გ.ბერიძის, მ.სირბილაძის და შრომაში პირველად აღინიშნა ის ფაქტი, რომ სპირტული დედილის მესამე-მეხუთე დღეს მაღულარ არეში პროლინის გარდა სრულიად ქრება თითქმის ყველა ამინომჟავა. შემდგომში ეს მჟავები არეში კვლავ აღმოჩნდნენ, პირველ რიგში α - ამინოფერბოჟავა, ალანინი, ასპარაგინმჟავა, შემდეგ ვალინი, ლეიცინი და სხვ.

აღინიშნა, ავტორთა საფუერების გამრავლებასთან ერთად პეპტიდების შემცირების ფაქტი, რასაც ავტორები საფუერების პროტეოლიზური ფერმენტების მოქმედებას მიაწერენ.

გამოირკვა, რომ სხვადასხვა ტიპის ღვინოები აზოტის შემცველობით ერთმანეთისაგან ძლიერ განსხვავდებიან:

ევროპული ტიპის ღვინოებში საერთო აზოტი 95-193 მგ/ლ-მდეა, ამინო აზოტი 21-40%-ია, ხოლო თავისუფალ ამინომჟავათა აზოტი 44-60%-ია;

კახური ტიპის ღვინოში საერთო აზოტი უფრო მეტი რაოდენობითაა 216-245 მგ/ლ-ზე, აქედან ამინოაზოტი 33-40%-მდეა, ხოლო თავისუფალ ამინომჟავათა აზოტი 43-46%-მდეა;

ევროპული ტიპის წითელ ღვინოებში საერთო აზოტი 208-269 მგ/ლ-ია, აქედან ამინო აზოტი 31-40%, ხოლო თავისუფალ ამინომჟავათა აზოტი 52-62%-ია.

ბუნებრივად ნახევრად ტკბილ ღვინოებში საერთო აზოტი 70-124 მგ/ლ-მდეა, ამინო აზოტი საერთო აზოტის 18-43%-ია, ხოლო თავისუფალ ამინომჟავათა აზოტი 52-86%-ია.

ქართულ ღვინოებში ნახულია 20-მდე ამინომჟავა. ეს მჟავები თვისობრივად ყველა შესწავლილ ღვინოში ერთნაირია. ღვინოები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ამ სახის მჟავების ურთიერთშეფარდებით: ევროპული ტიპის ღვინოში დიდი რაოდენობითაა პრთლინი, შემდეგ ალანინი და გლუტამინმჟავა; კახური ტიპის ღვინოში უფრო მეტია გლუტამინმჟავა, შემდეგ ალანინი და პრთლინი; ბუნებრივად ნახევრად ტკბილ ღვინოში დიდი რაოდენობითაა მხოლოდ პრთლინი. ძველ ღვინოებში ახალ ღვინოებთან შედარებით ყოველთვის ნაკლებია ალანინი (გ. ბერიძე, მ. სირბილაძე).

დადგენილია, რომ კონიაკის სპირტში, მიუხედავად ამინომჟავებისა და შაქრების სიმცირისა, ადგილი აქვს შაქარ-ამინურ რეაქციას. წარმოიქმნება შუალედი პროდუქტები, ალიფატური და ფუმარის რიგის ალდეჰიდები და საბოლოო პროდუქტებიდან კი მელანოიდინები. კონიაკის სპირტის მადალალკოჰოლიანობა, ტახინი, უანგზადი, მადალი ტემპერატურა და სხვა ზრდის მელანოიდური რეაქციის სისწრაფს. შაქარ-ამინური რეაქციის შუალედი და საბოლოო პროდუქტები დადებითად მოქმედებენ კონიაკის სპირტის ხარისხზე. დამუშავდა მელანოიდინების განსაზღვრის რაოდენობრივი მეთოდი და განისაზღვრა მელანოიდინები სხვადასხვა წლოვანების კონიაკის სპირტებში (მ. შვანიძე, გირაძე).

ყურძნის გადამუშავების პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დამყანგველი ფერმენტები: ო-დიფენოლქსიდაზა, პეროქსიდაზა, კატალაზა, ასკორბინატქსიდაზა და სხვ. ო-დიფენოლქსიდაზაზეა დამყარებული ძირითადად ჭაჭის ფერმენტაცია, რომელსაც კახური ღვინის დაყენებისას იყენებენ (გ. ბერიძე).

ყურძნის დამყანგველი ფერმენტების შესწავლას ქართველმა მეცნიერებმა მნიშვნელოვანი გამოკვლევები მიუძღვნეს (ს. დურმიშიძე, გ. მოსიაშვილი).



უკანასკნელ წლებში დადგენილ იქნა, რომ ყურძნის მტევნების დაზიანება ნაწილში გვხვდება ო-დიფენოლოქსიდაზას "მრავალი მოლეკულური ფორმები" (ს.დურმიშიძე, გ.ფრუიძე, თ.ხაჩიძე) შესწავლილია ყურძნის კლერტიდან გამოყოფილი და გაუსუფთავებელი ო-დიფენოლოქსიდაზას ცალკეული მოლეკულური ფორმების სუბსტრატული სპეციფიურობა.

ცნობილია, რომ მცენარას ორგანიზმებში ო-დიფენოლოქსიდაზა და პეროქსიდაზა ყოველთვის ერთადაა წარმოდგენილი და მათი იდენტიფიცირება გაძნელებულია. უკანასკნელ ხანს ეს საკითხიც გადაიჭრა. რქაწითელის ყურძნის კლერტიდან გამოყოფილი და ერთმანეთისაგან განცალკევებული ო-დიფენოლოქსიდაზა და პეროქსიდაზა. შესწავლილია მათი ძირითადი კინეტიკური თვისებები (ს.დურმიშიძე, გ.ფრუიძე, დ.კინწურაშვილი).

მწიფე ყურძნის მტევანში ნანახია ფერმენტ-ასკორბინატიქსიდაზას მაღალი აქტივობა (თ.ხაჩიძე, ც.ძოწენიძე).

დიდი მუშაობაა ჩატარებული ღვინის ტექნოლოგიაში პექტოლიზური პროტეოლიზური ფერმენტული პრეპარატების გამოყენების ეფექტურობის დადგენისათვის (თ.ნანიტაშვილი). შესწავლილია ამ პრეპარატების გავლენით გამოწვეული ბიოქიმიური ცვლილებები ღვინოში. დადგენილია, რომ ფერმენტული პრეპარატების გამოყენებისას დიდდება ტკბილის გამოსავალი, ღვინო ადვილად იწმინდება და უმჯობესდება ხარისხი.

მკვლევართა დიდი ყურადღება მიიქცია სპირტული ღვინოს კომპონებში. ამ დარგში ქართველმა ბიოქიმიკოსებმა მსოფლიო მეცნიერების საგანძურში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტახეს. ღვინოს გარეშე პროდუქტების შესწავლის შედეგად გამოიკვია ქარვამყავას გენეზისი, წარმოქმნის პირობები და რეგულირების გზები. ექსპერიმენტულად შემოწმდა ღვინოს სხვა პროდუქტების - 2,3 ბუთილენგლიკოლის, ძმარმყავასა და ძმრის ალდეჰიდის წარმოშობის წყაროები (ვ.ვახაძე).

ს.დურმიშიძემ აჩვენა, რომ რძემყავას სპირტული ღვინოს ნორმალური პროდუქტია და იგი ამ პროცესში 0,7-1,0 გ-ზე წარმოიქმნება როგორც აერობულ, ისე ანაერობულ პირობებში და, რომ ამ მყავას წყაროა შაქარი და არა ცილა ან ვაშლმყავა. ყოველივე ამის საფუძველზე დადგინდა კოლერაცია ღვინოს პროცესში შაქრისა და მიღებულ პროდუქტთა შორის. ეს დამოკიდებულება გამოიხატა ვ.დვალაძის ცნობილი კოლერაციის ფორმულით.

შესწავლილია აგრეთვე სპირტული ღვინო ანტიპიური აგენტები და გამოვლინდა საერთო კოლერაცია როგორც საერთო შაქრებისა და დუ-

დღის პროდუქტთა შორის, ისე, ის კერძო კანონზომიერებანი, რაც დამახასიათებელია არატიპიური საფუვრებისათვის (ა.ლ.შხი).

შემდგომში ს.დურმიშიძემ გაარკვია, რომ დუღილის დროს ძმარმეცაა შუალედური პროდუქტია და იგი გამოიყენება სხვა ნაერთების, მათ შორის ქარვამეცანას შესაქმნელად.

ს.დურმიშიძემ და გ.მისიაშვილმა აჩვენეს, რომ გლუტამინმეცანას დეზამინირების გზით ქარვამეცანას წარმოქმნისას წყალბადის ექვიმტორია ტრიოზა, რომელიც ადდგენითი რეაქციის შედეგად გლიცერინად გადადის.

განსაკუთრებით საინტერესოა და თეორიულად მეტად საყურადღებოა ს.დურმიშიძის მიერ დადგენილი ის ფაქტი, რომ ფენის საფუვრები აქტიურად ითვისებენ დუღილის მეორად პროდუქტებს. რადიოაქტიული ნახშირბადის იზოტოპიან ნაერთების გამოყენებით გამოიკვია, რომ საფუვრების ბიომასაში ყველაზე უფრო ინტენსიურად ერთვის ძმარმეცანა, აცეტალდეჰიდი, ეთანოლი და ბოლოს რქმეცანა, ნახშირორჟანგი და ქარვამეცანა. ყველაზე უფრო ნაკლებად გლიცერინი. აღმოჩნდა, რომ სპირტული დუღილის დროს საფუვრები ძმარმეცანას იყენებენ ამინომეცანების, ცილებისა და ცხიმების შენებისათვის. საფუვრების ჰიდროლიზატის ამინომეცანებიდან ყველაზე უფრო მეტი რადიოაქტივობა ახასიათებს გლუტამინმეცანას, პროლინს და ორნიტინს. რადიოაქტიულ აცეტალდან საცეცხვზე გამრავლებულ საფუვრებში აღმოჩენილია რადიოაქტიული ტრეგალოზა და ფოსფოგლიცერინმეცანა.

ს.დურმიშიძის მიერ ნიშანდებული ნაერთებით ჩატარებულმა ცდებმა აჩვენა, რომ დუღილის პროცესში ფენის რადიოაქტიული აცეტალდეჰიდიდან უმთავრესად წარმოიქმნება ეთანოლი, გლიცერინი და ძმარმეცანა, აგრეთვე 2,3-ბუთალენგლიკოლი და ქარვის, გლიკოლის და ფუშარის მესვეცები. სრულიად არ წარმოიქმნება რძისა და ვაშლის მესვეცები.

ძმარმეცანა ძირითადად გარდაიქმნება გლიცერინად, ქარვის, გლიკოლის და ფუშარის მესვეცებად, ასევე ეთანოლად, აცეტალდეჰიდად და 2,3-ბუთალენგლიკოლად. ამ პროცესში რძისა და ვაშლის მესვეცები არ წარმოიქმნებიან.

რქმეცანა ძირითადად გარდაიქმნება გლიცერინად, ასევე ძმარმეცანად და ეთანოლად.

გლიცერინიდან ძირითადად წარმოიქმნება რქმეცანა, ასევე გლიკოლმეცანა, 2,3-ბუთალენგლიკოლი, ეთანოლი, ძმარმეცანა და აცეტალდეჰიდი.



ქარვამჭავიდან ძირითადად წარმოიქმნება ცაშლმჭავა და მჭავი. მჭავი გაცივებული, ციანად, ციანად, ციანად და ძმის მჭავები, 2, 3-გზისა და ციანად და ციანად.

მეტად საყურადღებოა დუღილის დროს საფურცლების მიერ ეთილის სპირტისა და ნახშირორჟანგის შეთვისების ფაქტის დადგენა.

და ბოლოს, ს. დურმიშიძემ დამაჯერებლად აჩვენა, რომ სპირტული დუღილის შემორადი პროდუქტების წარმოქმნის მექანიზმი და გარდაქმნები შედარებით უფრო რთულია ვიდრე ეს წარმოდგენილი ჰქონდათ წინათ.

შესწავლილია მიკროელემენტების გავლენა ყურძნის წვენიის ალკოჰოლურ დუღილზე და მიღებულია დენის ბიოქიმიურ მარცენებლებზე (ტ. ლომკაცი).

პრაქტიკული მედენინობისათვის შემუშავებულია ყურძნის გადამამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის შექრიანობა-სპირტიანობის ბალანსის შედგენის დასაბუთებული მეთოდი. შედგენილია ფორმულა, რომლითაც შესაძლებელია დადგინდეს შექრის მთლიანი რაოდენობა ყურძნის მოცემულ პარტიში თუ ცნობილია ყურძნის წონა, გამოსავლიანობა და ტკბილის შექრიანობა. ექსპერიმენტების საფუძველზე გამოყვანილია საინტერესო დებულებები ყურძნის, მისი შესაბამისი ტკბილის და ჭაჭის შექრიანობის შორის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ (დ. გიაშვილი).

შემუშავებულია და წარმოებაში ფართოდაა დანერგილი უწყვეტ ნაკადად ტკბილის დუღილი. ეს წესი შესაძლებლობას იძლევა ნორმალურად წარემართოთ სპირტული დუღილი, რითაც დანაკარგების შემცირებასთან ერთად საგრძობლად იზრდება სადუღარი ჭურჭლის გამოყენების კოეფიციენტი და შრომის ნაყოფიერება, უმჯობესდება პროდუქციის ხარისხი (დ. გიაშვილი).

წარმოებაში დანერგილია, აგრეთვე სუფრის სამარკო თეთრი ვერობელი ტიპის დენიობის რაციონალური ტექნოლოგია, რომელიც ითვალისწინებს დასაძველებელი დენიობის ბოლო პერიოდში მომინანქრებულ ლითონის რეზერვუარებში მოთავსებას. ამ ხერხით დამზადებული დენიონობი დაცულია ზემეტი დაქანჯვისაგან და მნიშვნელოვანი ეკონომიური ეფექტი მიიღება. (ნ. მაჭავარიანი).

შესწავლილია საქართველოს სუფრის თეთრი დენიონობის სიმღვრის მიზეზები და დადგენილია მათი თავიდან აცილების გზები (გ. გუჯუჯიანი).

შესწავლილია კახური ტიპის ღვინის თავისებურებანი და მისი ნედლეული ბაზა. დადგენილია, რომ ძველი, კუსტარული წესით, კახური ტიპის ღვინის დაყენების უპირატესობა ის არის, რომ ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ჭაჭის ინტენსიურ დაუანჯვას, რომლის განხორციელებაც აუცილებელია ამ ტიპის მაღალხარისხოვანი ღვინის მიღებისათვის (ღ.გიაშვილი).

შემუშავებულია კახური ტიპის თეთრი სუფრის ღვინის დამზადების ახალი ტექნოლოგიური ხერხი, ფერმენტირებულ ჭაჭის გამოყენებით. დადასტურებულია, რომ ჭაჭის წინასწარი ფერმენტაცია იწვევს არმატული რიგის ფენოლების, მთრიმლავ და საღებავ ნივთიერებათა ცვლილებებს ყურძნის მტევნის შემადგენელ ნაწილებში, რის შედეგადაც ღვინო უფრო არომატული, უარმონიული და ხარისხოვანი ღვება (გ. ბერიძე).

მაღალხარისხოვანი, ნატურალური ნახევრად ტკბილი ღვინოების დამზადებას მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩაეყარა საფუძველი. დაზუსტდა ამ ტიპის ღვინოების მომცემი ჯიშები და მიკრორაიონები (კ. მოღებაძე, გ. ბერიძე, ვ. კინწურაშვილი, პ. ჯაფარიძე და სხვ.).

საქართველოში სადესერტო-შემავრებული ღვინოების წარმოებას ვ. კანდელაკმა ჩაუყარა საფუძველი. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი გამოკვლევები აქვს წარმოებული დ. ნაცვლიშვილს. მ. აგერასიმოვმა დაადგინა ჩვენს რესპუბლიკაში უმაღლესი ხარისხის ხერცის ტიპის ღვინის წარმოების შესაძლებლობა.

ოცდაათიანი წლების ბოლოს დაზუსტდა აგრეთვე, საშამპანურე ღვინომასალების ზონები და ჯიშები (კ. მოღებაძე, გ. ბერიძე, ნ. აგელაშვილი, ვ. კინწურაშვილი, ვ. დემეტრაძე, ა. სირბილაძე და სხვ.).

სისხლის ყვითელი მარილით საშამპანურე ღვინომასალებიდან ჭარბი ლითონების მოცილების (განლითონების) ქიმიზმის ძირითადი მომენტების გამოკვლევის საფუძველზე შემუშავებულია ამ ღვინომასალების რაციონალური ტექნოლოგია. დადგენილია და წარმოებაში დანერგულია ბოთლური მეთოდით შამპანური ღვინის დამზადებისას გამწვავი ნივთიერებების ოპტიმალური დოზები (ო. დარახველიძე).

ა. ლაშხის მიერ მნიშვნელოვანი გამოკვლევებია ჩატარებული კონიაკის დამზადებისას მიმდინარე ქიმიური ცვლილებების შესწავლის მიმართულებით.

გამოკვლეულია აცეტალის როლი კონიაკის ბუკეტის შექმნაში, და-
 დასტურებულია, რომ აღდეჰიდის სიჭარბე სპირტს აძლევს სიცხარეს და
 არასასიამოვნო ახალგაზრდა უხეში სპირტის გემოს და, რომ კონიაკის
 დაძველებიას ალდეჰიდისა და ეთინოლის ხარჯზე თანდათანობით იზრ-
 დება აცეტალის რაოდენობა და უმჯობესდება სპირტის ხარისხი.

შესწავლილია კონიაკის სპირტის დაძველების კატალიზატორები,
 შიდებული მასალებიდაც ცხადად ჩანს, რომ კონიაკის სპირტის დაძვე-
 ლება მიმდინარეობს ტყინისა და სპილენძის მონაწილეობით.

შესწავლილია ტანინის როლი კონიაკის სპირტის დაძველების საქ-
 მში, რომ დაეანგული მუხის ექსტრაქტი აუმჯობესებს სპირტის გემოს,
 დადგენილია ქართულ საკონიაკე ღვინომასალაში უმაღლესი ალკო-
 ჰოლების რაოდენობა, რომელიც 0,16-0,40 მგ/ლ შორის მერყეობს. ამ
 რაოდენობის 60-90% ღვინის გამოხდისას გადადის საკონიაკე სპირტ-
 ში. მათი ზომიერი რაოდენობა კონიაკს სძენს სპეციფიკურ გემოსა
 და ბუკეტს.

გამორკვეულია, რომ კონიაკის სპირტში ნეიტრალური ეთერების
 ძირითადი წყაროა საკონიაკე ღვინომასალა და, რომ მისი რაოდენობა
 სპირტის დაძველებისას უმნიშვნელოდ მატულობს.

შესწავლილია ქართული მუხის სხვადასხვა სახეობის გავლენა
 საკონიაკე სპირტის ხარისხზე. მიღებული შედეგები მოწმობენ, რომ
 რამდენადაც წვრილია ტკეჩის ფორები, მით მეტია სპირტის ტკეჩთან
 შეხების ხვედრითი ზედაპირი, ამის გამო უფრო სწრაფად წმინდა-
 რეობს საკონიაკე სპირტის დაძველება, მატულობს რთული ეთერების
 რაოდენობა და უმჯობესდება პროდუქციის ხარისხი.

გამორკვეულია საკონიაკე კოლერის ხარშვის დროს მიმდინარე
 შაქარამინური რეაქციაზე მომქმედი ფაქტორები და დადგენილია, რომ
 ეს რეაქცია 2,5-ჯერ უფრო ინტენსიურად ჩატარდება, თუ კოლერის
 ხარშვისას საწარმოო დანიშნულების შაქარით შეცვლით ფართო მოხმა-
 რების სუფთა შაქარს. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვნად მცირდება
 შაქრის ხარჯიც. აღნიშნული ფასისძიება ფართოდაა დაწერგილი კავ-
 შირის მასშტაბით.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა და სხვა გამოკვლევებისა, შესწავლი-
 ლია გარეშე ფაქტორების - სხვადასხვა ეკოლოგიური პირობების, ვა-
 ზის უიშის, ღვინომასალის ხარისხის, გამოხდის რეჟიმის სპირტსახდე-
 ლი აპარატების, საკონიაკე სპირტებს დასაძველებელი გურგელი და

სხვათა გავლენა საკონიაკე სპირტისა და მისგან მიღებული კონიაკე-ბის ხარისხზე (ა.ლაშხი).


მაელი რიგი ექსპერიმენტული სამუშაოების საფუძველზე კონიაკის წარმოებაში ფართოდ დაინერგა საკონიაკე წყლის გასუფთავება იონც-ვლითი ფისებით კათიონიტ *KY-2*-ით და ანიონიტ *AN-1* -ით. ამ ფისების გამოყენებით შესაძლებელია წყლის სიხისტე 10,5⁰-დან 0⁰ დავიყვანოთ (ა.სირბილაძე).

უკანასკნელ წლებში წარმოებაში დაინერგა კახური ტიპის ღვინოების მიწისხედა დანადგარი, შაქრიანობის მიხედვით ყურძნის წვე-ხის გამყოფი დახადგარი, ყურძნის წვეწინის დასადუღებელი განუწყვეტე-ლი მოქმედების დანადგარი, იძერული ტიპის ! ეფრის ღვინის "ღიმის" ტექნოლოგია, ტკბილისა და თაღუღებულ ჭაგის ექსტრაქტორები და სხვ.

მხოლოდ აღნიშნული ღონისძიებების გატარებით მიღებულია 1974 წ. 420 ათ.მანეთი, 1975 წ. 1412 ათ.მანეთი, 1976 წ. 1315 ათ.მანეთი, 1977 წ. 1420 ათ.მანეთი და 1978 წ. 2385 ათ.მანეთი წლიური ეკონომია.

ამჟამად სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები მუშაობენ ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორცაა ღვინისა და კონიაკის სტაბილობის საგარანტიო ვადის გახანგრძლივება, ყურძნის ტკბილის გამოსავლიანობისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა ფერმენტული პრეპარატების გამოყენება, ინერტული გაზის არეში თბო-დამუშავებით კახური ტიპის სამარკო ღვინოების ორგანოლექტიკური მაჩვენებლების გაუმჯობესება, შამპანური ღვინის და კონიაკის ტექნოლოგიის სრულყოფა, წარმოების ნარჩენების რაციონალური გამოყენება, ყურძნის გადაამუშავებისა და მისი პროდუქტების დამზადებისას მიმდინარე ბიოქიმიური ცვლილებების შესწავლა, შრომატევადი სამუშაოების მექანიზაცია-ავტომატიზაცია და სხვ.

სულ უფრო მკაფიოდ და ნაყოფიერი ხდება სამეცნიერო-საკვლევითი და სპაროექტო-საკონსტრუქტორი ინსტიტუტების კავშირი წარმოებასთან, რაც უთუოდ ხელს უწყობს ღვინის ძრეწველობის გაფართოებასა და ტექნიკურ პროგრესს.



Достижения науки в технологии и химии виноделия в Грузии

Изучению природы грузинских вин и протекающих в них процессов было положено начало ещё до установления Советской власти на основанной в Старосельском в 1890 году Сакарской опытной станции в 1895 году была создана энохимическая лаборатория. В начальный период в этой лаборатории работал известный советский энолог Н. Простосердов, позднее К. Модебадзе, В. Гваладзе, В. Деметрадзе и др.

Сразу же после установления Советской власти встал вопрос о подготовке кадров для винодельческой промышленности и расширения научно-исследовательских работ. В 1921 же году при Груз. гос. университете была основана энохимическая лаборатория, которой руководил проф. П. Меликишвили. В 1920-21 учебных годах на агрономическом факультете университета началось преподавание виноделия, как одного из основных предметов. С 1924 года курс энохимии на этом факультете читал проф. К. Модебадзе. В 1925 году была основана кафедра виноделия. В 1930 году был основан в Тбилиси, а затем переведён в Телави Всесоюзный НИИ виноградарства-виноделия.

В 1934 году он был переделан в Закавказский, а в 1937 г. в Груз. институт виноградарства и виноделия.

В настоящее время, кроме указанного института по виноделию работы ведутся в Грузинском Ордена Трудового Красного Знамени сельско-хозяйственном институте и в лабораториях ряда других исследовательских учреждений.

В этой области работают 5 докторов наук, 35 кандидатов наук и более 80 специалистов о высшим образованием.

Развития винодельческой промышленности за годы Советской власти всемирно способствовала неутомимая и целенаправленная работа грузинских ученых.

Существенный вклад в отбор наилучших, более чем из 500 аборигенных и множества интродуцированных виноградных сортов, выделения для них соответствующих микрорайонов и выбора нужного направления внесли отечественные ученые К. Модебадзе, С. Дурмишидзе, Г. Беридзе, А. Лашхи, Н. Гелашвили, В. Денетрадзе, В. Бурджанадзе, А. Сирбиладзе, И. Пейкритвили, В. Кинцурашвили, Д. Гиашвили и др.

В течение ряда лет под руководством В. Гваладзе изучался генезис вторичных продуктов спиртового брожения. С.В. Дурмишидзе установил пути образования молочной кислоты.

В Гваладзе экспериментально проверил происхождение других вторичных продуктов 2,3 бутиленгликоля и уксусного альдегида. На основании вышеуказанного им первым установлена корреляционная зависимость между сброженным сахаром и полученными продуктами. Это связь нашла отражение в классических формулах корреляции В Гваладзе.

Изучено также спиртовое брожение нетипичными агентами и выявлены те закономерности, которые характерны для нетипичных ч. к. дрожжей /А. Лашхи/.

На основании изучения чистых культур дрожжей, установлены те факторы, которые влияют на спиртовое брожение /Г. Мосиашвили, Т. Ломкаци/.

Огромный теоретический и практический интерес представляют



установленные С.Дурмишидзе факты, что винные дрожжи активно поглощают вторичные продукты брожения. С использованием меченного углерода установлено, что в обмене веществ дрожжей очень интенсивно включаются уксусная кислота, ацетальдегид, этанол и далее молочная кислота, CO_2 и янтарная кислота, меньше всего глицерин.

Установлено, что во время алкогольного брожения дрожжи употребляют уксусную кислоту для строения аминокислот, белков и жиров. На основании вышеуказанных открытий С.В.Дурмишидзе показал, что механизм образования вторичных продуктов спиртового брожения и их превращения гораздо сложнее, чем представлялось раньше.

Особенно значительные исследования проведены по изучению фенольных веществ винограда и вина. Исследованиями С.В.Дурмишидзе впервые были выделены катехины, галокатехины и их галлаты.

Установлена химическая природа вещества этого класса и их свойства. Установлена Р-витаминная активность некоторых из них, а это дало возможность по новому представить суть происхождения в вине химических изменений.

С.Дурмишидзе заметил, что во время переработки винограда, при окислении танина имеет место уменьшение процентного количества флороглюцина. Во время получения виноградного сусла сразу начинаются процессы ферментативного превращения дубильных веществ, во время которых уменьшается количество дубильных веществ и меняется его состав. С использованием меченных атомов установлено, что до начала брожения окислительные процессы продолжаются в течение 3 часов. По его же данным во

время созревания количественное содержание катехинов уменьшается, в старом вине их совсем нет.

Изучено превращение катехинов в процессе тепловой обработки и установлена роль дубильных веществ во время мадеризации /Н. Нуцубидзе/.

Выявлены особенности превращения основных компонентов дубильных веществ в период созревания и старения вин /О.Хачидзе/. Исследована динамика свободных аминокислот в разных сортах винограда и полученном из них сусле /Г.Беридзе, М.Сирбиладзе, О.Хачидзе/. Г.Беридзе с сотрудниками установил, что аминокислоты и пептиды ассимилируются из сусла дрожжами и эти вещества после окончания спиртового брожения во время выдержки на дрожжах, опять переходят в вино. Во время изготовления кахетинского вина на ферментированных выжимках вино обогащается разными продуктами ферментативного окисления.

Изучены количественные и качественные изменения пептидов под действием протеолитических ферментных препаратов /Г.Наниташвили и сотр./ . Показано, что протеолитические ферментные препараты в технологии вина, уменьшают количество высокомолекулярных пептидов, вино обогащается низкомолекулярными пептидами и улучшается его качество.

Большая работа проведена по установлению эффективности использования в технологии вина протеолитических и пектолитических препаратов. Изучены биохимические изменения, происходящие в вине под влиянием этих препаратов. Установлено, что использование ферментных препаратов повышает выход сусла, вино легко осветляется и улучшается его качество /Г.Наниташвили и сотр./ .



Установлена роль ацетальдегида и ацеталя в улучшении вкуса и улучшения вкуса коньяка, выявлены также роль железа, меди, окислительного танина и дубового экстракта в период старения коньяка. Изучены высшие спирты, сложные, нейтральные и кислые эфиры, процессы их образования и превращения. Установлены также влияния экологических факторов, сорта лозы, качества виноматериалов, режима выкурки, аппаратов, посуды для старения и других факторов на качество коньячного спирта и полученных из них коньяков. На основе всего изученного разработаны: теоретические основы старения коньячного спирта /А. Лашхи/. Разработан научно обоснованный баланс продуктов переработки винограда, составлена формула, дающая возможность установить суммарное количество сахара в данной партии винограда, если известны вес винограда, выход сусла и сахаристость. На основе экспериментальных данных сделаны выводы насчёт взаимоотношения сахаристости винограда, виноградного сока и мезги /Д.Гишвили/.

Разработан и широко внедрён в производство способ непрерывного брожения виноградного сока. Этот способ даёт возможность нормально провести спиртовое брожение и уменьшить потери, увеличить коэффициент использования посуды и повысить качество продукции /Д.Гишвили/.

Внедрена в производство рациональная технология производства белых столовых вин, предусматривающая выдержка вин эмалированных цистернах последний год старения /Н.Мачавариани/. М.Герасимовым установлена возможность производства высококачественного хереса в Грузии.

К концу тридцатых годов уточнены зоны шампанского производства и сорта для шампанского производства /К.Модебадзе, Г.Беридзе, Н.Гелашвили, В.Кинцурашвили, В.Деметрадзе, А.Сирбиладзе и др./.

В последние годы внедрено производство вин кахетинского типа в надземных резервуарах, установка для сортировки виноградного сока по сахаристости, непрерывно действующая линия для брожения виноградного сока экстракторы для переброженной мезги и т.д.

Внедрение только вышеизложенных изобретений в 1974г. дало 420 000 руб., в 1975- 1412 тыс.руб., в 1976 - 1315 тыс.руб., в 1977г. - 1420 тыс.руб., в 1978г. - 2050 тыс.руб. годичная экономия.

ლიტერატურა

1. მეცნიერება საბჭოთა საქართველოში 40 წლის მანძილზე, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა, 1961.
2. საქართველოში სოფლის მეურნეობის მეცნიერება 40 წლისათვის. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გამომცემლობა, 1961.
3. გ.ბერიძე. მეცნიერების მიღწევები საქართველოს ღვინის მრეწველობაში, თბ., 1962.



66434

გ. ალხაზაშვილი, ლ. მუჯირი,
ა. ლაშხი, ვ. მოდებაძე

მსხლის გადამმუშავების ტექნოლოგიის ინტენსიფიკაცია
ფერმენტაციული მიკრობიოლოგიის საფუძველზე

მსხლის ჯიში "კეფირის თესლენერგი" გავრცელებულია ძირითადად დას. ცლეთ საქართველოში სადაც მას ნარგაობის 85% უკავია. მსხმოიარობა იწყება 5-6 წლის შემდეგ და სრულ მსხმოიარობაში ერთი ძირიდან შეიძლება მიღებულ იქნას 500 კილოგრამამდე. 1981 წლის ოფიციალური აღრიცხვით საქართველოს სსრ საზოგადოებრივ სექტორში ირიცხება აღნიშნულ ჯიშის 280-300 ათასი ნერგი, ხოლო კერძო მეურნეობაში 50 ათასი მსხლის ჯიშს "კეფირის თესლენერგს" არასტანდარტული ნაყოფი აქვს, არ ექვემდებარება შენახვას, მალე ფუჭდება და არატრანსპორტაბელურია; აქედან გამომდინარე, აღნიშნული ჯიში ძირითადად გაფაღისწინებულია, მხოლოდ სამრეწველო გადამმუშავებისათვის და ამ მიმართულებით მისი გამოყენება მეტად პერსპექტიულია. აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ მიზნად დავისახეთ კვლევითი სამუშაოები ჩაგვეტარებინა სწორედ აღნიშნულ ჯიშზე. ნედლეულის გადამმუშავება წვენიდან გამოსავლიანობის გაზრდისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილად ჩავთვალოთ ეფექტური ბიოტექნოლოგიური მეთოდების, კერძოდ ფერმენტული პრეპარატების გამოყენება. უკანასკნელ 10 წელიწადში კავშირისა და საზღვარგარეთ ქვეყნებში ენზიმოლოგიის სწრაფი განვითარების საფუძველზე, შემუშავებული და პრაქტიკაში რეალიზებულია ფერმენტული პრეპარატების გამოყენების მრავალი მეთოდი, როგორც ყურძნის, ასევე ხილ-კენკროვანი ნედლეულის წარმოებაში (1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8) რაც შეეხება მსხლის გადამმუშავებაში ფერმენტების გამოყენებას, ამ მიმართულებით მონაცემები არ არის. ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩვენ მიზნად დავისახეთ გამოგვეკვლია და შეგვეტარა შედარებით ყველაზე ეფექტური ფერმენტული პრეპარატებისა და მისი გამოყენებით შეგვემუშავებინა მაღალხარისხოვანი მსხლის გადამმუშავების ეფექტური ტექნოლოგია.

დასაწყისში ჩვენს მიერ განხილული იქნა ემიურ-ტექნოლოგიური პარამეტრები. კვლევის შედეგებმა გვიჩვენეს, რომ მსხლის წვენიდან გამოსავლიანობა ტექნიკურ სიმწიფეში შეადგენს 65-68%ს, გამოწვენილი დურღო კი შეიცავს საკმარის რაოდენობის პოლისაქარიდებს ბექ-

ტინის, ჰემიცელულოზისა და α - ცელულოზის სახით. ამ მონაცემებზე, საფუძველზე, ჩვენს მიერ შერჩეული იქნა ფერმენტული პრეპარატები, რომლებსაც აქვთ ცელულაზური, ჰემიცელულაზური, პექტოლიტური და მაცერაციული მოქმედების უნარი.

ჰიდროლიზის ჩასატარებლად გამოვიყენეთ სამამულო წარმოების ფერმენტები, რომელსაც უშვებს ბიო-ქიმიური ქარხნები და აგრეთვე ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრები:

ცელოლიგნორინი 10 220 ერთ/გრ

ცელოკონინგინი 10 220 ერთ/გრ

ცელოვირიდინი 10 90 ერთ/გრ

ცელობრანინი 10X90 ერთ/გრ

პექტოზოფტიდინი 10X35 ერთ/გრ

პრეპარატი *Fusarium Sp* 51371 105 ერთ/გრ

პრეპარატი *Penicillium Sp* 57699 50 ერთ/გრ

პრეპარატი *Mt. terreus* 17 P 120 ერთ/გრ

ჰიდროლიზის შედეგების და ცალკეული ფერმენტული პრეპარატების სპეციფიკის ღრმად შესწავლის მიზნით, მსხლის გამოწვლილული ღურღო-დან ცალ-ცალკე ვყოფდით პოლისაქარიდების ფრაქციებს და ვატარებდით ჰიდროლიზს ფერმენტული პრეპარატებით. ფრაქციონირებას ვახდენდით ექსტრაქციის გზით ეთილის სპირტით, ცხელი წყლით და მკვებებისა და ტუტეების სხვადასხვა კონცენტრაციებით, რის შედეგადაც მივიღეთ შემდეგი ფრაქციები: სპირტში ხსნადი და სპირტში უხსნადი ფრაქციები - პექტინი, პროტოპექტინი, ჰემიცელულოზები A, B და α - ცელულოზა. პოლისაქარიდების რაოდენობრივმა განსაზღვრამ გვიჩვენა, რომ საერთო შემცველობა პექტინისა შეადგენს 27%, პროტოპექტინისა 8, 5, ჰემიცელულოზა A - 14, 3%, ჰემიცელულოზა B - 5, 9% და α - ცელულოზასი 25, 9%. გარდა ამისა ჩვენს მიერ განსაზღვრული იქნა აგრეთვე უჯრედის კედლის მნიშვნელოვანი შემადგენელი კომპონენტი - ლიგნინი, რომლის შემცველობა ხსნარში მერყეობს 10-12%. პოლისაქარიდების სხვადასხვა ფრაქციების ჰიდროლიზი ტარდებოდა დროის სხვადასხვა მონაკვეთში 20°C და 40°C ტემპერატურებზე.

საწარმოო პირობებთან მაქსიმალური მიახლოებების მიზნით pH - ის არეს ვიღებდით არა ფერმენტული პრეპარატების ოპტიუმის მიზნით, არამედ მსხლის წვენის მიხედვით ტექნიკური სიმწიფისას, რომელიც შეადგენდა 4-4, 5. ჰიდროლიზის ხარისხს ვსაზღვრავდით მონოსაქარიდების, გლუკოზის, გალაქტურონის მკვების დაგროვებით ჰიდ-



როლიზატებში, აგრეთვე წვეწვანის გამოსავლიანობით, სიბლანტიანობითა და ტრაციის უნარით.

პოლისაქარიდების სხვადასხვა ფრაქციების ფერმენტული ჰიდროლიზის შედეგად მიღებული ნაერთების მიღების შესწავლამ დაგვანახა, რომ ხარისხობრივი შემადგენლობა და რაოდენობრივი შეფარდება მონისაქარიდებისა განისაზღვრება ფერმენტული პრეპარატის ბუნებით, სუბსტრატთან შეფარდებით და აგრეთვე ტემპერატურის ხანგრძლივობით.

ტიქნოლოგიური რეჟიმის ოპტიმალური ვარიანტის დასადგენად ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა გვიჩვენა, რომ ცელოკონინგინის გამოყენება კომპლექსში *Fusarium Sp* 51371 პრეპარატთან ერთად იძლევა კარგ შედეგს. აქედან გამომდინარე, ნათელი ხდება, რომ მსხლის გადამუშავების ტექნოლოგიის დახვეწა შესაძლებელია ცელულაზური ფერმენტული პრეპარატების გამოყენებით, სადაც კარგ შედეგს იძლევა ცელოკონინგინი $\Pi 10X$, მაგრამ შედარებით სრული ჰიდროლიზის ჩატარებისათვის გამოსავლიანობის გაზრდის, სიბლანტის შემცირების და ფილტრაციის პროცესის დაჩქარების მიზნით, მიზანშეწონილია გამოყენებული იქნეს აგრეთვე პექტოლიტური ფერმენტული პრეპარატები. კარგი შედეგები მოგვცა ამ მიმართულებით პექტოლიტურმა ფერმენტულმა პრეპარატმა, რომელიც მიღებულია *Fusarium Sp* 51371 შტამიდან.

ფერმენტული პრეპარატების გამოყენებით ჩატარებულმა ცდებმა მსხლის ღურღობე, საშუალება მოგვცა დავასკვნათ, რომ ფერმენტაციული ჰიდროლიზის ოპტიმალური რეჟიმის მიღწევის საშუალება გვიძლევა მაშინ, როდესაც ფერმენტაცია ტარდება კომბინირებული ფერმენტული პრეპარატებით: ცელოკონინგინი $\Pi 10X$ და *Fusarium Sp* 51371 0,03-0,1% რაოდენობით, $40^{\circ}C$ ტემპერატურაზე 6-7 საათის განმავლობაში, ხოლო $20^{\circ}C$ ტემპერატურის პირობებში კი 12-14 საათის განმავლობაში.

ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული შედეგების საფუძველზე ჩვენს მიერ შემუშავებულია მსხლის გადამამუშავების ტექნოლოგიური სქემა.

ძილება \rightarrow ინსპექცია \rightarrow რეცხვა \rightarrow დაქუცმაცება \rightarrow ღურღოს გაცხელება $40^{\circ}C$ -მდე \rightarrow ფერმენტული პრეპარატის დოზირება \rightarrow ფერმენტული ჰიდროლიზი 6-7 საათის განმავლობაში $40^{\circ}C$ ტემპერატურაზე \rightarrow ღვინო + $19-26^{\circ}$ \rightarrow გამოწნევა უწყვეტი წნეხში \rightarrow საბოლოო გამოწნევა პერიოდული მოქმედების წნეხში.

შემუშავებულმა ტექნოლოგიურმა სქემამ გაიარა საწარმოო და საუწყებო გამოცდები და რეკომენდირებულია წარმოებაში დასაანერგად.

Г.Г. Алхазашвили, Л.А. Муджири,
А.Д. Лашхи, В.П. Модебадзе

Интенсификация технологии переработки груш
на основе ферментативного гидролиза

Резюме

С целью интенсификации технологии переработки груш применены ферментные препараты. Для гидролиза использовали отечественные препараты. С целью изучения глубины гидролиза и специфики действия каждого ферментного препарата в отдельности выделяли фракции полисахаридов из грушевых выжимок и проводили их гидролиз исследуемыми препаратами. В результате фракционирования получены следующие фракции: спирторастворимая, спиртонерастворимая - пектины, протопектины, гемицеллюлозы А, В и α -целлюлоза.

Гидролиз разных фракции полисахаридов проводился в течении разного времени, температуры. Качество гидролиза определяли по содержанию в гидролизатах моносахаридов, глюкозы и галактуроновой кислоты, а также по выходу, вязкости и фильтрационной способности сока.

Проведенные опыты по применению ферментных препаратов для грушевой мякоти позволяют заключить, что оптимальными режимами ферментации представляются ферментирование комбинированным ферментным препаратом целлоксинингин П 10х и *Fusarium Sp* 51371 в дозах 0,03 - 0,1% при температуре 40°C в течении 6 - 7 часов, а при температуре 20°C в течении 12 - 14 часов.



На основании полученных результатов исследования составлена технологическая схема переработки груш, приемка груш — инспекция — мойка — дробление — нагрев мезги до 40°C — дозирование ферментных препаратов — ферментативный гидролиз в течении 6 - 7 часов при температуре $19 - 26^{\circ}\text{C}$ — прессование мезги на прессах непрерывного действия — допрессование на прессах периодического действия.

Разработанная технология прошла производственные и ведомственные испытания и рекомендована для внедрения.

Л и т е р а т у р а

1. Воробьева Е.В., Юдин Е.В. Роль некоторых ферментов в технологических процессах приготовления вин. Садоводство, виноградарство и виноделие Молдавии, 1977, № 3, с. 37-39
2. Датунашвили Е.Н. Применение ферментных препаратов в виноградном виноделии. Ферментные препараты в пищевой промышленности. М.; Пищевая промышленность, 1975, с. 225-306
3. Датунашвили Е.Н., Ежов В.Н., Азизов Н.А., Сулейманов Д.С., Рагимов Н.К. Разработка технологических режимов приготовления и стабилизации вин в условиях Азербайджана. Вив СССР, 1980, № 7, с. 8-10

- Кишковский Э.Н., Калунянц К.А., Рохленко С.Г. Применение пектолитических ферментных препаратов при получении вин из крыжевника и черной смородины. Вив СССР, 1974, № 7, с. 21-25.
- Микеладзе Г.Г. Применение ферментных препаратов в производстве плодово-ягодных соков, вина и безалкогольных напитков. Ферментные препараты в пищевой промышленности, М.; Пищевая промышленность, 1975, с. 143-224.
- Наниташвили Т.С. Технологические основы применения пектолитических и протеолитических ферментных препаратов в виноделии. Диссер., на соиск. уч. степ. докт. техн. наук, Тбилиси, 1971, с. 399.
- Фадеев А.И., Средницкий Л.О., Кадетова С.И. Опыт переработки яблок с применением ферментных препаратов. Вив СССР, 1977, № 7, с. 19-21.
- Калдаре Г.А., Пономарева Н.П., Зинченко В.И. Динамика ферментативного гидролиза полисахаридов яблок. Углеводсодержащие соединения сочных плодов и их обмен. Изд. Штиинца, Кишинев, 1978, с. 62-69.

გ.არაბიძე, გ.კობახიძე,
ნ.გამყრელიძე, ნ.კინწურაშვილი

ქართული დვინო "გელათი" დვინომასალების
ქიმიური შედგენილობა

სკკპ და საქართველოს კპ XXVI ყრილობების გადაწყვეტილებით მკვეთრად უნდა გაიზარდოს ყურძნის დვინის წარმოება და ამავდროულად გამოშვებული პროდუქციის ხარისხი. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მასობრივი მოხმარების დვინობის წარმოებას, რომლებიც მედვინეობის მთელი პროდუქციის 90-92% შეადგენენ. თანამედროვე მოხონება, რომლებიც წაეყენება სუფრის თეთრ ორდინალურ დვინობებს შემდეგია: დვინო უნდა იყოს მსუბუქი და ხალისიანი, ნაკლებ დატანგული და მდგრადი სიმღვრივეთა მიმართ.

ქართული დვინო "გელათი" დასავლეთ საქართველოში ერთ-ერთი უარაოდ გავრცელებული მასობრივი სუფრის დვინოა, რომელიც მომხმარებელთა დიდ მოწონებას იმსახურებს, ამიტომ შესწავლილი იქნა "გელათის" დვინომასალების ქიმიური შედგენილობა და გამოკვლეული იქნა ამდვრევის მიზეზები მათ წინააღმდეგ ბრძოლის დონისძიებათა დასახებად.

1976-78 წლებში ისწავლებოდა დასავლეთ საქართველოს - ზესტაფონის, თერჯოლის, მაიაკოვსკის, ორჯონიკიძის, ვანის, ჩოხატაურის, ქედის და ჯეგეჭკორის დვინის ქარხნებში დამზადებული "გელათის" დვინომასალები. შედეგები მოტანილია ცხრილში.

მიღებული შედეგებიდან ჩანს, რომ სხვადასხვა რაიონების "გელათის" დვინომასალების ქიმიური შედგენილობა მკვეთრად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან და ძირითადად ნორმის ფარგლებში მერყეობს. დვინომასალები მსუბუქია და ხალისიანი, სიმავრე მერყეობს, 9,1-დან 11,93 მოც.-%-მდე. შედარებით მომეტებული ტიტრული მეთაიანობით გამოირჩევიან ზესტაფონის, თერჯოლის და ორჯონიკიძის რაიონების მადლობით ადგილების დვინის ქარხნების მიერ დამზადებული დვინომასალები, რომლებშიც ტიტრული მეთაიანობა 8,33-დან 10,42 გ/ლ-მდე მერყეობს.

სხვა კომპონენტებიდან აღსანიშნავია ალდეჰიდების მოჭარბებული რაოდენობა. როგორც გამოკვლევები ცხადყოფს, ალდეჰიდების ჭარბ

"გელათის" ფინანსსახელმძღვანელოში შემოსულის კომპონენტების შედგენილობა და ორგანო-სტრუქტურა 1976-78 წლების მონაცემები

| გამოკვეთილი კომპონენტები | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|-------------------------------|---------------------|----------------|-----------------|--------------------|---|
| | შესტაფინების რაიონი | თეჯვლის რაიონი | მათკაჟის რაიონი | ორჯონიკიძის რაიონი | |
| ხვედრითი წონა | 0,9923-0,9932 | 0,9923-0,9935 | 0,9921-0,9938 | 0,9920-0,9936 | |
| ალკოჰოლი მოც.წმ-ში | 10,76-11,43 | 10,84-11,05 | 9,68-11,92 | 9,1-10,85 | |
| ტიტრული მუცავიანობა გ/ლ | 5,25-8,33 | 6,31-10,42 | 5,25-9,07 | 6,75-9,15 | |
| მქროლავი სიმყავე გ/ლ | 0,468-0,682 | 0,361-0,588 | 0,420-0,588 | 0,219-0,504 | |
| ფინომყავა გ/ლ | 2,95-3,81 | 2,65-3,40 | 1,63-4,77 | 2,11-3,31 | |
| შაქარი გ/ლ | 0,61-1,25 | 0,85-2,24 | 0,71-1,25 | 0,61-1,15 | |
| ტანინი გ/ლ | 0,187-0,412 | 0,185-0,336 | 0,201-0,367 | 0,150-0,239 | |
| ვლიცერინი გ/ლ | 3,87-4,80 | 3,77-4,15 | 3,90-5,43 | 2,45-3,04 | |
| საერთო აზოტი გ/ლ | 0,145-1,487 | 0,218-0,431 | 0,170-0,470 | 0,176-0,315 | |
| ტენინი გ/ლ | 13,1-22,5 | 15,5-21,4 | 13,5-25,1 | 18,5-28,2 | |
| ალდეჰიდი გ/ლ | 35,0-41,0 | 38,0-80,5 | 30,5-75,5 | 28,5-70,1 | |
| საერთო ნმვ. გ/ლ | 356-410 | 290-383 | 341-415 | 292-315 | |
| სადეჰესტაციო შეფასება ბალებში | 6,8-7,6 | 6,9-7,5 | 6,9-7,3 | 7,0-7,5 | |



ცხრილის გაგრძელება

| გამგზავნი კომპანიები | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---------------------------------|-----------------|----------------------|-----------------|----------------------|---|
| | განის რაიონი | ჩოხატაურის რაიონი | ქედის რაიონი | გამბეგორის რაიონი | |
| ხედილოვი წონა | 0,9923-0,9939 | 0,9918-0,9930 | 0,9922-0,9934 | 0,9918-0,9973 | |
| ალკოჰოლი მოკ.წ-ში | 9,34-11,60 | 9,71-10,51 | 9,15-10,01 | 9,15-10,76 | |
| ტეტრალი მუხეიანობა გ/ლ | 6,30-8,40 | 5,02-8,52 | 4,72-8,35 | 5,25-9,70 | |
| მქროლავი სიმები გ/ლ | 0,482-0,552 | 0,245-0,372 | 0,195-0,418 | 0,210-0,468 | |
| ღვინომება გ/ლ | 2,98-4,35 | 2,70-3,16 | 1,71-2,10 | 1,13-2,64 | |
| შაქარი გ/ლ | 0,86-1,20 | 1,00-1,25 | 0,45-1,85 | 0,45-1,85 | |
მაღალმოლეკულურ აზოტიან ნაერთებში შეკავშირებული ამინომჟავების განსაზღვრისათვის ჩვენ ვატარებდით ნიმუშების მკაფიურ ჰიდროლიზს და ჰიდროლიზატში ვსაზღვრავდით ამინომჟავებს; ამრიგად, ვსაზღვრავდით თავისუფალ პლუს მაღალმოლეკულურ ნაერთებში შეკავშირებულ ამინომჟავებს, რომლებსაც ჩვენ საერთო ამინომჟავებს ვუწოდებთ. საერთო და თავისუფალ ამინომჟავათა სხვაობით ვანგარიშობდით მაღალმოლეკულურ ნაერთებში შეკავშირებულ ამინომჟავებს.

მაღალმოლეკულურ ნაერთებში შეკავშირებული ამინომჟავების შემცირება ჩვენ მივაწერეთ მათ ჰიდროლიზს, ხოლო იქ, სადაც ამ პროცესს ერთდროულად საერთო აზოტის შემცირებაც ერთვოდა მათს გაშოლქვას. საერთო ამინომჟავათა შემცირება უნდა მიეწეროს ან თავისუფალ ამინომჟავათა გარდაქმნებს და ურთიერთმოქმედებას ღვინის სხვა კომპონენტებთან, ან მაღალმოლეკულური ნაერთების გამოლექვას.

როგორც მონაცემებიდან ჩანს (ცხრილი 1, 2) საერთო ამინომჟავების ჯამური შემცველობა მესამე გადაღების შემდეგ ყველაზე მცირე რაოდენობით წარმოდგენილია ნიმუშში, რომელმაც შედარებით უფრო მაღალი სადგურსტაციო შეფასება მიიღო. იგივე შეიძლება ითქვას მაღალმოლეკულურ ნაერთებში შეკავშირებული ამინომჟავების ჯამურ რაოდენობაზეც. ყველაზე მცირე რაოდენობით ისინი წარმოდგენილია მეორე ვარიანტში. უფრო დიდია მათი შემცველობა პირველ ვარიანტში

ცხრილი 1

ამინომუკავათა ცვლილებები სხვადასხვა წესით
დაწმენდილი ტკბილისაგან დაყენებულ
დვინომასალებში მეორე გადაღების შემდეგ მგ/ლ

| ამინომუკავები | ვარიანტი I 150 მგ/ლ SO ₂ | | | ვარიანტი II 50მგ/ლ SO ₂ + +1გ/ლ ბენტონი- ნიტი | | | ვარიანტი III 50მგ/ლ SO ₂ + +1გ/ლ ბენტონი- ტი+300მგ/ლ პოლიაკრილამიდი | | |
|-----------------|--|--------|--------|---|--------|--------|--|--------|--------|
| | საერთო | თავის. | შეკავ. | საერთო | თავის. | შეკავ. | საერთო | თავის. | შეკავ. |
| ლიზინი | 25,8 | 21,7 | 4,1 | 27,7 | 19,6 | 8,1 | 41,6 | 16,6 | 25,0 |
| პისტიდინი | 15,4 | 10,0 | 5,4 | 17,2 | 6,6 | 10,6 | 27,3 | 5,7 | 21,6 |
| არგინინი | - | 18,1 | - | - | 8,9 | - | - | 8,8 | - |
| ასპარაგ. მუკავა | 15,8 | 10,0 | 5,8 | 17,1 | 14,3 | 2,8 | 27,8 | 8,2 | 19,6 |
| ტრონინი | 10,3 | 3,7 | 6,6 | 11,4 | 3,3 | 8,1 | 19,2 | 2,9 | 16,4 |
| სერინი | 14,6 | 7,2 | 7,4 | 13,0 | 6,4 | 6,6 | 23,5 | 5,1 | 18,4 |
| გლუტამ. მუკავა | 21,8 | 18,5 | 3,3 | 20,3 | 11,0 | 9,3 | 34,2 | 8,6 | 25,6 |
| პროლინი | - | 2112 | - | - | 1905 | - | - | 1819 | - |
| გლიცინი | 18,2 | 6,3 | 11,9 | 20,7 | 6,5 | 14,2 | 25,2 | 5,3 | 19,9 |
| ალანინი | 26,8 | 18,3 | 8,5 | 25,6 | 19,1 | 6,5 | 29,7 | 11,5 | 18,2 |
| ვალინი | 13,6 | 11,3 | 2,3 | 14,5 | 12,4 | 2,1 | 21,4 | 9,5 | 11,9 |
| მეთიონინი | 4,5 | 3,0 | 1,5 | 5,2 | 4,5 | 0,7 | 9,3 | 4,1 | 5,2 |
| იზოლევცინი | 10,2 | 2,7 | 7,5 | 12,2 | 3,4 | 8,8 | 17,7 | 2,4 | 15,3 |
| ლეიცინი | 10,9 | 7,6 | 3,3 | 10,1 | 6,1 | 4,0 | 16,2 | 4,9 | 11,3 |
| ტიროზინი | 4,9 | 4,4 | 0,5 | 5,6 | 4,2 | 1,4 | 9,9 | 2,9 | 7,0 |
| ფენილ-ალან. | - | 11,9 | - | - | 11,1 | - | - | 13,1 | - |
| ჯამი პროლ. | | | | | | | | | |
| არგინ. და | | | | | | | | | |
| ფენილ-ალანის | | | | | | | | | |
| გარეშე | 192,8 | 1247 | 68,1 | 200,6 | 117,4 | 83,2 | 3030 | 7,72 | 153 |
| საერთო აზოტი | | 1355 | | | 125,6 | | | 10,4 | |



ამინომჟავათა ცვლილებები სხედასხვა წესით
დაწმენდილი ტკბილისაგან დაყენებულ ფვინომბასალეზში
მესამე გადაღების შემდეგ მგ/ლ

ამინომჟავები

ვარიანტი I
150მგ/ლ S_{02}

ვარიანტი II
50მგ/ლ $S_{02} +$
 $+1გ/ლ$ ბენტო-
ნიტი

ვარიანტი III
50მგ/ლ $S_{02} +$
 $+1გ/ლ$ ბენტო-
ნიტი $+30მგ/ლ$
პოლიაკრილა-
მიდი

| | ვარიანტი I | | | ვარიანტი II | | | ვარიანტი III | | |
|--|------------|-------|---------|-------------|-------|---------|--------------|-------|---------|
| | საერთო | თავის | შეკავშ. | საერთო | თავის | შეკავშ. | საერთო | თავის | შეკავშ. |
| ლიზინი | 26,5 | 22,7 | 3,8 | 22,8 | 21,3 | 1,5 | 22,8 | 19,1 | 3,7 |
| ჰისტიდინი | 15,2 | 8,4 | 6,8 | 14,9 | 6,2 | 8,7 | 14,4 | 8,0 | 6,4 |
| არგინინი | - | 11,5 | - | - | 21,0 | - | - | - | - |
| ასპარაგინის მჟავა | 18,6 | 5,3 | 13,3 | 11,5 | 10,1 | 1,4 | 25,5 | 6,7 | 18,8 |
| ტრეონინი | 9,4 | 3,2 | 6,2 | 8,9 | 3,0 | 5,9 | 21,3 | 1,9 | 19,4 |
| სერინი | 13,8 | 4,0 | 9,8 | 10,1 | 3,8 | 6,3 | 20,9 | 3,7 | 17,2 |
| გლუტამინის მჟავა | 18,3 | 14,2 | 4,1 | 13,4 | 10,7 | 2,7 | 43,8 | 6,6 | 37,2 |
| პროლინი | - | 1972 | - | - | 1715 | - | - | 1826 | - |
| გლიციხი | 19,8 | 6,7 | 13,1 | 14,7 | 6,7 | 8,0 | 21,1 | 4,9 | 16,2 |
| ალანინი | 27,9 | 16,9 | 11,0 | 22,2 | 19,9 | 2,3 | 37,7 | 2,6 | 35,1 |
| ვალინი | 15,0 | 7,1 | 7,9 | 11,0 | 11,2 | 0 | 21,0 | 13,1 | 7,9 |
| მეთიონინი | 7,1 | 5,7 | 1,4 | 5,9 | 7,0 | 0 | 6,9 | 5,3 | 1,6 |
| იზოლეიცინი | 12,1 | 4,1 | 8,4 | 8,3 | 4,2 | 4,1 | 17,2 | 2,7 | 14,5 |
| ლეიცინი | 10,0 | 8,4 | 1,6 | 8,5 | 5,7 | 2,8 | 15,6 | 4,6 | 11,0 |
| ტიროზინი | 7,3 | 5,0 | 2,3 | 5,0 | 4,6 | 0,4 | 6,3 | 2,8 | 3,5 |
| ფენილ-ალანინი | - | 10,9 | - | - | 10,2 | - | - | 11,1 | - |
| ჯამი პროლინის, არგინინის და ფენილ-ალანინის გარეშე | 2014 | 1117 | 89,7 | 1572 | 1144 | 44,1 | 2745 | 82,0 | 1925 |
| საერთო აზოტი | | 1253 | | | 1218 | | | 1007 | |
| საშ.ბალური შეფასება | | 8,55 | | | 8,60 | | | 8,50 | |

კიდევ უფრო მეტიც მესამე ვარიანტში. თუ შევადარებთ ერთმანეთს მესამე ვარიანტს (მესამე გადაღების შემდეგ) დავინახავთ, რომ მეორე ვარიანტში პირველ ვარიანტთან შედარებით საერთო ამინომჟავათა ზემოქმედება რაოდენობა შემცირდა 44,2 მგ/ლ-ით და 45,6 მგ/ლ-ით მაღალმოლეკულურ ნაერთებში შეკავშირებულ ამინომჟავათა ზემოქმედება საერთო აზოტის მინიმალური შემცირებისას 3,4 მგ/ლ-ით. ეს მოსალოდნელი მიგვითითებენ იმას, რომ მეორე ვარიანტში პირველ საკონტროლო ვარიანტთან შედარებით უფრო მეტი ამინომჟავები გამონთავისუფლდა ღვინოში მიმდინარე ფერმენტული ჰიდროლიზის შედეგად მაღალმოლეკულური ნაერთებიდან, დაემატა თავისუფალ ამინომჟავებს და უფრო მეტიც, გარდაიქმნა თავისუფალი და შეკავშირებულიდან გამონთავისუფლებული ამინომჟავები.

შესაძლოა ამის მიზეზი იყოს, რომ პირველ ვარიანტში SO_2 -ის დოზამ გამოიწვია ფერმენტული სისტემის რამდენადმე დათრგუნვა, როგორც ლიტერატურაში არის ცნობილი (1).

მესამე ვარიანტში, პირველთან შედარებით დაჰიდროლიზდა $102,8$ მგ/ლ-ით ნაკლები მაღალმოლეკულურ ნაერთებში შეკავშირებული ამინომჟავა და გარდაიქმნა $73,09$ მგ/ლ-ით ნაკლები ამინომჟავა ე.ი. აქველ ვარიანტში უფრო იჩინეს თავს ჰიდროლიზისა და გარდაქმნის პროცესები ვიდრე მესამე ვარიანტში, როგორც ჩანს ჰიდროლიზის პროცესების შენელება მესამე ვარიანტში უნდა მიეწეროს პოლიაკრილამიდი, ბენტონიტისა და SiO_2 -ის ერთდროულ მოქმედებას.

რაც შეეხება ამინომჟავათა ცალკეული წარმომადგენლების ცვალებადობას, უნდა აღინიშნოს, რომ ასპარაგინის მჟავა, ტრეონინი, სერინი, ჰისტამინის მჟავა, გლიცინი, ალანინი, ვალინი, იზოლეიცინი, ლეიცინი საერთო სახით, თავისუფალი და შეკავშირებული) ყველაზე მეტად შემცირებული მეორე ვარიანტში, რაც აგრეთვე მიუთითებს მეორე ვარიანტში აზოტოვან ნივთიერებათა უფრო ძლიერ გარდაქმნაზე.

მეორე ვარიანტის მეორე და მესამე გადაღებების შედარება გვიჩვენებს, რომ გადაღებიდან-გადაღებამდე აღნიშნულ ნიმუშში საერთო ამინომჟავათა ზემოქმედება შემცირდა $43,4$ მგ/ლ-ით, შეკავშირებული ამინომჟავათა ზემოქმედება შემცირდა $39,1$ მგ/ლ-ით, საერთო აზოტი შემცირდა სულ რაღაც $3,8$ მგ/ლ-ით, ე.ი. შეკავშირებული ამინომჟავების შემცირება ამ შემთხვევაში მიეწერება მათ გარდაქმნას. ამგვარად, ამ ერთსა და იმავე ნიმუშში გადაღებიდან-გადაღებამდე მაღალმოლეკულური ნაერთებიდან გამონთავისუფლდა



39, I მგ/ლ, ეს რაოდენობა დაემატა თავისუფალ ამინომჟავებს და სულ გარდაქმნა 43,4 მგ/ლ თავისუფალი ამინომჟავება.

ამგვარად, ჩატარებული სამუშაოს შედეგად დადგენილი იქნა, რომ აზოტიან ნივთიერებათა გარდაქმნები, როგორც მაღალმოლეკულური ნაერთების ჰიდროლიზი, ასევე თავისუფალი და მაღალმოლეკულური ნაერთებიდან გამონთავისუფლებული ამინომჟავების გარდაქმნა მეტი ინტენსივობით წარიმართა შედარებით მაღალი სადეგუსტაციო მონაცემების მქონე ნიმუშში, კერძოდ, ღვინომასალებში, რომლებიც მიღებულია გოგირდოვანი მჟავას ანჰიდრიდისა (50 მგ/ლ) და ბენტონიტით (1გ/ლ) დაწმენდილი ყურძნის ტკბილისაგან.

დასკვნა

1. ჩატარებული სამუშაოს შედეგად დადგენილი იქნა, რომ შედარებით მაღალი სადეგუსტაციო მონაცემების ნიმუშში, კერძოდ, ღვინომასალებში, რომელიც მიღებულია გოგირდოვანი მჟავას ანჰიდრიდისა (50 მგ/ლ) და ბენტონიტით (1გ/ლ) დაწმენდილი ყურძნის ტკბილისაგან, მეტი ინტენსივობით წარიმართა აზოტიან ნივთიერებათა გარდაქმნები, როგორც მაღალმოლეკულური ნაერთების ჰიდროლიზი, ასევე თავისუფალი და მაღალმოლეკულური ნაერთებიდან გამონთავისუფლებულ ამინომჟავების გარდაქმნები.

Н.В.Гваладзе, А.Л.Сирбиладзе

Влияние способов осветления суслу на
 изменение азотистых веществ в процессе созревания
 и старения столовых виноматериалов европейского
 типа

Р е з ю м е

Были изучены изменения азотистых веществ после второй и третьей переливок в виноматериалах полученных из одного и того-же суслу осветленного разными способами /I- O_2 150 мг/л - классическая технология; II - бентонит I г/л + O_2 50 мг/л; III - O_2 50 мг/л + бентонит I г/л + полиакриламид 30 мг/л/.

В частности изучали общий азот, свободные аминокислоты и путем кислотного гидролиза в б состав общих аминокислот /свободные + связанные высокомолекулярные азотистые соединения/. По разности между общими и свободными аминокислотами рассчитывали количество связанных и высокомолекулярные азотистые соединения аминокислот.

Установлено, что превращение азотистых веществ - как гидролиз высокомолекулярных азотистых соединений, так и превращение аминокислот интенсивнее происходит в образце, получившем сравнительно более высокую дегустационную оценку /виноматериал полученный из суслу осветленного O_2 50 мг/л + бентонит I г/л/.

Л и т е р а т у р а

1. Нилов В.И., Скурихин И.М. Химия виноделия. Пищевая промышленность. М., 1967


 სამამულო მაგარი სასმელების მრეწველობის
 ისტორიიდან

სამამულო მაგარი სასმელების წარმოების ჩამოყალიბება-განვითარების შესახებ, მრავალწლიანი კვლევის შედეგად, გამოვლენილმა მრავალრიცხოვანმა ისტორიულმა, საარქივო, ლიტერატურულმა, ენზუალურმა, ნივთიერმა და სხვა მასალებმა, მათმა შესწავლა-ანალიზმა წარმოგვისახა XIX ს. მიუღი რიგი საკითხები, რომელთა შესწავლაში წინამორბედი არა გვყავს. ამ დარგში ჩვენამდე შესწავლილი საკითხები შეეხებოდა მოწოდების ტურთი კაპიტალიზმისა და უფრო გვიანდელი პერიოდის სპირტის მრეწველობის და მეღვინეობის განვითარებას, რაც შეეხება მეღვინეობის და მაგარი სასმელების წარმოების ჩამოყალიბება-განვითარების საკითხებს, მისი მრეწველობის საწყისებს, პირველ ქარხნებს, ასორტიმენტს, ტექნოლოგიას, ნაწარმთა ხარისხს, მონაწილეობას სამამულო და უცხოეთის გამოყენებზე, ამ დარგის სპეციალისტებს, მეცნიერებს და სხვათა, მათ შესწავლას აბრკოლებდა წყაროთა ნაკლებობა, ადურიცხაობა, გაფანტვა სხვადასხვა წყაროებში (1) აკად. პ. გუგუშვილი აღნიშნავს: "ასეთი ცნობების მოგროვება არ ხდებოდა და ამიტომ მოგვეპოვებოდა მხოლოდ სხვადასხვა დროის ნაწილობრივი ინფორმაცია და მიმოხილვა" (2, გვ. 359). განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენდა დასავლეთ საქართველოს მასალათა მიმოვება. მრავალი საბუთი სამუდამოდ იყო დაკარგული ავარსკის მარბიელი რაზმების მიერ 1906 წელს ქუთაისის არქივის დაწვის გამო და მენშევიკური მთავრობის (1918 წ.) ადგილობრივი ორგანოების მიერ იმავე არქივის შესაფუთ ქაღალდად გაყიდვის შედეგად. ამიტომ, როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: დიდი მნიშვნელობა ენიჭება დასავლეთ საქართველოს ეკონომიკურ და კულტურული განვითარების ამსახველ ყოველ წყაროს და მათში შემონახულ მცირე ცნობებსაც კი (3, გვ. 43).

ამ მიმართულებით ჩვენს მიერ ჩატარებული მრავალდარგობრივი გამოკვლევები გარკვეულ სიცხალეს შეიტანს მაგარი სასმელების ისტორიაში.

სარეპრეზენტაციო, ენზუალური სამრეწველო გრაფიკის საშუალებების პიებათა ჩატარებულმა ციკლმა დაგვიდაინინა მრეწველთა გვარები, ქარხნების ადგილმდებარეობა, საქარხნო ნიშნები, კომპანიონის არსე-

ბოზა, ასორტიმენტი, მისი წარმოების დრო, ხარისხი, სავაჭრო, საექსპორტო სახე, მონაწილეობა სამამულო, თუ უცხოეთის გამოფენაზე, მიღებული ჯილდოების რაოდენობა, სახეობა და სხვა. მოგვცა ცნობები თვით მრეწველებზე, მათ ცოდნა-განათლებლაზე, წოდებებზე, პირად ჯილდოებზე, მათ ხასიათზე და მრავალი სხვა. დღეისთვის მარტო გ. ბოლქვაძის ვიზუალური სამრეწველო გრაფიკის 28 ნიმუში იქნა მოპოვებული, 20 სხვადასხვა ნაწარმის ეტიკეტი და 8 სარეკლამო ფურცელი, რომელიც მის პირადობას, მოღვაწეობას და დამსახურებას წარმოგვცა-ხავს.

კვლევამ მიღებული ჯილდოების დასადგენად, ძიების დიდი ციკლის ჩატარება მოითხოვა (სადაც გარდა სხვა მრეწველებისა ბოლქვაძის 100-ზე მეტი ჯილდო შედიოდა), რომელსაც ჩემთან ერთად სსრკ სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის უფროს მეცნიერთანამშრომელთა ჯგუფი ასრულებდა (შემოქმედებითი ხელშეკრულებით). დადგენილი იქნა: გამოფენების ადგილი, თარიღი, მათში მონაწილეობის პირობები, წარმოდგენილი ქართული ექსპონატები, მონაწილე ექსპონენტები, მათ მიერ მიღებული ჯილდოები. მათი სახეობა, მნიშვნელობა და სხვა. დადგენილი და მოპოვებული იქნა ბოლქვაძის, როგორც პროდუქციის მიერ მიღებული მედლები, აგრეთვე პირადად მისი დამსახურებისათვის მიღებული ორდენები, "უმაღლესი ჯილდოები", მედლები "უმაღლესი საექსპონენტო ჯილდოები". მათმა დაპირისპირებამ სხვადასხვა წყაროებიდან (საარქივო, სამუზეუმო, ლიტერატურული, კავკასიის რუსულ-ქართულ 1850-1905 წწ პერიოდული პრესის, ასორტიმენტისათვის საჭირო ტექნოლოგიის) მიღებულ დასკვნებთან შესაძლებლობა მოგვცა შეგვესწავლა ქართულ ისტორიოგრაფიაში ნაკლებად ცნობილი მეღვინეობისა და მაგარი სასმელების წარმოების ისტორიის საკმაოდ დიდი მონაკვეთი (1801-1901 წწ). შესაძლებელი გახდა მთლიანობაში წარმოგვესახა სამამულო მაგარი სასმელების მრეწველობის ჩასახვა-განვითარება. კვლევის შედეგად დადგინდა მთელი პლეადა დღემდე ნაკლებად ცნობილი მაგარი სასმელების მწარმოებლებისა: იმერლიშვილი - ქარხნის დაარსების თარიღი 1828 წ., ზუბალაშვილი - 1835 წ., მარი - 1841 წ., ბაქრაძე - 1943 წ., ანდრიევსკი - 1847 წ., ჩარეკოვი - 1850 წ., ბოლქვაძე - 1865 წ., გუტმანი - 1876 წ., ადანაია - 1878 წ., ფორაქიშვილი - 1880 წ., მეღვინოვი - 1885 წ., გაბუნია - 1885 წ., სარაჯოვი - 1885 წ. და სხვა. დადგინდა მათი მოღვაწეობის დრო, ქარხნების ადგილმდებარეობა, გამოშვებული პროდუქციის ნაირსახეობა.

გამოისახა ყოველი მათგანის როლი დარგის განვითარებაში. **РАБОТИТА ПРОМЫШЛЕННОСТИ КРЕПКИХ НАПИТКОВ И ПРОИЗВОДСТВА ВИН В ГРУЗИИ В XIX в.** — была представлена на специальной выставке в НИИ СВиВ Грузии организованной в мае 1984г.

მათ შორის თავისი დიპაზონით, მრავალმხრივი ცოდნითა და საქმიანობით გამოირჩევა გიორგი ქაიხოსროს ძე ბოლქვაძე, რომლის მოღვაწეობის მხოლოდ პირველი პერიოდის (1865-1900 წ.) დადგენა შეუძლებელით სადღეისოდ. მთელი რიგი ობიექტური მიზეზების გამო მისი მოღვაწეობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

საქართველოსთვის ურთულეს ეპოქაში, როდესაც დასავლეთ საქართველო ყირიმის ომის გამო განადგურების პირას იყო მისული "თურქეთის ჯარის მიერ განადგურებული იყო აფხაზეთი, სამეგრელო, ნაწილობრივ გურია და იმერეთი" (4, გვ. 36), როდესაც აშკარად შეიძინიდა კომერციული ცხოვრების ერთგვარი დაცემა და წინა პერიოდში არსებული მაგარი სასმელების ქარხნები დაიხურა (5). ქართული მრეწველობის ასპარეზზე გ. ბოლქვაძის გამოჩენას და მის მიერ ქ. ქუთაისში მაგარი სასმელების ქარხნის გახსნას მრავალმხრივი მნიშვნელობა ენიჭება და ის არა მარტო კომერციული მიზეზით შეიძლება აიხსნას.

ბოლქვაძე ნამდვილი შვილია იმ ეპოქისა, როდესაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ვაზისა და მისგან მიღებულ პროდუქციის ტრადიციულად მაღალი კულტურის დაცვას, რომელიც ამ დროს ძაგებაში იყო. ერთი მხრივ თვითმპყრობელური რუსეთი დაინტერესებას იჩენდა საქართველოში ალკოჰოლიანი სასმელების წარმოების ზრდით, რათა თავი დაეღწია საზღვარგარეთიდან მათი შემოტანისათვის "რაც ყოველწლიურად მას 13 მილიონი ოქროთი უჯღებოდა (6, გვ. 37), მეორე მხრივ — მისი კოლონიალური პოლიტიკის შედეგად, რუსეთის მმართველი წრეები საზღვარგარეთელ მოხელეთა მცდარ შეხედულებებს იზიარებდნენ. უცხოელები კი ძალიან უფუხვებდნენ სახელს ქართულ ღვინოსა და ყურძენს, რათა შეენარჩუნებინათ რუსეთი ევროპული ღვინის იმპორტიორად" (7, გვ. 60).

ბოლქვაძე კარგად იცნობდა ქართულ ვაზს, მის მრავალნიარ ტრადიციულ გამოყენებას, ამიტომ მამულიშვილურ ვალად მიაჩნდა მისი მსოფლიო სამსჯავროზე გატანა, რათა ყველასათვის ნათელყო ქართული ვაზის პოტენციური შესაძლებლობა. ბრწყინვალე ევროპულ განათლებას ნაზიარები სამიწიანმოქმედო აკადემია ათენში, შენდგომ "დახელოვნდ. არყის ხდა, წყნდა, გასუფთავებია, შეხავებაში" კონსტანტინოპოლში, გერმანიაში, საფრანგეთში (8, გვ. 137). "ბერძენებში დახელოვნდ"

ელი" ის დაუბრუნდა მშობლიურ მხარეს და მალე 1865 წ. გახსნა ქუთაისში კარგი, დიდი არყის ქარხანა. (9, გვ. 48). ქარხანა არცაღის ქუჩაზე მდებარეობდა (ცხლანდელი რუსთაველისა და ლუქ-მზურგის ქუჩების გადაკვეთაზე, ძველი თეატრის უკან, რაც აღნიშ-ულია თეატრის პირველ გენგეგმაზე და ერმაკოვის მიერ გადაღებულ ქუთაისის ხედვებზე - დაცულია საქ.სახ. ისტ.მუზ.თბილისი). აქვე იყო მისი საცავრო მალაზია. გაზ. "ივერია" აღნიშნავდა: "იმერეთ-ში სხვადასხვა სასამელების მკეთებელთა და მოვაჭრეთა შორის არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ბ-ნი გიორგი ბოლქვაძე, რომელსაც შიგ ქუთაისში აქვს გამართული სასამელების ქარხანა და საკუთარი სა-ცავრო" (10). ქარხანას 1870 წლამდე ჰყავდა კომპანიონი, რომელიც ასე ესაჭიროებოდა გერმანიაში და საფრანგეთში ყოფნის დროს გიორ-გი ბოლქვაძეს. ქარხანას ჰქონდა საქარხნო ნიშანი პირველი - 1855-1873 წლებში (რომელიც გამოსახულია ეტიკეტებზე - "სამეფო არაყი" და "ორმაგი დისტილ. დვინო", ე.ი. დვინის სპირტი. ფერადი ლითოგრაფიით დაბეჭდილია თბილისში იაკშატის ლითოგრაფიაში. დაცუ-ლია ავტორის - მ.შ. პირად კოლექციაში), მეორე - 1873 წლიდან ე.ი. საატვიზო სამმართველოს ჩამოყალიბებიდან (გამოსახულია "ქინაქი-ის არაყის" ეტიკეტზე, რომელზედაც წარწერაა: "ზავოდსკაია მარკა ლეიტენანტი-ს 1873 გოდა"). "ბოლქვაძის ქარხნის არსებობის საქმეს ეარგა: ისტორია აქვს"-ო - აღნიშნავს ზ.ჭიჭინაძე (9, გვ. 48).

ამიერ-იმიერ კავკასიის იმდროინდელ სტატისტიკურ ცნობებში აღ-ნიშნულია: "არყის ქარხნები არ არის თფილისის, ერევნის, ბაქოს, ლიზავეტოპოლის, თერჯის გუბერნიებში, მხოლოდ ქ.ქუთაისში" (11). საატვიზო დოკუმენტიდან ირკვევა: "ბოლქვაძის ქარხანა წლიური პატვირავით მუშაობდა. ქარხანაში 12 დაქირავებული მუშა იყო (12), რაც საქართველოს სხვადასხვა სახის სპეციალურ არყის ქარხნებში დაკავებულ მუშათა რიცხვის 33 პროცენტს უდრიდა" (13, გვ. 69).

"საატვიზო სამმართველოს უწყებებში", ყურძნის არჭის ქარხნებს შორის 1884 წ. ცნობით, როდესაც პირველად მოხდა ასეთი სახის "სრულყოფილი" და "არასრულყოფილი" ქარხანათა აღრიცხვა, აღნიშნულია: "სამრეწველო სრულყოფილი ერთი ქარხანა ირიცხება მხოლოდ ქუთაისის გუბერნიაში, არ არის თფილისის, ერევნის... (ჩამოთვლილია მ.შ.) გუბერნიებში, ა.ჯ. ბააუმის ოლქში" (14).

ბოლქვაძის ქარხნის ფართო სამრეწველო სახეზე, მის "სრულყოფა-ზე" მიტყვევებს - გამოწვევული პროდუქციის ას.რტიენტის მადალი



ხარისხი, რომელთა მისაღებად საჭირო იყო შესატყვისი ადგილები; ციალური სათავსოები. "ბოლქვაძეს ქარხანაში აქვს როგორც სპილენძის, აგრეთვე სარექტიფიკაციო აპარატები (12). მაღალი სამრეწველო სახის მაჩვენებელია მრავალრიცხოვანი ეტიკეტების, ბოთლების და სხვათა არსებობის ცნობები.

"გ. ბოლქვაძის არჯის №2 ქარხნის მეორე განყოფილების წიგნის მიხედვით 1881 წ. ცნობის არჯის ნაწარმზე გასაკრავად ნახმარია ბანდეროლი 25 კაპ. ღირებულების - 22 მან. 50 კაპ.-ის, 5 კაპ.- 126 მან. 75 კაპ.; 2 კაპ. ღირებულების - 15 მან. 32 კაპ.; 1 კაპ. ღირებულების - 11 მან. 32 კაპ.; 1/2 კაპ. ღირებულების - 12 მან. და 87 კაპ. (15).

"გიორგი ბოლქვაძის არყის ქარხანა №2 ტარის ნარჩენებში 1881 წელს ირიცხება 90 ბოთლი 1/4 ვედროს ზომით, 2535 ბოთლი 1/20 ვედროს ზომით, 1132 ბოთლი 1/40 ვედროსა, 2575 ბოთლი 1/200 ვედროსა" (15).

აქციზის ჩამოყალიბების შემდგომ წლებში ყველა არსებული ბანდერლი (ეტიკეტი) ფინანსთა სამინისტროს სპეციალურ დადგენილებებით აღრიცხვაზე და მათ შესაძენად დაწესებულია სპეციალური თანხა - "ბანდეროლნაია ოკუპნაია", რაც დასტურდება ბოლქვაძის №2 ქარხნის რეალიზაციის დროს აღნიშნული ცნობით "Сумма причитающаяся за поступление акциза на 7592% 189р. 80к., а употреблено бандеролей по случаю выделки высших сортов водочных изделий крепостью в среднем выводе выше 40% на 168 р. 77к., то бандеролей на 1р. 3к. подлежат по смыслу циркуляра Министерства Финансов от 1 февраля 1875 г. за № 1519 уничтожению, а потому мною каж дая полоска перечеркнута черными чернилами, на них положена моя должностная печать" /16/.

როგორც ვხედავ, ეტიკეტების როგორც დაბეჭდვა, ისე გამოყენება სპეციალურ ნებართვებს საჭიროებდა და სათანადოდ იბეგრებოდა (რაც ბოლქვაძეს ჰქონია). რაც შეეხება ზემოხსენებულ "უმადლეს არაყებს, რომელთა სიმავრე 40%-ს აღემატება" მათ შორის შეიძლება კონიაკი ვიგულისხმოთ, ვინაიდან ის XIX საუკუნეში არყის ნაწარმის კატეგორიაში შედიოდა (17, გვ. 25) და მწარმოებელი მასზე, როგორც არყის პროდუქტზე შეწერილ გადასახადს იხდიდა (1 მან. 1 ვედრო არყის ნაწარმზე).

1901 წლამდე რუსეთის იმპერიაში არ არსებობდა ერთიანი კანონ-მდებლობა, რომელიც კონიაკის წარმოებას სხვა სახის სპირტისა და...

არყის წარმოებისაგან განასხვავებდა. მხოლოდ 1900 წ. ღებულები გამოეყო კონიაკის წარმოება (12 და 13, გვ. 119) სპირტისა და არყის წარმოებას და ცალკე ღარჯად ჩამოყალიბდა. ამასვე გვაცნობებს სარაჯიშვილისა და მეღვინეოვის არაერთი განცხადება პრესაში 1890, 1891, 1893 წლებში (18), სადაც აღინიშნება, რომ მათი "პურისა და გავის ქარხანა" თფილისში, სპეციალურ არყებს შორის კონიაკსაც შეშვებს (18), რისი მაშუყებელიც არა ერთი დოკუმენტიცაა. სარაჯიშვილამდე კონიაკს სამრეწველო სახით არყის ქარხნებში ბოლქვაძის გარდა უშვებდნენ 1876 წ. გუტმანი ქ. ფიაში, 1885 წ. გაბუნია - ქ. ქუთაისში, 1885 წ. მეღვინეოვი - ქ. თბილისში. თანახმად 1900-1901 წწ. აღდგენილებებისა მოხდა მისი ცალკე ღარჯობრივი გამოყოფა. ამიტომ მხოლოდ ამის შემდეგაა შესაძლებელი კონიაკის დამოუკიდებელი ქარხნების არსებობა.

ბოლქვაძის ქარხნის "სრულყოფის", მას ფართო სამრეწველო სახის მიჩვენებელია მრავალფეროვანი პროდუქცია, რომლის ასორტიმენტის დადგენა 20 ეტიკეტისა და 29 საარქივო ცნობის საშუალებით შევძელით. ეს არ წარმოადგენს მის მთლიან ასორტიმენტს. გარდა ამისა, გვაქვს ღვეისათვის უცნობი ნაწარმებიც, რომელთაც 26 მედალი აქვთ მიღებული (მათზე მიგვანიშნებს სარეკლამო ფურცლები №2, 3, 4, 5, 6. რეკლამები დაცულია მ. შ. პირად კოლექციაში).

ჩვენთვის ცნობილია 9 სახის სპირტი - "ვისშეგო კაჩესტვა ვი-კურკი ვინა", "გასუფთავებული პურის სპირტი", "ღვინის სპირტი შარტ-ჩივისათვის", "ღვინის სპირტი ბენედიქტინისათვის", "სპირტი ხელოვნური კონიაკისათვის", "ორმაგი დისტილირებული ღვინის სპირტი", "გასუფთავებული ღვინის სპირტი", "უწყლო 40% სპირტი". ობიგვარი კონიაკი - "ნატურალური კავკასიური კონიაკი", ძველისძველი №1, "საიუბილეო", "ხელოვნური კონიაკი №3", სამი რთული ლიქიორი - "შარტრევი", "ბენედიქტინი", "მოლახილი", რვა სხვადასხვა ლიქიორი - "ვარდის", "ალუბლის", "მოცხარის", "შავი მოცხარის", "ატმის", "მსხლის", "შინდის", "რიბინო", ორი სახის რომი - "უმაღლესი დირსე-ისი №3", "საუკეთესო რომი", სხვადასხვაგვარი არაყები, მწარე - "აბსენტე", სამკურნალო "ქინაქინის არაყი", რაული - სამეფო არაყი. ამ ასორტიმენტის განხილვისას ბოლქვაძე გვევლინება საქართველოში ლიქიორების სამრეწველო წარმოების პიონერად. განსაკუთრებოთ მნიშვნელოვანი იყო რაული ლიქიორების დამზადება, რომლებიც საქიროებდნენ პერიფიკურად შერჩეულ სპირტებს, მრავალგვაროვან მიცენარეთა

ნაერთთა ჰარმონიის შექმნას. მაღალ ორგანოლეპტიკურ ნიჟს. დღე სპეციალურ ოსტატობას მოითხოვდა სამკურნალო და მწარე არყების დამზადება, ურთულეს სამუშაოთა ციკლის ჩატარება იყო საჭირო კონიაკებისა და რომების დამზადებისათვის. მის ფართო სამრეწველო სახეზე მეტყველებს მრავალი საბარკივო ცნობა. ასე მაგალითად, "გიორგი ბოლქვაძის მიერ დამზადებულია 73.559 1/2 ვედრო უწყლო სპირტი, 1839 ვედრო 40%, 1639 ვედრო გასუფთავებული პურის სპირტი, 200 ვედრო სასმელები (ცნობა 1881 წ.) უცნობია, თუ რამდენ ხანშია გამოშვებული ეს რაოდენობა. ან იმავე წლის ცნობა "сумма водочных изделий водки высшего качества выкурки вина ე.ი. კონიაკის სპირტი მ.შ.) на 9.600р. вгоричного на 8000р. третичного 9.600р. что составило сумму более 27.000р. და მრავალი სხვა (31).


რთული და მრავალფეროვანია ბოლქვაძის ქარხნის პროდუქცია; ასეთი სახის ასორტიმენტის სამრეწველო გამოშვება ბოლქვაძემდე ვერ იქნა დაღვენილი.

სადღეისოდ გიორგი ბოლქვაძე გვევლინება მრავალი მათგანის ავტორად და დამამკვიდრებლად 60-იან წლების რუსეთის იმპერიაში. პირველ რიგში ეს შეეხება კონიაკებს, რთულ ლიკიორებს, რომსა და სამკურნალო არყებს, რომელთა განხილვა ცალკე თემას წარმოადგენს. ისინი თავისი ხარისხობრივი და თვისობრივი მაჩვენებლებით ამდარგათ განვითარების მწვერვალებზე მიგვანიშნებენ, რაც არაერთგზის აღინიშნა მსოფლიოს კომპენენტური ყიურების მიერ.

სამრეწველო სახეზე მეტყველებს ბოლქვაძის ნაწარმების რეკლამირება, რისთვის იყ. ისინი საჭირო თუ არა გასაყიდად (ღვითომხმარებისათვის?). მარტო ბეჭდვითი რეკლამის ერთხელ პრესაში მოთავსება 15-25 მანეთამდე ჯდებაოდა, რაც 500 ლიტრ საუკეთესო დგინის ფასს უდრიდა. რა მიზანი ჰქონდა ასეთ რეკლამას? მრავალი მათგანი ისევე, როგორც ეტიკეტები უცხო ენაზეა დაბეჭდილი, რაც მათ საექსპორტო სახეზე მიგვანიშნებს. ასეთი სახის რეკლამა 70-იან წლებში ქუთაისის მაცხოვრებლებისათვის ვერ იქნებოდა გამიზნული. ერთ მათგანზე, რომელიც ფრანგულ ენაზეა დაბეჭდილი თბილისში ("გოლოგინის პროსპექტზე ჩითახოვის სახლში" მყოფ იაკუბატის ლითოგრაფიის მ. რ.) აღნიშნულია: "გ. ბოლქვაძისა და კომპანიონის არყის ქარხანა, რომელიც ქ. ქუთაისში იმყოფება ამზადებს ლიკიორს, კონიაკს, რომს, აბსენტს" (რეკლ. დაცულია მ.შ. კოლექციაში). მეორე ფრანგულ ენაზე

დაბეჭდილი რეკლამა ბოლქვაძისეულ "ძველისძველი კონიაკისაა" (ГОЛОД ВІСІХ მ.შ. კოლექ.) • უცხო ენაზე კონიაკის ეტიკეტებისა და რეკლამების გამოშვება მაუწყებელია მათ უცხოეთში სარეაღიზაციოდ გატანისა, ე.ი. ბოლქვაძის სასმელები არა მარტო "საქართველოს ყოველ კუთხეს მოედო და მოეფინა (8, გვ. 38), როგორც ამას ზ. გიგინაძე აღნიშნავს, ის მათ რეაღიზაცია აწარმოებდა საზღვარგარეთაც. ცნობილია კონიაკისა და საკონიაკე სპირტის საზღვარგარეთ გატანისას მრეწველი პრემიის სახით იღებდა გაგზავნილი პროდუქციის 5% (36) ბოლქვაძის მიერ ნაწარმის გასაყიდად გამოიხვანას აღნიშნავდა გაზ. "ივერია", როდესაც წერდა: "ბ-ნი ბოლქვაძე მოწადინებულია კარგი სასმელები აწარმოოს და შეძლებისამებრ გრცელი ბაზარი მოუპოვოს" (10) ან კიდევ, ბოლქვაძის №2 ქარხანაში ჩატარებული რევიზიის დასკვნებიდან ასეთი სახის ცნობა: "Все водочные изделия обандеролены установленными бандеролями и выпущены из завода в литейные заведения" /15/

ჩვენ ვიცნობთ ბოლქვაძის სხვადასხვაგვარ კონიაკებს, რომელთა სამრეწველო წარმოებას ბოლქვაძე 1865 წ. იწყებს ქ. ქუთაისში, მის 120 წლის წინათ დაწყებას აღნიშნავს: ნატურალურ კავკასიურ კონიაკის ეტიკეტზე არსებული წარწერა: "Существует с 1865 года". ამავე თარიღს გვაძლევს მონარქიანი საკონიაკე სპირტის გასაყიდად გამოშვებული ეტიკეტის ანალიზი ("ორმაგი დისტილირებული ღვინის სპირტი"), რომელიც გვაუწყებს მის პირველ საქარხნო ნიშნით გამოშვებას (რაც შესაძლებელი იყო 1873 წლამდე, შემდგომ მარკა შეიცვალა. ბოლქვაძეს ამ პერიოდში ჰყავს 14⁰, რაც შესაძლებელი იყო 1870 წლამდე. შემდგომ არა ჰყავს). ეტიკ. დაბეჭდილია იაკობატის ლითოგრაფიის მიერ, რაც იმავე დროს გვითაროდებს. იგივე თარიღს გვაძლევს "ძველისძველი კონიაკი №1" ეტიკეტი. როგორც მხატვრული, აგრეთვე შინაარსობრივი ანალიზი ბოლქვაძის "ძველისძველი კონიაკი №1" 1876 წ. ფილადელფიის მსოფლიო გამოვენის მონაწილეა და მიღებული აქვს "უმაღლესი ჯილდო" (40), სადაც ის არაუგვიანეს 1875 წ. უნდა გაეგზავნათ. გარდა ამისა, "ძველისძველი კონიაკის №1" მისაღებად არანაკლები 10 წლის დაძველება იყო საჭირო. ამიტომ, როგორც განხილული მასალები არაერთგზის გვიდასტურებენ კონიაკის სამრეწველო წარმოების დაწყების თარიღად 1865 წ. უნდა იქნეს მიჩნეული ბოლქვაძისეული კონიაკები და მათი წარმოება ამ დარგის განვითარების მწვერვალებად წარმოგვესახება XIX საუკუნეში.



განა შესაძლებელი იყო ბოლქვაძისეულ მადალხარისხიანი გვაროვანი კონიაკების არასამრეწველო გზით მიღება?

კონიაკის ტექნოლოგია მოითხოვდა დიდ ხარჯებს, დროს, ყურძნის ჯიშების შერჩევას, განსაკუთრებულად დვინოების დაყენებას, მის თავისებურ გამოხდას, სპეციალურ პირობებსა და ადგილს, მის კასრებში დიდი ხნით დასაძველებლად. მრავალი წლის განმავლობაში ის მკვლად კაპიტალს წარმოადგენდა და არავითარ მოგებას არ იძლეოდა.

როგორც აღინიშნა მის ჩამოსასხმელად, ეტიკეტების შესაძენად, მათ დასაბეჭდად, პოთლებზე დისაკვრელად, სავაჭროდ გასატანად, რეკლამებისათვის, სახელგანთავსებლად გასატანად, როგორც სავაჭროდ, აგრეთვე გამოფენებზე მონაწილეობის მისაღწევად მრავალრიცხოვანი ნებართვები, ხარჯები, დრო, ენერჯია ესაჭიროებოდა. ეს გზა ბოლქვაძის არაერთხელ უნდა გაეფიქროს, ვინაიდან სხვადასხვაგვარ კონიაკებს უშვებდა. ამიტომ, არასამრეწველო გზით მისი დამზადება შეუძლებელი იყო, რასაც მრავალი ვიზუალური, თუ წერილობითი დოკუმენტი გვიდასტურებს (36 საარქივო და ლიტერატურული წყარო).

სადღეისოდ ბოლქვაძის კონიაკის ტექნოლოგიის ორი მიმართულებაა ცნობილი. "ნატურალური", რომელიც წარმოდგენილია "ნატურალური" კავკასიური კონიაკის "საიუბილეო", "ძველისძველი №1" სახით და "ხელოვნური", რაც წარმოდგენილია "ხელოვნური კონიაკი №3" სახით. როგორც აღინიშნა - პირველის წარმოებას ბოლქვაძე 1865 წ. იწყებს, მეორეს - 1873 წ. ე. ი. ხელოვნური კონიაკის №1 და №2 უფრო ადრინდელია. ისეთი სახის კონიაკები, როგორც იყო "ხელოვნური", "ვარსკვლავიანი", "ორდინალური" თავისი ვარიაციებით კაპიტალიზმის ფართო განვითარების შედეგია. კაპიტალიზმის განვითარება, წარმოების ზრდას და კაპიტალის სწრაფ მიმოქცევაში გადაყვანას მოითხოვდა, მას არ აკმაყოფილებდა კონიაკის კლასიკური ტექნოლოგია, რომლის რაოდენობრივი გამოშვება მისი ტექნოლოგიით შეზღუდული იყო. დრომ ახალი ამოცანები წამოგვჩა. სწრაფად სპირტის გაწმენდა, დაძველების პროცესების დაჩქარება, გამოსხის შეუფერხებლობა და უწყვეტობა, რამაც ახალი აპარატების შექმნისა და გამოგონების აუცილებლობა გამოიწვია. (შექმნილი იქნა სპირტსახდელი აპარატები: პისტორიუსის 1817 წ., შვარცის 1839 წ., სიმენსების 1850 წ. და სხვ.). საჭირო გახდა ცვლილებების შეტანა კონიაკის ტექნოლოგიაშიც პირველად საფრანგეთი იწყებს ამ ცვლილებების შეტანას (19, გვ. 601).

საქართველოში "ორჯინალური" კონიაკის დამკვიდრებაში, ამ ტიპის კონიაკის მრეწველობის ფართოდ განვითარებაში დიდი დგაწლი მიუძღვის დ. ზ. სარაჯიშვილს. მისმა წინადადებებმა კონიაკის ტექნოლოგიაში ცვლილებების შეტანის შესახებ 1889 წ. პეტერბურგის ტექნიკური კომიტეტის სხდომებზე დებატები გამოიწვია (21, გვ. 84) (განსაკუთრებით წინადადებამ საკონიაკე სპირტში შაქრისა და დისტირებული წყლის დამატების შესახებ). ეს საკითხები ცალკე განიხილება ბოლქვაძის მიერ "ხელოვნური კონიაკი №3" გამოშვება კაპიტალიზმის გარეუარაზე სხვა ამოცანებს ემსახურება. როგორც აღვნიშნეთ, 60-70 წლებში საჭირო შეიქმნა ძაგებაში მყოფი ქართული ვაზისა და მისგან მიღებული პროდუქციის ღირსების მტკიცება. ამ მტკიცების შედეგად წარმოგვესახება "ხელოვნური კონიაკი", და მისი ნუმერაცია, რაც სწორედ მისი ძიების აღმნიშვნელია. ბოლქვაძე არსებულ ორივე ტექნოლოგიაზე ამახვილებს ყურადღებას და განსაცვიფრებელ მაღალ შედეგებს აღწევს - ერთში 25, ხოლო მეორეში 9 ჯილდოს იმსახურებს. ისეთი ქვეყნების მსოფლიო და საერთაშორისო გამოფენებზე, როგორც იყო: საფრანგეთი, ინგლისი, იტალია, ესპანეთი, გერმანია, ბელგია, ამერიკა და სხვა მისმა კონიაკებმა 34 ჯილდო დაიმსახურა მსოფლიო საერთაშორისო, სამრეწველო და სხვა გამოფენებზე. მათ რიცხვში: "ნატურალურ კავკასიურ" კონიაკს მიღებული აქვს 18 მედალი, ერთი "უმადღესი ჯილდო", ხუთი - "უმადღესი საექსპონენტო ჯილდო" - სულ 24. "ძველისძველი №1 კონიაკს" მიღებული აქვს ერთი "უმადღესი ჯილდო". "ხელოვნურ კონიაკს №3" დამსახურებული აქვს 8 მედალი და ერთი "უმადღესი ჯილდო". 1876 წ. ფილადელფიის მსოფლიო გამოფენიდან დაიწყო ბოლქვაძისეულმა კონიაკებმა ტრიუმფალური სვლა და ყველაზე მაღალი შეფასება დაიმსახურა ისეთ მნიშვნელოვან გამოფენებზე, როგორც იყო 1878 წ. მსოფლიო გამოფენა პარიზში - მედალი და "უმადღესი ჯილდო". იმავე წელს მედალი საერთაშორისო გამოფენაზე ტურინში. 1885 წ. - საერთაშორისო გამოფენა პარიზში. იმავე წელს ბრიუსელის მსოფლიო აკადემიის მედლის დამსახურება. 1889 წ. მსოფლიო გამოფენაზე პარიზში - მედალი და უმადღესი ჯილდო", 1892 წ. პირველ მაგარი სასმელების მსოფლიო გამოფენაზე პარიზში - მედალი. ეს საკითხი განიხილება ცალკე ნაშრომში. "Грузинские коньяки на всемирных и международных выставках XIX века".



ბოლქვაძის კონიაკების არაერთგზის ასეთი მაღალი შეფასებითაა აღიარებული საერთაშორისო ქიური აღნიშნავდა მათ ტექნოლოგიის სრულყოფას, ბოლქვაძის მაღალ ხელოვნებას, ორგანოლექტიკურ ნიჭსა და ღრმა მეცნიერულ ღონეს.

"გიორგი ბოლქვაძე თავის შრომით და კარგი სასმელებით ცნობილი იქნა თვით მთავრობისაგან, უცხო სახელმწიფო მეოღნე პირთაგანაც და მასთანავე პატივცემული" (გ. 138). მისმა პროდუქციამ 120 წლის წინათ 50. მსოფლიო, საერთაშორისო, სამრეწველო და სხვა სამამულო და უცხოეთის გამოფენებზე დაამტკიცა მსოფლიო ეტალონის ტოლობა. მას 1865-1900 წ. მსოფლიო ყველაზე საპატიო ქიურის გადაწყვეტილებებით მიღებული აქვს 107 ჯილდო. აქედან: 49 ოქროსა და ვერცხლის მედალი, 4 სხვადასხვა აკადემიის სპეციალური მედალი, რასაც გვაუწყებს მრავალრიცხოვანი საარქივო / ГИМ Москва ОПИ ф60 on 2ед. 2373, ф60 on 2ед. 2538, ЦГИА ф241 on 3д. 102, ЦГИА РСФСР ф241 on 3д. 102, ЦГИА СССР ф241 on 3д. 102, ЦГИА СССР ф241 on 3д. 102, ციტირებული წიგნებისა და მისი კვლევის, მ. შიკავა, მ. შირიანაშვილი, გ. იობაშვილი და სხვა), 1860-1901 წლების კავკასიაში რუსულ-ქართულ ენებზე გამოსული პრესა, ბოლქვაძის რვა საარქივო ფურცელი და 12 ეტიკეტი, მოსკოვის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში, პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმისა და ლენინგრადის ერმიტაჟში დაცული მემკვიდრეები. "ამ ენერგიულ პირს სხვადასხვა სახელმწიფოებიდან მიღებული აქვს დიდძალი ნიშნები, რომელთა რიცხვი 100-ზე მეტია" - აღნიშნავს ზ. ჭიჭინაძე (გ. გვ. 138).

ნაიჩინებულნი ასორტიმენტის გამოსაშვებად და შესაქმნელად საჭირო იყო არა მარტო ქარაული დენომასალის, მის თვისება-უნარიანობის აბორიგენულ მცენარეთა შესაძლებლობის ტრადიციულად გამოყენების ცოდნა; საჭირო იყო მთელი სერია ცდების თუ სხვადასხვა სექციური მუშაობათა ჩატარება, რათა მიეღო სხვადასხვა ორგანოლექტიკურ თვისებათა მქონე მრავალნაირი სპირტები, კონიაკები, რომები ამ მხრივ მნიშვნელოვანია ცნობები დენომების სპეციალური დამზადების შესახებ. რაჭაში - რაჭის არქივების კოპიის გიორგაძის მამულებში და სასიგრიის ზოგიერთ გლეხთა ოჯახში (კაკაურიძეები, მაღალაშვილები) განსაკუთრებულად მათი ღამზადების შესახებ.

სადღეისოდ დადგენილ მის ნაწარმთა ხარისხი, სახეობა, მათ მისაღებად საჭირო ტექნოლოგია ვეაძლევის ბოლქვაძის მიღწიერულ ძიებათა ნათელ სურათს. ის გვეცხვინება არამარტო ფართო განაღების მქონე სპეციალისტად, მისე მრავალფეროვანი ასორტიმენტის შემქმნელად,

მაგარი სასმელების პირველ მეცნიერად. გ. ბოლქვაძეს სხვადასხვა ნაწარმითა შექმნისათვის, მათ საუკეთესო თვისებების გამომდგენებისათვის და ამ დარგში განსაკუთრებული დამსახურებისათვის 17 "უმაღლესი ჯილდო" აქვს დამსახურებული. XIX საუკუნის ამ სახის ჯილდო გაციემოდა მხოლოდ მსოფლიო გამოფენების მიერ "За оцѣну выдающихся заслуги в искусстве выявления высших качеств изделий" (23). ყოველი გამოფენის "უმაღლესი ჯილდოს" თავისი სპეციფიკური იერი ჰქონდა. როგორც აღნიშნული იყო, ბოლქვაძეს ამ სახის ჯილდო მიღებული აქვს ყველა სახის კონიაკების შექმნისათვის. გარდა ამისა, ბოლქვაძეს "ნატურალური კავკასიური კონიაკისათვის" მიღებული აქვს სხვადასხვა სახელმწიფოებიდან ხუთი "უმაღლესი საექსპონენტო ჯილდო", რომელიც განსაკუთრებული დამსახურებისათვის მიენიჭებოდა ექსპონენტს. ერთი მათგანი პარიზის ნაციონალური აკადემიიდან (ამ სახეობის ჯილდოთა შესწავლა გრძელდება).

გ. ბოლქვაძემ თავისი მეცნიერულ ძიება-მოსაზრებათა პრაქტიკული განხორციელებით ეგვიპარეზე დააყენა მათი თეორიული საფუძვლების არსებობა, რაზედაც მიგვანიშნებს თიხი სახელობრივი მელაღი, რომელზედაც ჩამოსხმით უცხო ენაზე აღნიშნულია "ბოლქვაძე ქუთაისი" (დადგენილ ჯილდოთა ფოტოები 1984 წ. ინსტიტუტში მოწყობილ სპეციალურ გამოფენაზე იყო წარდგენილი).

მის მეცნიერულ მოღვაწეობაზე მიგვანიშნებს 1876 წ. კონგრესის შედეგით დაჯილდოებაც. გარდა ამისა ბოლქვაძეს პირადად მიღებული აქვს II სხვადასხვა ქვეყნის ჯილდო, რომელთა შორის სადღეისოდ დადგენილია: ფრანგული ორდენები "Légion d'honneur" (ორი სახის "შევალი" და "ოფიცერი") - სოფლის მეურნეობაში მიღწევებისათვის, "Médaille d'agriculture" ვაზის რესტავრაციისათვის, ორდენი - ნიშნები პარიზის ნაციონალური აკადემიის და ბრიუსელის მსოფლიო აკადემიისა. ასეთი სახის ჯილდოები მის მეცნიერულ მიმართულების მაჩვენებელია და გასაგებებს ხდის მის პარიზის ნაციონალურ აკადემიის, ბრიუსელის მსოფლიო აკადემიისა და საფრანგეთის სამიწათმოქმედო აკადემიებში არჩევის მიზეზებს.

როგორც კვლევა-ძიების შედეგად დადგინდა პირველი ორი აკადემიის წევრად გიორგი ბოლქვაძე 1885 წლამდე ხდება. მის პორტრეტზე, რომელიც ქ. ქუთაისში ფოტოგრაფ მიხაილოვის მიერ არის გადაღებული 1887 წლამდე (შემდგომ ფოტოგრაფია მიხაილოვის მიერ გაკრიული ბქნა (არჩხოვზე) ბოლქვაძის ორივე აკადემიის წევრობის ნიშანი აქვს გულ-



ზე. მის ორივე აკადემიის წევრობას მოწმობს სარეკლამო ^{ფურცლები} №5 და №6, სადაც აღწიშნულია: "Ликеро-водочный завод и оптовый склад удостоен на различных европейских выставках 12 высших наград и 27 золотых и серебрянных медалей. Г.К.Волквადзе член Парижской Национальной Академии, член Брюссельской Всемирной Академии".

რეკლამა №8-ზე, რომელიც 1891 წ. "საქართველოს კალენდარის" ფურცელზეა დაბეჭდილი აღნიშნულია: "გ. ბოლქვაძე წევრია პარიზის ნაციონალური აკადემიის, ბრიუსელის მსოფლიო აკადემიის. დაჯილდოებულია 17 უმაღლესი ჯილდოთი და 45 ოქროსა და ვერცხლის მედლით"... №5 და №6 სარეკლამო ფურცელზე კი მას 12 "უმაღლესი ჯილო" და 27 მედალი აქვს მიღებული. ჩვენ კი ვიცით, რომ ამ სახის ჯილო მხოლოდ მსოფლიო გამოფენების მიერ გაიცემა, ე.ი. მთელი რიგი ანალიზის შედეგად, როგორც სამივე რეკლამისა ისე ფოტოსი. გიორგი ბოლქვაძის ამ აკადემიაში არჩევას 1880-1885 წლების ფარგლებში დასტურდება, ამასვე გვაუწყებს მისი შვილიშვილის წარწერაც და ნათესავ-ნაცნობების ცნობებიც. რაც შეეხება საფრანგეთის სამიწათმოქმედო აკადემიაში არჩევას ცნობას ამის შესახებ გვაძლევს გაზეთი "ივერია" (1890 წ. №273): "გ-ნი ბოლქვაძე წევრად აურჩევიათ საფრანგეთის სამიწათმოქმედო აკადემიას და ამ წევრობის შესაფერი დიპლომიც მიუღია პარიზიდან", ე.ი. მისი არჩევა არაუგვიანეს 1889 წელს მოხდა.

მე-19 საუკუნის 60-იან წლებში ასეთი მძლავრი კედრის შექმნა ქალაქ ქუთაისში, რომელიც მაგარი სასმელების დარგის განვითარების მწვერვალზე მიგვანიშნებს, შესაძლებელი იყო მხოლოდ განვითარების წინა ეტაპების დრმა ცოდნაზე დაყრდნობით. ბ. ბოლქვაძემ მთელი სიცოცხლე შეაღია ქართული ნედლეულის თვისებათა შესწავლა-გამოვლენას და ამ დარგში საქართველოს პრიორიტეტის მსოფლიო ასპარეზზე დამტკიცებას, რომლის უძველეს ტრადიციის დიდი კულტურის რეკლამირების პიონერადაც გვევლინება. გარდა ამისა, გიორგი ბოლქვაძე, როგორც რუსეთის ექსპოზიციების მონაწილე მისი პრესტიჟის დამცველად გამოდის, რითაც აღიარება ხდება არა მარტო რუსეთში ამ დარგის მრეწველობის არსებობისა, მაღალხარისხობრივ დირსებებისაც.

გიორგი ბოლქვაძის შემოქმედებით ქართულმა მაგარმა სასმელებმა, განსაკუთრებულად კი მისმა კონიაკებმა, ქართულ ღვინომასაღას

ახელი ჯერ კიდევ 120 წლის წინათ გაუთქვეს. ბოლქვაძის მოღვაწეობა იყო ერის საგანძურის - ყურძნის ნაწარმთა დამზადების, ტრადიციულად დაუცხრომელ ძიებათა გაგრძელება. ეს იყო დიდება ქართული ვაისისა და მისგან შექმნილ ნაწარმისა. "ასეთი საქმის დაწყება ქართველ კაცისაგან იმ დროს ჩვენ ერთობ სანაქებო საქმედ მიგვაჩნია". დანიშნავდა მე-19 საუკუნის გამოჩენილი მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე ზ. ჭიჭინაძე.

М. Шощитаишвили

Из истории промышленного производства отече-
ственных крепких напитков

Резюме

В результате проводимых в течение многих лет исследований по вопросу зарождения и развития производства отечественных крепких напитков, выяснилось многочисленны исторические, архивные, литературные, визуальные, вещественные и т.д. материалы, позволившие установить ряд неизвестных до сих пор вопросов развития этой области в XIX веке. Опубликованные до сих пор материалы касались развития спиртовой промышленности периода монополитического капитализма и более позднего послереволюционного /1917г./ времени. В исследовании более ранних материалов предтечь у нас нет.

- Имеющиеся материалы удостоверяют:

Очагом развития промышленного производства крепких напитков явилась Западная Грузия, что было определено рядом исторических причин и особенностями технологии ее виноделия.

-Выявлена целая плеада малоизвестных промышленников, применявших наемный труд и выпускающих спиртные напитки на своих заводах, открытых в 1828 г. - Имерлишвили, 1835 г. - Зубалашвили, Согорашвили, 1843 г. - Марр, 1843 г. - Бакрадзе, 1847 г. - Андриевский, 1850 г. - Чареков, 1865г.- Болквадзе, 1876г. - Гутман, 1878г. - Аданая, 1880г. - Поракишвили, 1885г. - Сараджев. Установлено место нахождения круглогодично работающих заводов, вид выпускаемой продук-

ции, вывоз ее на продажу, качество и т.д.

- Согласно имеющимся многочисленным данным, "производство" крепких напитков в Грузии известно с глубокой древности. "Промышленное" же развитие начато в конце 20-ых годов XIX века, а не 80-ых, как было известно до сих пор.

Среди этих промышленников, своей широкой образованностью и многогранностью творчества особо выделяется - Георгий Кайхосрович Болквадзе, первый период деятельности которого 1860-1900 годы уже установлен. Исследования доказывают:

1. Георгий Кайхосрович Болквадзе является первым отечественным специалистом и ученым, заслужившим известность не только в Грузии и в России, но во многих странах Европы, где неоднократно отмечались его заслуги.

2. Г. Болквадзе член Парижской Национальной Академии, член Брюссельской Всемирной Академии, член Французской Академии Земледелия.

3. Г. Болквадзе первый отечественный ученый по алкогольным напиткам создатель из грузинских виноматериалов винных спиртов / для коньяков, бенедиктина, шартреза, получивших 45 медалей/. Создатель более 20 напитков /ромов - 8 медалей и "Высшая награда", "Молахолы", "Хинной водки" - 10 медалей и т.д.

4. Ученый виноградарь селекционер. Лично награжден II наградами разных стран. Из них установлены: французские ордена *Mérite agricole* "Шевелье" и "Офицер" - за достижения в с/х, *Restauration Vignee* - за реставрацию виноградной лозы, орденские знаки: Парижской Национальной Академии и Брюссельской Всемирной Академии, 17 "Высшими наградами" /этот вид

наградч XIX в. выдавался исключительно Всемирными выставками "за особо выдающиеся заслуги в искусстве выявления высших качеств изделий". Медалью от Всемирного конгресса в Париже 1876 г. и т.д.

5. Основатель первого в нашем отечестве завода, выпускающего широкий ассортимент крепких напитков с 1865 г. в Кутаиси. Согласно архивным данным завод был в то время "Единственным на Кавказе" и за "Кавказом" "Промышленным, усовершенствованным". На нем работало "30 нанятых рабочих". Годовой доход завода составлял 30000 руб. /в то время когда - годовой доход от всех видов ремесленников Кутаиси составлял 63000 руб./ . Это первый завод XIX в., история которого стала известна. Завод имел 2 заводские марки: 1 - 1865 г. - 1973 г., 2 - с 1873.

6. Первый известный в нашем отечестве специалист основоположник промышленного производства широкого ассортимента напитков из различных спиртов - виноградных, винных, злаковых; водок - горьких, высших, лечебных; коньяков - натуральных и искусственных; ликеров - сложных и десертных; различных ромов пионер промышленного производства ликеров, горьких и лечебных водок.

Болквадзе является основателем отечественного промышленного коньячного производства 120 лет назад - с 1865 г. Кутаиси на своем "водочном заводе". до постановления 1900-1901 коньячных заводов не было, коньяки производились водочными заводами. Об этом гласят материалы:

- утверждающие промышленный выпуск коньяка водочными заводами Болквадзе 1865 г. в г. Кутаиси, Гутманна 1876 г.

в г. Поти, Габуния 1885г. г. Кутаиси, Мегвинова 1885г. -

Тбилиси и т.д.

- Взимание акциза за производство коньяка, как за водочное изделие /1 руб. за ведро/ до постановления правительст-ва о введении льгот и освобождении "дв. йной выкурки вина" - коньячного спирта от существующих обложений в 1887 года.

- Сведения о вызове коньяка промышленниками на продажу в пределах и за пределы Грузии до 1888г.

- Вывоз на продажу и экспонирование коньяков Болквадзе на отечественных и зарубежных выставках. Где ими заслужены 34 награды: "Натураль, Кавказ коньяк" - 18 медалей, "Высшая награда", 5 "Высших экспонентских наград /первая 1878г. Париже/ *Cosnas v'ieux*" № I - "Высшая награда" /1876г. Филадельфия/. "Искусственный коньяк № 3" - 8 медалей и "Высшая награда" /Первая 1882г. Антверпенс/. Присуждение им между-народными жюри наград до даты выпуска коньяка Сараджишвили.


- Получение самим Г.Болквадзе "Высших наград" за высоко-качественность коньяков в 1876г., за *Cosnas v'ieux* № I" на Всемирной выставке в Филадельфии. В 1878 за "Натуральный Кавказский коньяк" на Всем. выс. в Париже, 1889г. за "Ис-кусственный коньяк № 3" на Всем.выст. в Париже.

Исследованиями установлены:

- Дата, место производства коньяков Болквадзе: натураль-ных с 1865г., искусственных с 1873 года.

- Промышленный характер их производства.

-Выявлен ассортимент его коньяков, полученных из грузинс-ких виноматериалов по двум технологиям: натуральной и искус-



ственной.

Определены исторические причины создания и развития технологии грузинского коньяка XIX века.

- Экспортирование коньяков Болквადзе в зарубежные страны на продажу, а также на выставки.

- Определены исторические причины, побудившие экспонировать свои изделия с их дегустационным рассмотрением на 50 выставках.

- Проведены циклы исследований по установке выставок, на которых экспонировались коньяки Болквадзе.

- Выявлены и изучены награды, полученные продукцией Болквадзе и им самим за них. Характер наград. Местонахождение многих из них в фондах различных музеев СССР.

- Выявлены и изучены уникальные образцы репрезентивных средств промышленной графики, изданной в литографиях Грузии. В том числе для Болквадзевской продукции/ 20 этикеток и 8 рекламных листов/, давших правильное направление исследований: года, места, компаньона, заводских марок, наград, выставок и т.д.

Болквадзе пионер рекламирования крепких напитков.

Перед всем миром демонстрируя возможности грузинских виноматериалов, доказывал их соответствие эталонам мировых стандартов. Продукция Болквадзе экспонировалась на 50 Всемирных, Международных, Промышленных, Научно-экономических выставках, в таких странах, как: Франция, Англия, Германия, Италия, Бельгия, США и т.д., где, от компетентными жюри им

присвоены, за период 1865-1901 гг. более 100 наград. Из них 45 золотых и серебрянных медалей, 4 медали от разных Академий, 17 "Высших наград", 5 "Высших экспонентских" наград.

Л и т е р а т у р а

Указана лишь цитируемая в статье. Кроме литературы по истории, экономике, технологии искусства и т.д. использованы музейные фонды: ГИМ, Изобразительного искусства им. Пушкина /оба Москва/, Эрмитаж - Ленинград, Государственного исторического музея СССР, Кутаисского историко-краеведческого муз. и т.д. Архивные фонды Ц.Г.И.А. СССР, Ц.Г.И.А.Л., Ц.Г.И.А. СССР, Ц.Г.Л.А. СССР, Ц.Г.Ф.Ф.А. СССР и т.д. Периодическая литература издаваемая в Закавказье на русском и грузинском языках с 1850-1905 годов. ЗКОИРГО, П.СЗРИ, АКТЫ и т.д. Визуальные материалы учреждений коллекционеров.

1. სტატ. გ. 7 ანაწილ სავ. 489 გვ. 10
2. აკად. ბ. გუგუშვილი საქართველოს ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს
3. აკად. ივ. ჯავახიშვილი საქართველოს ეკონომიკური ისტორია. ტ. 1, 1938
4. ჯორდანიას ო. კ. К вопросу о революционной ситуации в Грузии в конце 50-ых в начале 60-их годов XIX века. Тбилиси, 1971
5. Муравьев А.Н. Грузия и Армения. СПб, 1848
6. Габлишвили Н.А. Грузинская деревня в 30-х-начале 60-х годов XIX века. Тбилиси, 1981

7. Обзорение русских владений за Кавказом. СПб, 1836
8. ზ. ჭიჭინაძე-მრეწველობის წარმომაგებებელი და ღებადამწიგნობის
კვარის ისტორია. თბ. 1904
9. ზ. ჭიჭინაძე-მრეწველობა, ვაჭრობა, ხელოსნობა საქართველოში. თბ. 1911
10. ზაზიშვილი "ისტორია" 1980 №273
11. Кавказский календарь. 1875 КК
12. Ц.Г.И.А. СССР. Ф.-20.оп.12.д.100
13. მ. მინიანაშვილი-კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება
საქართველოში. თბ. 1980
14. Ц.Г.И.А.ГССР Ф.370 д.234, с.83
15. Ц.Г.И.А.ГССР ф.370 оп.1 д. 168
16. Донесение помощника надзирателя 2 Округа Акцизного
Управления Вихоржевского /Ц.Г.И.А.ГССР.ф.
370 д.168/
17. Востенфельд. Производство ликеро-водочных изделий.
Ленинград.М., 1936
18. საქართველოს კალენდარი 1886-1900
19. სამრეწველო ტექნოლოგიური ენციკლოპედია. ტ. I
20. Цицишвили. Коньячное производство Грузии и его тех-
нология.
21. Труды технического Комитета Департамента неотложных
сборов. 1889. СПб. 1890
22. Правила и инструкции фруктово-виноградно, водочных
производств. СПб. 1901
23. Французская техническая энциклопедия.
24. Отчет Департамента неотложных сборов 1888 СПб 1899

663.26:577.1

გ. ხოსიტაშვილი, თ. ფხვიძე,
ა. ლაშხი, ც. ყანდარელი

მეღვინეობის მონარჩენებიდან β -სიტოსტერინის
მიღების ტექნოლოგია

მეზაღვინეობის, მეღვინეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი და ფარმაცოქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ერთობლივი მუშაობის შედეგად დადგინდა, რომ ყურძნის გადაამუშავების პროდუქტები და მათი მონარჩენები (ღვინის ლექი, ჭაჭა) შეიძლება შეიღვინოს β -სიტოსტერინს (1, 2, 3), რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ ამოსაცალ ნედლეულს სტეროიდული ჰორმონების სინთეზში. გარდა ამისა, β -სიტოსტერინი იხმარება მედიცინაში, როგორც ათეროსკლეროზის საწინააღმდეგო პრეპარატი (4).

მცენარეებში ნახულია ფიტოსტერინების სხვადასხვა სახეობა, რომლებიც განირჩევიან ორმაგი კავშირის რიცხვით და მიღებარეობით. ამდღეს მცენარეებში ყველაზე მეტად გავრცელებულია სიტოსტერინი, სტიგმასტერინი და კამპესტერინი, ხოლო ხილესტერინი იაფვლებოდა მხოველური უჯრედების სტერინად. უკანასკნელ ხანებში კი ისიც ნახულია მცენარეებშიც (5). ამ ფაქტს ადასტურებს ჩვენი გამოკვლევებიც. მეღვინეობის ანარჩენებში ჩვენს მიერ პირველად იქნა ნახული β -სიტოსტერინი, როგორც თავისუფალი, ისე შეკავშირებული ფერებისა და გლუკოზიდის სახით (6). ღვინის ლექის ანალიზის შედეგად (7) დადგინდა, რომ იგი პიღროლიზამდე შეიცავს 0,12-0,2% β -სიტოსტერინს, ხოლო პიღროლიზის შემდეგ მათი რაოდენობა იზრდება 0,4-0,5%-მდე მშრალ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით (ცხრ. 1).

წარსულში ჩვენს მიერ დადგენილი იყო, რომ ყურძნის წვენი შეიცავს β -სიტოსტერინს (2). ამის საფუძველზე მიზნად დავისახეთ β -სიტოსტერინი შეგვესწავლა მეღვინეობის ანარჩენებშიც - ღვინის ლექსა და ჭაჭაში.

β -სიტოსტერინი არის კრისტალური სახის ფხვნილი, უსუნო და გემო. დღობის ტემპერატურა 133-135°C. იხსნება ქლოროფორმში, ბენზოლში, დიქლორეთანში, ძეტროლენის ეთერში. ძნელად იხსნება პირტში, საერთოდ არ იხსნება წყალში.

მის გადაკრისტალებას აწარმოებენ მეთანოლში, ბრუნვის კუთხე იღია [α]_D -32° ქლოროფორმში. მოლ. წონა 414,72.

β-სიტოსტერინის გამოყოფა და გასუფთავება მოვახდინეთ ალუმინის უანგით და შემდეგ მისი ფრაქციონირებული გადაკრისტალება ჩავატარეთ მეთანოლით. მიღებული β-სიტოსტერინი შევისწავლეთ გაზურ-სითხური ქრომატოგრაფიით. აღმოჩნდა, რომ სტერინების შედგენილობაში ძირითადი კომპონენტი იყო β-სიტოსტერინი - 59%, ხოლესტერინი - 7,2%, კამპესტერინი - 3%/სტიგმატერინი - 1,4%, 24-ეთილიდენლოფენოლი - 15,2% და 4 არა იდენტიფიცირებული ნივთიერება 6%, 2%, 2% და 4,2%.

გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ ღვინის ლექის ჰიდროლიზისათვის აუცილებელია მარილმჟავას 7%-იანი არე. ჰიდროლიზის დრო 6 საათი, ტემპერატურა არა ნაკლები 98°C. ოთახის ტემპერატურაზე დაყოვნება 12 საათი, წინააღმდეგ შემთხვევაში გაფოტვრა გაძნელებდა და β-სიტოსტერინის დანაკარგი გაიზარდა.

β-სიტოსტერინის მიღების მეთოდის შემუშავებისათვის გამოვიყენეთ ღვინის ლექი, რომელსაც მოშორებული ქონდა სპირტი გამოხდით და ღვინომჟავა ნედლეული გამოღეკვითა და ცენტრიფუგირებით.

ცნობილია, რომ ღვინის ლექი შეიცავს მშრალ ნივთიერებას დაახლოებით 20-22%, ხვედრითი წონა ღვინის ლექის მერყეობს ზღვრებში 1,2-1,4 გ/მლ. ყოველივე ზემოთქმულიდან β-სიტოსტერინის მიღების მეთოდის შემუშავებისათვის ჩავატარეთ ქვემოთ მოყვანილი ცდები.

β-სიტოსტერინის მიღების მეთოდი ლაბორატორიულ პირობებში

100 მლ ღვინის ლექს, რომელიც შეიცავს 20-22 გრ მშრალ ნივთიერებას უმატებთ 25 მლ კონცენტრირებულ მარილმჟავას და ვაღუღებთ წყლის აბაზანაზე 5-6 საათს. ვაცივებთ, ვფილტრავთ, ვრეცხავთ გამობდილი წყლით ნეიტრალურ რეაქტივამდე და ვაშრობთ 100-105°C-ზე. მშრალ მასას ვუმატებთ 35-40 მლ ქლოროფორმს 4-ჯერ და ვაცხელებთ. ქლოროფორმიან გამონაწვლილს ვაერთიანებთ, გამხსნელს გადადენით მოვაშორებთ და დარჩენილ მასას ვაცხელებით ვუმატებთ 2-3 მლ მეთანოლს. კოლბის ფსკერზე გამოიყოფა ფისისებური ნაერთი. მეთანოლიან სითხეს ვაშორებთ, ვაცივებთ და მიიღება ტექნიკური სიტოსტერინის მწვანე ფერის მეორე ნალექი. ანალოგიურად გავიმეორეთ ცდა 200 მლ და 500 მლ ღვინის ლექზე.

— მეაური ჰიდროლიზის შედეგები მოყვანილია I-ელ ცხრილში.

ცდები β -სიტოსტერინის მიღებაზე ნახევრად
 საწარმოო პირობებში

ც დ ა 1. ავიღეთ ღვინის ლექი, რომელიც შეიცავდა 20%-მდე მშრალ ნივთიერებას. დაუმატეთ 250 მლ კონცენტრული მარილმკვავა (35-36%) და წყლის აბაზანაზე შებრუნებული მაცივრით ვადუღეთ 3 საათის განმავლობაში. დავაყოფინეთ ოთახის ტემპერატურაზე 8 საათს. გაცვიფტრეთ, ნალექი გავაშრეთ მუღვივ წონამდე. მივიღეთ მშრალი ჰიდროლიზატი 185 გ/ლ-ის რაოდენობით, რომელსაც შეეფარდება β -სიტოსტერინის რაოდენობა 2,0%. რადგან ფილტრაცია გაძნელებული იყო, რომელსაც შეიძლება იმოქმედოს β -სიტოსტერინის გამოსავალზე, ამიტომ მიღებული ჰიდროლიზატიდან (185გ) ავიღეთ 10გ და ხელახლა ჩავატარეთ ჰიდროლიზი, დანუმატეთ 400 მლ წყალი და 18 მლ მარილმკვავა. ვადუღეთ 3 საათი. მიღებული ჰიდროლიზატი გაცვიფტრეთ. ამით β -სიტოსტერინის გამოსავალი ნაწილობრივ გაიზარდა.

ღარჩენილ 175 გ ჰიდროლიზატს ჩაუტარეთ ექსტრაქცია ქლოროფორმ-მეთანოლით (1:1) 4-ჯერ წყლის აბაზანაზე გაცხელებით. შევასქევეთ ვაკუუმ-ამაირთქლებულზე. მივიღეთ 73 გ ნივთიერება, რომელიც ხელმეორედ გამოვწვდილეთ ქლოროფორმით. მივიღეთ 40 გ მშრალი ნივთიერება. აქედან ავიღეთ 37 გ ნივთიერება და დავყავით ალუმინის ტანგით მოზადებულ სვეტზე ექსტრაქციული ბენზინის საშუალებით (სსრ.2).

ფრაქციები, რომელიც შეიცავენ β -სიტოსტერინს გაცანთიანეთ და მივიღეთ 1,18 გ გამოშრობამდე და 1,12 გამოშრობის შემდეგ.

β -სიტოსტერინი ვადავაკრისტაღეთ მეთანოლით, რომლის ლდობის ტემპერატურა მერყეობდა 143-147⁰.

ც დ ა 2. ჩატარდა პირველი ცდის ანალოგიურად. მხოლოდ ჰიდროლიზის ხანგრძლივობა 3 საათის ნაცვლად გავზარდეთ 6 საათამდე, ხოლო მესამე ცდაში ჰიდროლიზის ხანგრძლივობა ავიყვანეთ 12 საათამდე. β -სიტოსტერინის გამოსავალი ჰიდროლიზის ხანგრძლივობის გაზრდასთან დავავმირებით (3-12 საათი) გაიზარდა 0,47-დან 0,55%-მდე. β -სიტოსტერინის მიღებამ საწარმოო პირობებისათვის საბოლოოდ მიაღწია მოყვანილი სახე.

ღვინის ლექს ათავსებენ ამრევ მუქანისმიან რეაქტორში, უმატებენ მარილმკვავა იმ რაოდენობით, რომ არე შეიქმნას 7%-მდე მკაცრიანი, აქუალებენ 100⁰C-ზე 6 საათის განმავლობაში. ხანარს



ღვინის ლექის ექსტრაქტ-ჰიდროლიზატის ქრომატოგრაფიული
დაყოფის შედეგები

| ფრაქციები | გამხსნელი | ელუატის რაოდენობა მლ | აორთქლების შემდეგ დარჩენილი ნივთიე- რება |
|-----------|--|----------------------------|--|
| I-66 | ექსტრაქციული ბენზინი | 3300 | ნახშირწყალბადები |
| 67-130 | " | 3200 | ცხიმოვანი მჟავები |
| 131-191 | ექსტრაქციული ბენზინი, ბენ- ზოლი (1:1) | 3050 | " |
| 192-221 | ბენზოლი | 1500 | " |
| 222-243 | ბენზოლი | 1100 | β-სიტოსტერინი |

აცივებენ და 12 საათის შემდეგ ფილტრებენ ნუტრიფილტრში, რომელსაც დაფარებული აქვს "ბელტინგის" ქსოვილი. ნაშის გამოხდელი წყლით რეცხავენ ნეიტრალურ რეაქციამდე და აშრობენ ვაკუუმ კარადაში 60-80°C -ზე. მშრალ ჰიდროლიზატთან β-სიტოსტერინს მაქსიმალურად წველიღვენ ქლოროფორმით, ექსტრაქტს ასქელებენ ვაკუუმ ამაორთქლებლის საშუალებით, უმატებენ 1:3 მეთანოლს და აცხელებენ ალუმიბამდე. გურგლის ფსკერზე გამოუქვილ ფისისებურ მასას აცილებენ, ხოლო მეთანოლიან ფილტრატს ასქელებენ ვაკუუმ ამაორთქლებელში. გურგლის ფსკერზე დარჩენილ ფისისებურ მასას რეცხავენ ქლოროფორმით. მეთანოლიან შესქელებულ ექსტრაქტს ხსნიან პეტროლენის ეთერში და ატარებენ ალუმინის ჟანგით მომზადებულ სვეტზე. სვეტს რეცხავენ პეტროლენის ეთერით, პირველ ფრაქციაში გამოწველიღვა ხდება ცხიმოვანი მჟავების, ხოლო მომდევნო ფრაქციაში β-სიტოსტერინის. β-სიტოსტერინის ფრაქციას ასქელებენ ვაკუუმ ამაორთქლებელში და აკრისტალებენ მეთანოლის საშუალებით გააქტივირებულ ნახშირთან ერთად, რომელსაც შემდეგ გააცხელებენ და გაფილტრებენ. ფილტრატს ათავსებენ მაცივარში. გამოვარდნილ ნალექს ფილტრებენ და აშრობენ ვაკუუმ საშრობში 60-70°C -ზე. დებულობენ სუფთა β-სიტოსტერინს.

მედლინგობის მონარქენების რაციონალური გამოყენების მიზნით შეეცნავეთ დვინის ლექის ქიმიური შედგენილობა. მოგახდინეთ დვინის ლექიდან სტერინების ჯამური პრეპარატის გამოყოფა და შემდეგ მათი დაყოფა და იდენტიფიკაცია გაზურ-სითხური ქრომატოგრაფიით. აღმოჩნდა, რომ სტერინების ჯამური პრეპარატი შეიცავს 59%

β-სიტოსტერინს, 7% ხოლესტერინს, 3% კამპესტერინს, 1,4 სტიგმასტერინს, 15,2%-24 ეთილიდენლოფენოლსა და 4-ჯერჯერობით უცნობ სტერინს, რომელთა პროცენტული რაოდენობა შეადგენს 6,1, 2,0, 2,0 და 4,2%.

მიღებულ სტერინებიდან ყურადღებას იმსახურებს β-სიტოსტერინი, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჯამურ პრეპარატში მისი შემცველობა შეადგენს 59% და მეორეც იმიტომ, რომ იგი წარმოადგენს ნედლეულს ჰორმონალური პრეპარატების მისაღებად.

რადგან β-სიტოსტერინი მოცემულია თავისუფლად, უმაღლეს ცხიმოვან მჟავათა ეთერებისა და მისი გლუკოზიდების სახით დვინის ლექში, საჭირო შეიქმნა დვინის ლექის ჰიდროლიზის ჩატარება, რის საფუძველზეც შეზოჭილი β-სიტოსტერინი განთავისუფლდა და მივიღეთ თავისუფალი β-სიტოსტერინი, ცხიმოვანი მჟავები და შაქრები. საერთო ჯამში კი საკმაოდ გაიზარდა თავისუფალი β-სიტოსტერინის რაოდენობა.

ექსპერიმენტის საფუძველზე დავადგინეთ, რომ მკაცური ჰიდროლიზის ჩატარება უნდა მოგახდინოთ მარილმკაცვას საშუალებით 6-7%-იან არეში 6 საათის დუდილის ხანგრძლივობით და 12 საათის დაყოვნებით.

ასეთ შემთხვევაში თავისუფალი β-სიტოსტერინის რაოდენობა იზრდება 2-ჯერ.

Хоситашвили В.Л., Пхеидзе Т.А., Лалхи А.Д.
 Кандарели Ц.К.

Получение -ситостерина из гуши вина

Р е з ю м е

С целью рационального использования отходов виноделия мы изучали химический состав винной гуши. Выделили из винной гуши сумму стеринов и идентифицировали на газо-жидкостном хроматографе. Выяснилось, что сумма стеринов содержит -ситостерин - 59%, холестерин - 3%, стигмастерин - 1,4%, 24-стилиденлофенол - 15,2% и 4 неидентифицированных компонента 6%, 2%, 2% и 4,2%.

Из полученных стеринов заслуживает внимание -ситостерин так как его содержание составляет больше половины, а во вторых, он представляет собой основное сырье для получения гормонального препарата.

Нами установлено, что в винной гуше -ситостерин находится как в свободном состоянии, так и в виде эфиров высших жирных кислот и их гликозидов. На основе вышеуказанного мы провели гидролиз винной гуши и получили свободный -ситостерин, жирные кислоты и углеводы, что дало возрастание общего количества -ситостерина.

Наилучшие результаты получали при кислотном гидролизе с применением соляной кислоты до доведения кислотности в среде 6 - 7%, при продолжительности кипячения 6 часов и затем отстоя 12 часов. При этом количество свободного -ситостерина возрастает в 2 раза.



1. Хоситашвили В.Л. -ситостерин в виноградном соке и вине. Тез. д.н/т конференции, Тбилиси, 1972.
2. Хоситашвили В.Л., Беридзе Г.И., Пхеидзе Т. Способ получения -ситостерина из виноградного сока. Авт.свид. №379622, 1973.
3. Хоситашвили В.Л. Остатки виноградной продукции как новое сырье для получения -ситостерина. Тез.д. н/т конф. пос. т/б вина, 1973.
4. Хоситашвили В.Л. Поверхностно-активные вещества в продуктах переработки винограда и их значение в образовании стабильных пен в игристых винах. Диссерт. работа, 1973.
5. Пхеидзе Т., Хоситашвили В.Л., Бостоганашвили В.С., Лашхи А.Д. Химический состав винной гущи. Тез. д. на VII Советско-индийский симпозиум по химии природных соединений, Тбилиси, 1983.
6. Хоситашвили В.Л., Пхеидзе Т., Батраков С. Получение ситостерина и его эфиров высших жирных кислот из виноградных выжимок. Тез.д. на респ. н/к с/х раст., 1976.
7. Хоситашвили В.Л., Лашхи А.Д., Бостоганашвили В.С., Чхеидзе Н. Определение ситостерина и олеановой к-ты в продуктах переработки винограда. Виз СССР, 1981, №8, с.17.
8. Халецкий А.М., Мухин М.В. -ситостерин и его использование для синтеза стероидных гормонов. В/к. по н. и т. проблемам в области пр-ва стеро-

663.259.2:634.8

მ. ჯავახიშვილი, თ. ბატიაშვილი,
 ვ. ბერობაშვილი, მ. ოუფუმიძე

ყურძნის პირველადი გადამუშავების გაცვენა
 ღვინის ხარისხზე

ღვინის ხარისხი ბევრად არის დამოკიდებული იმ ბიოქიმიურ პარამეტრებზე, რომლებიც მიმდინარეობს ყურძნის გადამუშავების დროს (1, 2, 3, 4).

წინამდებარე სამუშაოს მიზანს შეადგენდა გამოგვეტყვიანა რა გაცვენას ახდენს ღვინის ხარისხზე მექანიკური დაზიანების პროცენტული მაჩვენებელი და ყურძნის გადამუშავების ეადა მისი მოკრეფიდან.

აღნიშნული საკითხი შესასწავლად აღებული იქნა 2500 კგ ტექნიკური სიმწიფის რქაწითელი და დანაწილდა ხის ტარბებში, თითოეულში 100-100 კგ-ის რაოდენობით.

ცდა ჩატარებულ იქნა ხუთ ვარიანტად, ხუთი განმეორებით.

I ვარიანტი საღა ყურძენი

II ვარიანტი ყურძენი დაზიანებული 10%-ით

III ვარიანტი ყურძენი დაზიანებული 30%-ით

IV ვარიანტი ყურძენი დაზიანებული 50%-ით

V ვარიანტი ყურძენი დაზიანებული 80%-ით.

ყველა ვარიანტის ყურძენი გადამუშავებული იქნა მოკრეფისა და ხარდაღში შეტანისთანავე, მოკრეფიდან 4, 8, 24 და 48 საათის შემდეგ.

ღვინომასალების დამზადება მოხდა ევროპული წესით ერთსა და იმავე პირობებში, ერთსა და იმავე სახის გურგელში.

დადუღებული ნიმუშების შესწავლა დავიწყეთ ორგანოლექტიკური შემოწმებით, რის შედეგადაც აღმოჩნდა შემდეგით:

ღვინომასალა მიღებული ყურძნის გადამუშავებით:

მოკრეფისთანავე

- I. დაუზიანებელი - კარგად დაწმენდილი, დაუეანგავეი, შარშონიული, ბავერლოკანი, სასიამოვნო ბუკეტით. მადაღხარისხოვანი ევროპული ტიპის ღვინომასალა, საშუალო შეფასება 8,6 ბალი.



2. დაზიანებული 10%-ით წინა ნიმუშების ანალოგიურია საშუალო შეფასება 8,6 ბალი.
3. დაზიანებული 30%-ით კარგად დაწმენდილი ღია ჩალისფერი, სასიამოვნო ბუკეტით ხავერდოვანი, საშუალო შეფასება 8,5 ბალი.
4. დაზიანებული 50%-ით ანალოგიური წინა ნიმუშების საშუალო შეფასება 8,5 ბალი.
5. დაზიანებული 80%-ით ანალოგიური მეოთხე ნიმუშის საშუალო შეფასება 8,5 ბალი.

დვინომასალა მიღებული ყურძნის გადამამუშავებით მოკრეფიდან 4 საათის შემდეგ.

1. დაზიანებული - კარგად დაწმენდილი, დაუჯანგავი, ჰარმონიული, ხავერდოვანი, სასიამოვნო ბუკეტით, კარგი ხარისხის ევროპული ტიპის დვინომასალა საშუალო შეფასება 8,4 ბალი.
2. დაზიანებული 10%-ით ანალოგიური წინა ნიმუშების, საშუალო შეფასება 8,4 ბალი.
3. დაზიანებული 30%-ით კარგად დაწმენდილი, ღია ჩალისფერი, ჰარმონიული, კარგი ხარისხის ევროპული ტიპის დვინომასალა საშუალო შეფასება 8,3 ბალი.
4. დაზიანებული 50%-ით ანალოგიური წინა ნიმუშების საშუალო შეფასება 8,3 ბალი.
5. დაზიანებული 80%-ით კარგად დაწმენდილი ჩალისფერი, სასიამოვნო ბუკეტით, საშუალო შეფასება 8,3 ბალი.

დვინომასალა მიღებული ყურძნის გადამამუშავებით მოკრეფიდან 8 საათის შემდეგ

1. დაზიანებული - კარგად დაწმენდილი, დაუჯანგავი, ჰარმონიული, სასიამოვნო ბუკეტით, კარგი ხარისხის ევროპული ტიპის დვინო, საშუალო შეფასება 8,4 ბალი.
2. დაზიანებული 10%-ით დაწმენდილი, ოდნავ დაქანგული, ჰარმონიული, ხილის არომატით, კარგი ხარისხის ევროპული ტიპის დვინო, საშუალო შეფასება 8,3 ბალი.
3. დაზიანებული 30%-ით ანალოგიურია წინა ნიმუშების საშუალო შეფასება 8,2 ბალი.

4. დაზიანებული 50%-ით ანალოგიური წინა ორი ნიმუშის საშუალო შედეგად დასება 8,2 ბალი.
5. დაზიანებული 80%-ით კარგად დაწმენდილი ოდნავ დაჟანგული სუსტი ბუკეტით, მცირედი ოპალესენციით, საშუალო ხარისხის ეროვნული ტიპის ღვინო 7,9 ბალი.

ღვინომასალები მიღებული ყურძნის გადამუშავებით მოკრეფიდან 24 საათის შემდეგ.

1. დაზიანებული - კარგად დაწმენდილი, დაუჟანგავი, სასიამოვნო არომატით, ჩაღის ფერი, კარგი ხარისხის ეროვნული ტიპის ღვინო, საშუალო შეფასება 8,3 ბალი.
2. დაზიანებული 10%-ით წინა ნიმუშთან შედარებით დაჟანგულია, სუსტი ბუკეტით, ეროვნული ტიპის ღვინო 8,2 ბალი.
3. დაზიანებული 30%-ით ანალოგიურია წინა ნიმუშის საშუალო შედეგად 8,2 ბალი.
4. დაზიანებული 50%-ით წინა ნიმუშებთან შედარებით უფრო მეტადაა დაჟანგული, შეიგრძნობა ოდნავ მქროლავი მკვება, საშუალო შეფასება 8,0 ბალი.
5. დაზიანებული 80%-ით ანალოგიურია წინა ნიმუშის, საშუალო შედეგად 8,0 ბალი.

ღვინომასალა მიღებული ყურძნის გადამუშავებით მოკრეფიდან 48 საათის შემდეგ.

1. დაზიანებული - კარგად დაწმენდილი, ხილის არომატით დაუჟანგავი, მარმონიული, კარგი ხარისხის ეროვნული ტიპის ღვინო, საშუალო შეფასება 8,3 ბალი.
2. დაზიანებული 10%-ით კარგად დაწმენდილი, მუქი ჩაღისფერი დამახასიათებელი არომატით, შეიგრძნობა დაჟანგვის ტონი, შეიგრძნობა მქროლავი მკვებაც საშუალო ხარისხის ეროვნული ტიპის ღვინო, საშუალო შეფასება 7,9 ბალი.
3. დაზიანებული 30%-ით კარგად დაწმენდილი, საკმაოდ დაჟანგული, კარგად შეიგრძნობა მქროლავი მკვება, დაბალი დირსების ეროვნული ტიპის ღვინო, საშუალო შეფასება 7,9 ბალი.
4. დაზიანებული 50%-ით ანალოგიურია წინა ნიმუშის, საშუალო შედეგად 7,9 ბალი.

5. დაზიანებული მღწეობა კიდევ უფრო ჩამორჩება თავის წინა ნიმუშს, მეტაბოლა დაუბანგული, საშუალო შეღასება 7,8 ბალი.

ორგანოლექტიკური შეფასებებიდან ირკვევა, რომ რაც უფრო ვახანგრძლივებულია გადამუშავება ყურძნისა მისი მოკრეფიდან, მით უფრო ადრეა წახული ღვინომასალებში დაუბანგითი პროცესები და ღვინოს ხარისხიც თანდათანობით შემცირებულია. ამასვე ამტკიცებს ნიმუშების გამოკვლევის ზოგიერთი ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებელი (იხ. ცხრილი 1).

ღვინომასალებში, რომლებიც მიღებულია ყურძნის მოკრეფისთანავე გადამუშავებით მთრიმლავი ნივთიერებანი საკმაოდ ცოტადაა, 0,15 გ/ლ-ში. იმ დროს როდესაც ერთი ღვე-ღამის 48 საათის განმავლობაში დატოვილ დაზიანებული ყურძნისაგანაა მიღებული 0,42 გ/ლ-ში.

აქვე უნდა აღვნიშნათ ისიც, რომ სხვადასხვა ყურძნის ჯიშებში სხვადასხვა რაოდენობითაა დამუბანგველი ფერმენტები და ცხადია დაზიანებულ მდგომარეობაში მათი მოკრეფიდან დიდხანს დაყოვნება გადამუშავებამდე მეტად არასახარბიელო შედეგს მოგვცემს.

ჩვენი გამოკვლევებით დადგინდა, რომ დამუბანგველი ფერმენტების პოლიფენოლქსიდაზას, პეროქსიდაზას და კატალაზას აქტივობა კახურ მწვანეში ბევრად აღემატება რქაწითელისას (იხ. ცხრილი 2).

სწორედ ამით უნდა აიხსნას ის დიდი მიდრეკილება დაუბანგვისაკენ ყურძნის ჯიშ კახურ მწვანეშიდან მიღებული წვენიდან.

ვანსაკუთარებულო ყურადღებას იმსახურებს მქროლავ მკვანათა ზრდის დინამიკა ღვინომასალებში, ყურძნის მოკრეფიდან გადამუშავების ვახანსა და მექანიკურ დაზიანების მაჩვენებელთა დაკავშირდ ით (იხ. ცხრილი 3).

სადი ტიპილი მქროლავ მკვანებს არ შეიღავს, მასში შეიძლება მხოლოდ ნიშნები იქნას შემჩნეული, მაგრამ თუ ტიპილი დამძალი და დაბავალებული ყურძნისაგან არის მიღებული, იქ ისინი საკმაოდ რაოდენობით გვხვდებიან.

გამოკვლევით დადასტურდა, რომ ყურძნის მოკრეფის შემდეგ მისი გადამუშავების დაყოვნება ღვინომასალებში იწვევს მქროლავი მკვანის რაოდენობის გაზრდას და ეს ზრდა უფრო მეტადაა შესამჩნევი, როდესაც ყურძენი დაზიანებულია. დაწყვეტილ და დაზიანებულ ყურძენში, ვანსაკუთარებით მაშინ, როდესაც ისინი დიო გროვებადაა დაგროვილი, ვადამუშავებამდე იწყება ალკოჰოლური ფუფილი, მისი გადამუშავებისას ადგილი აქვს ალკოჰოლთან ჰაერის უანჯბადის შეხებას და ხდება მისი დაუბანგვა, ძმარმტავად, შემდეგ ამას ემატება ფუფილის


 ნიმუშების
 დასახელება

 დენის ხმ.წ.
 მოც.წ-ში
 200

 ალკოჰოლის
 მოც.წ-ზე
 200

 საერთო
 სიმკვავე

 მქოლავი
 მუცა

ექსპრატტი

ტანინი

1

2

3

4

5

6

7

 ყურძენი გადამუშავებული
 მოკრეფისთანავე

| | | | | | | |
|--------------------------------|--------|------|-----|------|------|------|
| რქაწითელი საკონტროლო I | 0,9913 | 11,7 | 6,8 | 0,26 | 17,4 | 0,15 |
| რქაწითელი 10% დაზიანებუ- ლი | 0,9917 | 11,7 | 7,5 | 0,26 | 17,8 | 0,15 |
| რქაწითელი 30% დაზიანებუ- ლი | 0,9912 | 11,6 | 7,8 | 0,26 | 18,0 | 0,15 |
| რქაწითელი 50% დაზიანებუ- ლი | 0,9912 | 11,6 | 7,1 | 0,26 | 17,8 | 0,15 |
| რქაწითელი 80% დაზიანებუ- ლი | 0,9915 | 11,6 | 7,3 | 0,26 | 18,3 | 0,15 |

 ყურძენი გადამუშავებული
 4 საათის შემდეგ

| | | | | | | |
|--------------------------------|--------|------|-----|------|------|------|
| რქაწითელი საკონტროლო II | 0,9911 | 11,3 | 7,6 | 0,33 | 17,7 | 0,15 |
| რქაწითელი 10% დაზიანებუ- ლი | 0,9917 | 12,1 | 7,2 | 0,44 | 18,1 | 0,15 |
| რქაწითელი 30% დაზიანებუ- ლი | 0,9904 | 11,7 | 7,0 | 0,42 | 18,8 | 0,15 |
| რქაწითელი 50% დაზიანებუ- ლი | 0,9905 | 11,7 | 6,7 | 0,46 | 17,5 | 0,15 |
| რქაწითელი 80% დაზიანებუ- ლი | 0,9916 | 11,8 | 7,6 | 0,48 | 19,3 | 0,15 |

 ყურძენი გადამუშავებული
 8 საათის შემდეგ

| | | | | | | |
|--------------------------------|--------|------|-----|------|------|------|
| რქაწითელი საკონტროლო III | 0,9921 | 11,8 | 7,3 | 0,33 | 12,3 | 0,21 |
| რქაწითელი 10% დაზიანებუ- ლი | 0,9921 | 11,4 | 6,4 | 0,44 | 17,9 | 0,24 |
| რქაწითელი 30% დაზიანებუ- ლი | 0,9938 | 11,7 | 7,7 | 0,42 | 19,6 | 0,30 |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
|--|--------|------|-----|------|------|------|
| რქაწითელი 50% დაზიანებუ- ლი | 0,9920 | 11,5 | 8,3 | 0,46 | 18,9 | 0,40 |
| რქაწითელი 80% დაზიანებუ- ლი | 0,9926 | 11,5 | 7,7 | 0,48 | 19,0 | 0,40 |
| ყურძენი გადამუშავებული 24 საათის შემდეგ | | | | | | |
| რქაწითელი საკონტროლო IV | 0,9923 | 11,0 | 8,6 | 0,39 | 19,2 | 0,21 |
| რქაწითელი 10% დაზიანებუ- ლი | 0,9924 | 11,0 | 7,5 | 0,48 | 20,1 | 0,30 |
| რქაწითელი 30% დაზიანებუ- ლი | 0,9913 | 11,7 | 7,3 | 0,47 | 18,8 | 0,30 |
| რქაწითელი 50% დაზიანებუ- ლი | 0,9913 | 11,8 | 6,9 | 0,59 | 19,1 | 0,30 |
| რქაწითელი 80% დაზიანებუ- ლი | 0,9937 | 11,8 | 6,0 | 0,60 | 20,0 | 0,35 |
| ყურძენი გადამუშავებული 48 საათის შემდეგ | | | | | | |
| რქაწითელი საკონტროლო V | 0,9913 | 11,5 | 6,7 | 0,42 | 18,0 | 0,21 |
| რქაწითელი 10% დაზიანებუ- ლი | 0,9917 | 11,7 | 6,8 | 0,60 | 19,2 | 0,30 |
| რქაწითელი 30% დაზიანებუ- ლი | 0,9924 | 10,8 | 6,4 | 0,70 | 20,0 | 0,38 |
| რქაწითელი 50% დაზიანებუ- ლი | 0,9920 | 10,7 | 7,0 | 0,70 | 18,6 | 0,35 |
| რქაწითელი 80% დაზიანებუ- ლი | 0,9935 | 10,7 | 5,9 | 0,80 | 17,1 | 0,42 |

პროცესში წარმოქმნილი ძმარმუცა და ზოლის მიღებული პროდუქციის ხარისხი წმლიანად ეცემა, დაწყობილ, დაზიანებულ ყურძენში ალკოჰო-
ლური დუღილის დაწყებას თან ახლავს ველური საფეხვების კერძოდ
ჯაშაი აქრანსება გამრავლება გაბეჭვიურება და ამითაც იქმნება
კიდეც ერთი პირობა ძმარმუცის წარმოქმნისა.

აღნიშნული გამოკვლევით დადგენილი იქნა, რომ ყურძენის მოკრეფი-
თან მისი გადამუშავების რაღების გახანგრძლივება იწვევს არასა-

| ყურძნის ჯიში | პოლიფენოლიკ- სიდაზა I გ/2 წთ. | პეროქსიდაზა I გ/2 წთ. | კატალაზა I გ/15 წთ. | შენიშვნა |
|-----------------|-------------------------------------|--------------------------|------------------------|----------|
| ქაწითელი | 1,6 | 3,8 | 1,7 | |
| მწვანე | 2,2 | 4,3 | 1,8 | |

ურველ დაკანგვით პროცესებს, და ზრდის მქროლავ მუცავათა რაოდენო-
ბას. ეს კიდევ უფრო მეტად შესამჩნევი ხდება, რამდენადაც ყურძნის
ექანიკური დაზიანების მარცვენებელია მეტია.

ამგვარად მაღალხარისხოვანი ევროპული ტიპის ღვინოების დასამ-
ადებლად ყურძნის ვადამუშავება უნდა მოხდეს მოკრეფისთანავე.

მქროლავი მეცვის ზრდის დინამიკა ფვინობისასაღებში ყურძნის მოყრეფიდან
გაღამუშავების ვადისა და მექანიკური დაზიანების მაჩვენებელთან დაკავშირებით

| | | მქროლავი მეცვა გ/ლ-ში | | | |
|---------------------------|-----------------------|-------------------------|--------------------|---------------------|---------------------|
| | | ყურძენი გაღამუშავებულნი | | | |
| | მოყრეფისთანა- ნავე | 4 საათის შემდეგ | 8 საათის შემდეგ | 24 საათის შემდეგ | 48 საათის შემდეგ |
| I დაუზიანებელი ყურძენი | 0,26 | 0,33 | 0,33 | 0,39 | 0,42 |
| II 10% დაზიანებული | 0,26 | 0,33 | 0,44 | 0,48 | 0,60 |
| III 30% დაზიანებული | 0,26 | 0,35 | 0,42 | 0,47 | 0,70 |
| IV 50% დაზიანებული | 0,27 | 0,36 | 0,46 | 0,59 | 0,70 |
| V 80% დაზიანებული | 0,26 | 0,44 | 0,48 | 0,60 | 0,80 |

М. Джавахишвили, Т. Батнашвили,
В. Берозашвили и М. Гудумидзе

Влияние первичной переработки винограда на качество
вин

Резюме

Исследованием установлено, что задержка переработки винограда после сбора вызывает нежелательные окислительные процессы и способствует повышению содержания летучих кислот. Казанное становится более заметным когда виноград механически поврежден.

Л и т е р а т у р а

- Дурмишидзе С.В. Окислительные ферменты в виноградной мезге. Виноделие и виноградарство СССР, №8, 1950, с.29.
- Дурмишидзе С.В. Превращение дубильных веществ при переработке винограда. Журнал биохимия виноделия, сб.4, 1953
- Родопуло А.К. Основы биохимии виноделия. М; легкая и пищевая промышленность, 1983
- Родопуло А.К. Об окислительных процессах в виноделии. М; Пищепромиздат, 1962.

663.25:54

საქართველოს მეცნიერების მიღწევები ქიმიასა
და ტექნოლოგიაში

ო.დარახველიძე

მ.მ.მ.ს.კ.ი., 1984, გვერდი

შრომაში მიმოხილულია ღვინის ქიმიასა და ტექნოლოგიაში უკანასკნელ წლებში მოპოვებული მეცნიერული მიღწევები. ლაპარაკია იმ პრობლემებზე, რომელზედაც დღეს მუშაობენ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები.

663.34

მსხლის გადამუშავების ტექნოლოგიის ინტენსიფიკაცია
ფერმენტული ჰიდროლიზის საფუძველზე

გ¹. ბლხაზაშვილი, ლ. მუჯირი, ა. ლაშვი,

ვ². მოდებაძე

მ.მ.მ. ს.კ.ი., 1984, გვერდი

ჩატარებული კვლევის საფუძველზე შემუშავებული მსხლის გადამუშავების ტექნოლოგიური სქემა, რომელმაც გაიარა საწარმოო და საუწყებო გამოცდა და რეკომენდებულია წარმოებაში დასანერგად.

663,25:54

ქართული ღვინის - "გელათის" ღვინომასაღების
ქიმიური შედგენილობა

გ.არაბიძე, გ.კობახიძე,

ნ.გამყრელიძე, ნ.კინწურაშვილი

შესწავლილი იქნა ქართული ღვინის "გელათის" ღვინომასაღების
ქიმიური შედგენილობა და გამოკვლეული იქნა ამღვრევის მიზეზები
მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა დასასახად.
ცხრილი 2.

663.25:634.8:54

თეაფლავინები და თეარუბიგინები ყურძენსა
და ღვინოში

ნ.გელაშვილი, ჯ.თევდორაძე

მ.მ.მ.ს.კ.ი., 1984, გვერდი

კვლევის შედეგად დამტკიცდა, რომ თეარუბიგინების მეტი შემცვე-
ლობით ხასიათდება ფერმენტირებულ ჭაჭაზე დუდილით მიღებული კახუ-
რი ტიპის ღვინომასალა. მიუხედავად იმისა, რომ ყურძენსა და ღვი-
ნოში თეაფლავინებისა და თეარუბიგინების შემცველობა ძალზე მცი-
რეა, ისინი გავლენას ახდენენ კახური ტიპის ღვინის ხარისხობრივ
მაჩვენებლებზე.

ცხრილი 2

სურათის თეთრი ფონების ბუფერული
 ოცნებები

ო. ღარბახველიძე, თ. ღერბენაძე

მ. მ. მ. ს. კ. ი., 1984, გვერდი

დადგენილია, რომ სხვადასხვა შეთადით დამუშავებული ერთი და იგივე
 ყურძნის ტექნიკისაგან დამზადებული ფინოვანსაღები განსხვავდებიან
 ბუფერული მოცულობებით. ფინის წყლით განზავების შემთხვევაში ბუფერულ
 ღი მოცულობა მცირდება. განზავების პროპორციულად შემცობება კი
 ზრდის ბუფერულ მოცულობას.

ცხრილი 4

663.223

შიდროდინამიკური პირობების გამოკვლევა ნაკადური
 შამპანისაგან აპარატებში

ო. ღარბახველიძე, ი. ქორიაშვილი, მ. მადლაკელიძე

მ. მ. მ. ს. კ. ი., 1984, გვერდი

დადგენილ იქნა, რომ ფინის უწყვიტ ნაკადში საშამპანისაგან
 აპარატების ნაკადოვანებად შიდროდინამიკის თვალსაზრისით ჩითველ-
 ბა მათი მუშაობის უთანაბრობა დადგენილ ტექნოლოგიურ ციკლთან
 შედარებით, რაც უცხოეთითად მოქმედებს საბოლოო პროდუქტის ხარისხ-
 ბე.

ცხრილი 2

ლიმონმუხაგას განსაზღვრა სპექტომეტრული მეთოდით
 ყურძნის ღვინოში

თ. დერბენევა, ნ. ებელაშვილი, ნ. ლომინაძე

მ. მ. მ. ს. კ. ი. 1984, გვერდი

ნაშრომში დადგენილია, რომ ყურძნის ღვინოების ტექნოლოგიაში ღვინო-
 ნის მუხაგის განსაზღვრის სპექტომეტრული მეთოდი მარტივია და საკმაოდ
 ზუსტი. კიმიურ მეთოდთან შედარებით განსხვავება არ აღემატება 5%-ს

ამ მეთოდის გამოყენება საშუალებას გვაძლევს სწრაფად და ზუსტად
 განვსაზღვროთ ღვინოს მუხაგის რაოდენობა ყურძნის ღვინოებში.

ცხრილი 2

663,223

საშამპანურ ღვინომასალების რაციონალური
 ტექნოლოგია

გ. თუმბალიშვილი, ნ. გელაშვილი,
 ჯ. აივდორაძე

მ. მ. მ. ს. კ. ი. 1984, გვერდი

ჩატარებული სამუშაოს მონაცემების გაანალიზების საფუძველზე
 შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საშამპანურ ღვინომასალების და-
 სამზადებლად ოპტიმალურია ყურძნის გადამუშავება ნაშრომში მითი-
 თებული სქემის საფუძველზე.

ცხრილი 3

663.25.615.33

თელავიმიციინის პროლუცენტის STREPTOMYCES
 LEVIORIS №243 შტამის პროლუქტიულობის ზრდა სელექციის
 გზით

ნ.კანდელაკი

მ.მ.მ.ს.კ.ი.ი., 1984, გვერდი

ნაშრომში დადგენილია, რომ თელავიმიციინის პროლუცენტის
 მრავალსაფეხურიანი სელექციის გზით მიიღება
 მაღალპროლუქტიული შტამი №243-197, რომლის პროლუქტიულობა საწყის
 შტამთან შედარებით 6-ჯერ მაღალია, რაც აპირობებს თელავიმიციინის
 თვითღირებულების მნიშვნელოვან შემცირებას.

ცხრილი 2

663.241.577.1

მინერალური ელემენტები საკონიაკე
 სპირტსა და კონიაკში

თ.კობაიძე, ლ.მოსაშვილი

მ.მ.მ.ს.კ.ი.ი., 1984, გვერდი

ჩატარებული კვლევის საფუძველზე ავტორთა მიერ, ნეიტრონულ-
 აქტივაციური ანალიზით, მუხის ფხვნილში, პირველად განისაზღვრა
 რუბიდიუმის, ბრომის, სტაბიუმის, სელენის, სკანდიუმის, ოქროსა და
 ვერცხლისწყლის რაოდენობები. დადგენილ იქნა აგრეთვე, რომ მუხის
 კასრი და შემთავრებ საკონიაკე სპირტი ქაბხნის სახმარი წყლიდან
 ნაცრის ელემენტებითაა მდიდრდება. ხშირად სპირტი სახმარი წყლი-
 ზან ისეთ იშვიათ მიკროელემენტებსაც შეეზღობს, რომელსაც მუხის
 ტყეში არ შეიცავს.

663.223

სუფრის სამარკო წითელი ღვინოების
სტაბილიზაციის გზები

მ.კურდღელაშვილი, ც.როინაშვილი,
ბ.ყარამანიშვილი

მ.მ.მ.ს.კ.ი.ი., 1984, გვერდი

შრომში წარმოდგენილი მასალების საფუძველზე დაღვინილია,
რომ სუფრის სამარკო წითელი ღვინომასალა, რომელიც დამუშავდა
ПВН-სა და ელექტრონის გამოყენებით, უკეთესი მაჩვენებლებით
ხასიათდება საკონტროლოსთან შედარებით, ორგანოლექტიკურობის და
მდგრადობის თვალსაზრისით.

ცხრილი I

663.252

ვარდისფერი ღვინოების დამზადების
ტიქნოლოგია

მ.კურდღელაშვილი, ბ.ყარამანიშვილი,
ც.როინაშვილი

მ.მ.მ.ს.კ.ი.ი., 1984, გვერდი

ჩატარებული კვლევითი სამუშაო საშუალებას იძლევა წარმოებას
იგივეთ რეკომენდაცია შრომაში მოცემული ტექნოლოგიით დაამზადოს
ვარდისფერი ღვინოები, რაც საგრძნობლად გაზრდის წითელი და ვარ-
დისფერი ღვინოების ასორტიმენტს და მის რაოდენობას ჩვენს რეს-
პუბლიკაში.

ცხრილი 3

663.241

ლიბიდები კონიაკში და მათი გავლენა
 პროდუქციის ხარისხზე

ა.ლაშხი, მ.შვანგირაძე, ტ.შუბლაძე

მ.მ.მ.ს.კ.ი.ი., 1984, გვერდი

ნაშრომში მითითებულია, რომ ავტორთა მიერ პირველად იქნა გამოყოფილი და შესწავლილი ლიბიდები კონიაკის ლექიდან, ახალგამობდილი და დაძველებული კონიაკის სპირტებიდან და მუხის მერქნიდან, გამოვლენილი იქნა მათი გავლენილი რაოდენობის უარყოფითი გავლენა კონიაკის სასაქონლო ხარისხზე.

ცხრილი 4

ნახაზი 2

663.25.34

ინფრაწითელი სხივებით დამუშავებული ღვინომასალის
 ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები ყურძნის ტკბილის
 სხვადასხვა მეთოდით დამუშავების დროს

შ.მათიაშვილი

მ.მ.მ.ს.კ.ი.ი., 1984, გვერდი

ნაშრომში განხილულია ინფრაწითელი სხივების მოქმედებისა და გავლენის საკითხები ღვინომასალის ფიზიკურ-ქიმიურ შედგენილობასა და გემურ თვისებებზე. დადგინდა, რომ ინფრაწითელი სხივები დადებითად მოქმედებენ ღვინომასალების ფიზიკურ-ქიმიურ შემადგენლობასა და გემურ თვისებებზე.

ცხრილი 1

663.252.2/3

დაწყვეტის რეჟიმის გავლენა ყურძნის
 კომპონენტების ტკბილში გადასვლაზე

ს.მესარქიშვილი, მ.ხოსიტაშვილი,
 ი.ყვინაშვილი

მ.მ.მ.ს.კ.ი., 1984, გვერდი

კვლევის შედეგად დამტკიცდა, რომ ორსადეხურიანი დაწყვეტის
 დროს დაწყვეტის 1 სადეხურზე სამუშაო დრეჩო 9 მმ-ია, 11 სადეხურ-
 ზე 4 მმ, ტკბილის გამოსადვიანობა დაწყვეტის პროცესში 26,4 დალ/ტ
 მაშინ, როდესაც ერთსადეხურიანი ცყვეტის დროს ასეთივე პირობებში
 მიიღება მხოლოდ 21,5 დალ/ტ.

663.252.2/3+663.25:631.8

ტკბილისა და ღვინის არომატული ნაერთების
 დაგროვება მინერალურ კვებასთან დაკავშირებით

ლ.მოსაშვილი, ც.ქანდაკელი

მ.მ.მ.ს.კ.ი., 1984, გვერდი

აზოტ-ფოსფორ-კალიუმური სასუქების 100-100 კმ/ჰა-ზე შეტანი-
 სის ყურძენში იზრდება ალდეჰიდები, უმალესი სპირტები და ეთერები,
 რომლებიც საფუძველია ხარისხოვანი ღვინის დამზადებისათვის. ამას-
 გვე დროს აღინიშნება აზოტიანი, ფოსფორიანი და კალიუმური სასუქე-
 ბის ურთობლივი მოქმედების უპირატესობა მად ცალმხრივ გამოყენე-
 ბასთან შედარებით.

ცხრილი 2

663.14:663.25

საფუერის პერსპექტიული მუტანტები
 ხარისხოვანი ფენოების დამზადებისათვის

გ.მოსიაშვილი, ე.აფხაზავა

მ.მ.მ.ს.კ.ი., 1984, გვერდი

კვლევის შედეგების საფუარზე შეიძლება ასეთი დასკვნების გამოტანა: კახური 42-დან მიღებულია მუტანტი - 41, ხოლო ცოლიკოური 25-დან - 121. პირველი იძლევა მაღალხარისხოვანი კახური ტიპის ფენოს, მეორე კი მაღალხარისხოვანი იმერული ტიპისას.

663.25:663.14

SACCHAROMYCES გვარის საფუარა ორგანიზმების მიერ პანტოტენის
 მჟავასა და პირიდოქსინის სინთეზის უნარი

გ.მოსიაშვილი, მ.ჩუბინიძე, ნ.შენგელია

მ.მ.მ.ს.კ.ი., 1984, გვერდი

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ *SACCHAROMYCES* გვარის საფუარა ორგანიზმებს აქვთ პანტოტენის მჟავასა და პირიდოქსინის აკუმულაციის და სინთეზის უნარი.

ცხრილი 2

SACCHAROMYCES vini-ს საწარმოო შტამების
 მიერ ამინომჟავათა სინთეზი

გ.მოსიაშვილი, მ.ჩუბინიძე,
 ნ.შენგელია

მ.მ.მ.ს.კ.ი.ა., 1984, გვერდი

ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეიძლება გაცეთდეს დასკვნა, რომ ღვინის წარმოებისათვის საფუჯრის წმინდა კულტურის შერჩევის დროს, სხვა კომპონენტებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საფუჯრების ამინომჟავების სინთეზის უნარს და უნდა შეიერჩეს ისეთი კულტურები, რომლებიც ასინთეზირებენ ღვინოზე დაღებითად მოქმედ ამინომჟავებს.

ცხრილი I

663.241:577.1

მუხის მერქნის ფენოლური ნაერთების გამოყოფა
 და მათი გავლენა საკონიაკე სპირტებზე

ლ.მუჯირი, მ.ქურდიძე

მ.მ.მ.ს.კ.ი.ა., 1984, გვერდი

ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის შედეგად გამოვლინებულია, რომ მუხის მერქანი წარმოადგენს მნიშვნელოვან ნედლეულს დაბალ-მოლეკულური ფენოლური ნაერთების ჭარბი რაოდენობით მისაღებად. აქედან გამომდინარე, შემუშავებული იქნა ხის გადამამუშავებელი მრეწველობის ნარჩენებიდან ფენოლური ნაერთების კომპლექსური მიღების მეთოდი.

ცხრილი 2

სურათი 2

668,252,2/3+663,25:577,16

ტკბილისა და აგინის ზოგიერთი მინერალური
ნივთიერება

რ.ნამგაღაძე

მ.მ.მ.ს.კ.ი., 1984, გვერდი

ნაშრომში დადგენილია, რომ ალკოჰოლური დუღილის დაწვებისთანა-
ვმ, უმეტეს შემთხვევაში ადგილი აქვს და მატებას. კახუ-
რი ტექნოლოგიით დაყენებული აგინოები ჭარბი რაოდენობით შეიცავენ
და ვიდრე ევროპული. მინერალური ნივთიერებების შემცირ-
ება აგინომასალაში გრძელდება მისი ერთი და ორი წლით დავარგე-
ბის მთელ პერიოდში.

ცხრილი 1

663,25:54

ელექტრომაგნიტური ველის გავლენა აგინის
მაღალმოლეკულურ ნაერთებზე

რ.ნაუშვილი

მ.მ.მ.ს.კ.ი., 1984, გვერდი

ცნობილია, რომ ცვლადი ელექტრომაგნიტური ველი ბიოლოგიურად
მოქმედებს ცოცხალ ორგანიზმებზე, იწვევს მის ფიზიკო-ქიმიურ
ცვლილებებს; შრომის მიზანი იყო მისი გავლენის შესწავლა ბიოლო-
გიურ ობიექტებზე.

ცხრილი 2

631.563:634.14

კომპის უნარჩენო გადამუშავების ახალი,
 კომპლექსური ტექნოლოგია

მ.სამადაშვილი, ო.სამადაშვილი,
 ლ.გახოკიძე

მ.მ.მ.ს.კ.ი.ე., 1984, გვერდი

ნაშრომში მითითებულია, რომ შემუშავებული ტექნოლოგიის წარ-
 მობაში დანერგვა არ მოითხოვს დამატებით რაიმე ახალი დანადგარ-
 რის შექმნას, პირიქით, იგი ამცირებს კიდევ შრომატევად სამუშაოებს.
 ავტომატიზირებული ხაზების შექმნა მოხდება წარმოებაში არსებული
 მანქანა-დანადგარების მცირედი გადაადგილებით და ზოგიერთი მათ-
 განის მთლიანად გამოთიშვით.

ცხრილი I

663.236:663.36

ტყემლის უნარჩენოდ გამოყენების კომპლექსური
 ტექნოლოგია უალკოჰოლო სასმელების წარმოებაში

მ.სამადაშვილი, ო.სამადაშვილი,
 ლ.გახოკიძე, ნ.გვერდწითელი

მ.მ.მ.ს.კ.ი.ე., 1984, გვერდი

შემუშავებული ტექნოლოგიის წარმოებაში დანერგვა იძლევა
 ეკონომიურ ეფექტს, მარტო ტყემლის დანაზოგი, რომელიც ეყრდნობა
 საწარსოო მასშტაბით გამოცდის შედეგებს ერთი ტონის გადამუშავე-
 ბისას მოქმედ ტექნოლოგიურ ინსტრუქციასთან შედარებით ღირებულე-
 ბით შეადგენს 120 მანეთს.

ცხრილი I

სამამულო მაგარი სასმელების მრეწველობის ისტორიიდან
 მ. შოშიტაშვილი

მ. შ. მ. ს. კ. ი. 1984, გვერდი

ნაშრომში წარმოდგენილია სამამულო მაგარი სასმელების წარმოების რამოყალიბებისა და განვითარების მრავალწლიანი კვლევის შედეგები, კერძოდ:

გიორგი ბოლქვაძე არის პირველი სწავლული და პირველი სპეციალისტი სამამულო წარმოების მაგარი სასმელებისა. იგი ცნობილია არა მარტო საქართველოსა და რუსეთში, არამედ მთელს ევროპაში, იყო ევროპის სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიის

663.26:577.1

შეღებვის მონარჩენებიდან β - სიტოსტერინის
 მიღების ტექნოლოგია

გ. ხოსიტაშვილი, ა. ფხვიძე,
 ა. ლაშხი, ც. ყანდარელი

მ. შ. მ. ს. კ. ი. , 1984, გვერდი

ექსპერიმენტის საფუძველზე დადგინდა, რომ მუცნური ჰიდროლიზის ჩატარება უნდა მოხდეს მარტილმუცას საშუალებით 6-7%-იან არეში 6 საათის დუღილის ხანგრძლივობით 12 საათის დაყოვნებით, ასეთ შემთხვევაში β - სიტოსტერინის რაოდენობა იზრდება 2-ჯერ.

ცხრილი 2

663,241

კონიაკის სპირტის ექსტრაქტია გამდიდრების
 ოპტიმალური დროის დადგენა

ა.სირბილაძე, დ.დოღმაზაშვილი

მ.მ.მ.ს.კ.ი., 1984, გვერდი

მიღებული შედეგებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ახალგაზრდა კონიაკის სპირტებით მუხის მერქნის კომპონენტებით გამდიდრებისას ულტრაბგერის რხევების არეში, საუკეთესო შედეგს იძლევა 20-30 წუთიანი დამუშავება. ამ პერიოდში კონიაკის სპირტში იზრდება ტანინის, ექსტრაქტის, საერთო ეთერების და ტიტრული მუცვიანობის რაოდენობა. მქროლავი არომატული ნივთიერებები აღნიშნული დროის განმავლობაში უმნიშვნელოდ იცვლებიან.

ცხრილი I

სურათი 4

663,252,2/3:577,1

ტკბილის დაწმენდის წესების გავლენა აზოტიან
 ნივთიერებათა ცვლილებებზე ევროპული ტიპის
 სუფრის დვინომასალის დამწიფება-დაძველების
 პროცესში

ნ.ავალაძე, ა.სირბილაძე

მ.მ.მ.ს.კ.ი., 1984, გვერდი

დადგენილი იქნა, რომ შედარებით მაღალი სადეფუსტაციო მონაცემების ნიმუშში, კერძოდ, დვინომასალებში, რომელიც მიღებულია გოგირდოვანი მჟავას ანჰიდრიდისა და ბენტონიტით დაწმენდილი ყურძნის ტკბილისაგან, მეტი ინტენსივობით წარმოიქმნება აზოტიან ნივთიერებათა გარდაქმნები, როგორც მაღალმოლეკულური ნაერთების ჰიდროლიზი, ასევე თავისუფალი და მაღალმოლეკულური ნაერთებიდან გამომთავისუფლებული ამინომჟავების გარდაქმნები.

ცხრილი 2

663.259.2:634.8

ყურძნის პირველადი ვადამუშავების გავლენა
ღვინის ხარისხზე

მ.ჯავახიშვილი, თ.ბატიაშვილი,
ვ.ბეროზაშვილი, მ.დუღუგიძე

მ.მ.მ.ს.კ.ი., 1984, გვერდი

ცდის შედეგებით და მრავალწლიანი კვლევით დადგინდა, რომ მა-
ღალხარისხოვანი ტიპის ღვინოების დასამუშავებლად ყურძნის ვადამუ-
შავება უნდა მოხდეს მოკრეფისთანავე.

ცხრილი 3

663.2:577.1

ამინომკვავათა ცვლილებები ელექტროპასტერიზატორით
დამუშავებული კახური ტიპის ღვინომასალებში

მ.არველაძე, ა.სირბილაძე,
ა.დიდებულიძე, გ.ქარლმიძე

ნაშრომში მიმოიხილება, რომ ინფრაწითელი სხივების წყარო, პირ-
ველად ამ ავტორთა მიერ იქნა გამოყენებული სხვადასხვა ტიპის
ღვინომასალების დასამუშავებლად მისი სტაბილიზაციის გახანგრძლი-
ვების მიზნით და დადგინდა, რომ ელექტროპასტერიზატორით დამუშავებულ
"კახეთის" ღვინომასალაში აღვილი აქვს არრამატულ ამინომკვავათა
ზრდას, რაც დადებითად მოქმედებს არრამატსა და სავსე გემურ თვი-
სებებზე.

ცხრილი I



შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ო.დარახველიძე. საქართველოს მეცნიერების მიღწევები დვინის ქიმიასა და ტექნოლოგიაში 3

2. გ.ალხაზიშვილი, ლ.მუჯირი, ა.ლაშხი, ვ.მოდებაძე. მსხლის გადაგზავნების ტექნოლოგიის ინტენსიფიკაცია ფერმენტაციული შიდროლიზის საფუძველზე 22

3. გ.არაბიძე, გ.კობახიძე, ნ.გამყრელიძე, ნ.კინწურაშვილი. ქართული დვინის - "გელათის" დვინომასალების ქიმიური შედგენილობა 28

4. მ.არველაძე, ა.სირბილაძე, ა.დიდებულიძე, გ.ქარშიძე. ამინომჟავათა ცვლილებები ელექტრობასტერიზატორით დამუშავებული კახური ტიპის დვინომასალებში 33

5. ნ.გელაშვილი, ჯ.თევდორაძე. თეაფლავინები და თეარუბიგინები ყურძენსა და დვინოში 38

6. ო.დარახველიძე, თ.დერბენევა, სუფრის თეთრი დვინოების ბუფერული თვისებები 44

7. ო.დარახველიძე, ი.ქოჩიაშვილი, მ.მაღლაკელიძე. შიდროლინამიკური პირობების გამოკვლევა ნაკადური შამპანიზაციის აპარატებში 52

8. თ.დერბენევა, ნ.ეპელაშვილი, ნ.ლომინაძე. ღმინომჟავას განსაზღვრა სპექტრომეტრული მეთოდით ყურძენისა და ხილ-კენკროვან დვინოებში 59

9. გ.თუშმალიშვილი, ნ.გელაშვილი, ჯ.თევდორაძე. საშამპანურ დვინომასალების რაციონალური ტექნოლოგია 66

10. ნ.კანდელაკი. თელავიმიცინის პროდუცენტის STREPTOMYCES LEVIORIS №243 შტამის პროდუქტიულობის ზრდა სელექციის გზით 74

11. თ.კობაიძე, ლ.მოსაშვილი. მინერალური ელემენტები საკონიაკე სპირტსა და კონიაკში 79

12. მ.კურდღელაშვილი, ც.როინაშვილი, ბ.ყარაშენიშვილი. სუფრის სამარკო წითელი დვინოების სტაბილიზაციის გზები 88

- 13. მ.კურდღელაშვილი, ბ.ყარაზნიშვილი, ც.როინიშვილი.
ვარდისფერი ზღინოების დამზადების ტექნოლოგია 94
- 14. ა.ღაშხი, მ.შვანგირაძე, ლ.შუბლაძე. ლიბიდები
კონიაკში და მათი გავლენა პროდუქციის ხარისხზე 98
- 15. შ.მათიაშვილი. ინფრაწითელი სხივებით დამუშავებული
ღვინომასალის ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლები/
ყურძნის ტკბილის სხვადასხვა მეთოდით დამუშავების
დროს 117
- 16. ს.შესარქიშვილი, მ.ხოსიტაშვილი, ი.ყვინაშვილი.
დაჭყლეტის რეჟიმის გავლენა ყურძნის
კომპონენტების ტკბილში გადასვლაზე 121
- 17. ლ.მოსაშვილი, ც.ყანდარელი. ტკბილისა და ღვინის
არომატული ნაერთების დაგროვება მინერალურ
კვებასთან დაკავშირებით 126
- 18. გ.მოსიაშვილი, ე.აფხაზავა. საფუერის პერსპექტიული
მუნტანტები ხარისხოვანი ღვინოების დასამზადებლად . . . 432
- 19. გ.მოსიაშვილი, მ.ჩუბინიძე, ნ.შენგელია. SACCHAROMYCES
გვარის საფუარა ორგანიზმების მიერ პანტოტენის
მუცავასა და პირილოქსინის სინთეზის უნარი 137
- 20. გ.მოსიაშვილი, მ.ჩუბინიძე, ნ.შენგელია.
SACCHAROMYCES VINI-ს საწარმოო შტამების
მიერ ამინომუცავათა სინთეზი 144
- 21. ლ.მუჯირი, მ.ქურიძე. მუხის მერქნის ფენოლური
ნაერთების გამოყოფა და მათი გავლენა საკონიაკე
სპირტებზე 151
- 22. რ.ანამგალაძე. ტკბილისა და ღვინის ზოგიერთი
მინერალური ნივთიერება 161
- 23. რ.ანაუშვილი. ელექტრომაგნიტური ველის გავლენა
ღვინის მაღალმოლეკულურ ნაერთებზე 166
- 24. მ.სამადაშვილი, ო.სამადაშვილი, ლ.გახოკიძე.
კომშის უნარჩენო გადამუშავების ახალი
კომპლექსური ტექნოლოგია 172

- 25. მ.სამადაშვილი, ო.სამადაშვილი, ლ.გახოკიძე, ნ.გვერდწითელი.
ტყემლის უნარჩენოდ გამოყენების კომპლექსური
ტიქნოლოგია უაღკოპოლო სასმელების წარმოებაში 180
- 26. ა.სირბილაძე, დ.დოღმაზაშვილი. კონიაკის სპირტის
ექსტრაქტით გამდიდრების ოპტიმალური დროის
დადგენა 188
- 27. ნ.ფვალაძე, ა.სირბილაძე. ტკბილის დაწმენდის
წესების გავლენა აზოტიან ნივთიერებათა ცვლილებებზე
ვეროპული ტიპის სუფრის დვინომასალის დამწიფება-
დაძველების პროცესში 192
- 28. მ.შოშიტაიშვილი. სამამულო მაგარი სასმელების
ბრეწველობის ისტორიიდან 198
- 29. ვ.ხოსიტაშვილი, თ.ფხეიძე, ა.ლაშხი, ც.ყანდარელი.
მეღვინეობის მონარქიებიდან β - სიტოსტერინის
მიღების ტექნოლოგია 219
- 30. მ.ჯავახიშვილი, თ.ბატიაშვილი, ვ.ბეროზაშვილი, მ.დუდუგიძე.
ყურძნის პირველადი გადამამუშავების გავლენა დვინის
ხარისხზე 227

Рациональная технология производства
алкогольных напитков и вина

Св. план 1984, поз. 27

რედაქტორი ნ. ს. ჩხარტიშვილი

გადაეცა წარმოებას 5-2-84 ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/11 84

ქაღალდის ფორმატი 60X84 I.16 საბ.თაბახი 15,7

ფასი I შან.50 კაპ.

ЗАК. № 2173

УЭ 04647

ТИР. 300

ТБИЛИССКАЯ КНИЖНАЯ ФАБРИКА ИМ.И.ЧАВЧАВАДЗЕ

ГОСКОМИЗДАТА ГССР

ПРОСПЕКТ ДРУЖБЫ № 7.



ქართული
ენობის ეროვნული
ბიბლიოთეკა